ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 ივლისი ორშაბათი 2013
№152 (14 068) ფასი 80 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის თასი თბილისში

## ქართველმა წყალბურთელებმა უკრაინასა და ბელარუსს აჯობეს



11

# ლევან ყენია: ბუნდესლიგისკენ ფორტუნასთან ერთად



ლევან ყენია გერმანიაში დაბრუნდა. მან დიუსელდორფის „ფორტუნაში“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 22 წლის ნახევარმცველმა პირველად ითამაშა ახალი გუნდის რიგებში და პირველი გოლიც გაიტანა.

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ფორტუნა“ ამხანაგურად „პსვ ვესელ ლაკჰაუზენს“ შეხვდა და 12:1 გაანადგურა. ლევანი პაურევიჩის ნაცვლად მე-60 წუთზე შევიდა და ბოლო გოლი (85-ე წუთზე) საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა. მან მოედნის მცირე მონაკვეთზე რამდენიმე მეტოქე მოატყუა და ისე გაიტანა.

„ფორტუნას“ თამაშით ბელგიელი მწვრთნელი მაიკ ბიუსკენსი კმაყოფილი დარჩა. მან გუნდი 2-დღიან შვებულებაში გაუშვა, რის შემდეგაც შვეიცარიული შეკრება დაიწყება.

სხვათა შორის, ბიუსკენსი ყენიას ჯერ კიდევ „შალკეს“ სარეზერვო გუნდში წვრთნიდა. ის ქართველი ფეხბურთელის პასის კულტურას ძალიან აფასებს.

შეკითხვაზე, თუ რატომ აიყვანეთ ფეხბურთელი, რომელიც ტრავმებს ხშირად იღებსო, ბელგიელმა უპასუხა, კიდევ კარგი, რომ ასეა, თორემ ყენიას ჩვენნაირ გუნდში ვინ გააჩერებდაო.

გუნდის ოფიციალურმა საიტმა ქართველ ფეხბურთელთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ლევანი უკრაინაში გატარებულ პერიოდზე, „ფორტუნას“ დამრიგებელ მაიკ ბიუსკენსსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

- ლევან, გერმანია შარშან ზაფხულს დატოვეთ. მაშინ ფიქრობდით, რომ ოდესმე კიდევ დაბრუნდებოდით აქ?

- რა თქმა უნდა, ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე ვფიქრობდი. ბოლო ერთი წელი უკრაინაში გავატარე, რაც ჩემთვის საჭირო და სასარგებლო იყო. ახლა კი დავბრუნდი გერმანიაში და მოუთმენლად ველი, როდის დავიწყებ თამაშს.

**- ალბათ მნიშვნელოვანი იყო, რომ ლვოვში რეგულარულად თამაშობდით?**

- ნამდვილად. ტრავმის გამო გაცდენილი სამწლიანი პერიოდის შემდეგ ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ მოედანზე დავბრუნებულიყავი და მეთამაშა. ასე რომ, გასული წელი ჩემთვის სასარგებლო იყო - საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნდა და შესაძლებლობების მაქსიმუმის წარმოჩენამდე ბევრი აღარ მიკლია.

**- დიუსელდორფში როგორ აღმოჩნდით?**

- „ფორტუნაში“ ჩემს გადასვლაში დიდი წვლილი, რა თქმა უნდა, მაიკ ბიუსკენსს მიუძღვის, რომელთან ერთადაც „შალკეს“ ახალგაზრდულ გუნდში მიმუშავია. მისი ხელმძღვანელობით უამრავი მატჩი მაქვს ჩატარებული. ის ძალიან კარგი მწვრთნელი და ადამიანია. შეიძლება ითქვას, მისი დამსახურებაცაა, დიუსელდორფში რომ აღმოვჩნდი.

**- კონტრაქტის გაფორმებისას სტადიონ „ესპრიტზე“ იმყოფებოდით. როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

- დიდებული სტადიონია. იმედია, წარმატებული სეზონი გვექნება და საშინაო თამაშებზე გულშემატკივარი არ მოგვაკლდება. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც ამ არენაზე პირველ მატჩს ჩავატარებ.

**- დიუსელდორფში თქვენი მიზანი რა არის?**

- ჩემი ოცნება ყოველთვის ბუნდესლიგაში თამაში იყო და ალბათ, კლუბშიც ყველა უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე ფიქრობს. საერთო მიზნის მისაღწევად კი ყველაფერს გავაკეთებთ.

# რა დაუჯდა ყენია ფორტუნას?

3

# ჩხუბი და აყალმაყალი საქართველოს თასზე



10

თამუნა კულუმბეგაშვილის ფოტო

# დვალიშვილი რიდს არ მოერიდა: სამი გოლი, სამივე ცაციათი



3

სამზადისი. დინამო

# ავსტრიული ფრაგმენტები

გასული სეზონის ტრიუმფატორმა თბილისის „დინამომ“ ავსტრიულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა: დუშან უჰრინის გუნდის მეტოქე რუსეთის პრემიერლიგის წარმომადგენელი „კრასნოდარი“ იყო, რომელსაც ცნობილი სერბი სპეციალისტი სლავოლიუბ მუსლინი წვრთნის. „დინამოსა“ და „კრასნოდარის“ სპარინგ-მატჩის პერიპეტიებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ რუსულ გუნდთან პაექრობამდე „დინამომ“ სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და სამივე ერთობ ძლიერ მეტოქეებთან: კიევის „დინამოსთან“ (0:1), დონეცკის „შახტართან “(1:0) და რუმინულ „კლუჟთან“ (0:0).

...„ლელოს“ წინა ნომერშიც გაუწყეთ იმის შესახებ, რომ „დინამოს“ პრესსამსახური (ხელმძღვანელი — გიგა გვენცაძე) ოპერატიულად აშუქებს ავსტრიული შეკრების ყოველდღიურ ამბებს: გუნდის საწვრთნელ პროცესს, სპარინგ-მატჩების ტექსტურ ტრანსლაციას, ფეხბურთელებისა თუ მწვრთნელების კომენტარებსა და ასე შემდეგ. ამას გარდა, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ასევე ყოველდღე ქვეყნდება „დინამოს“ ფეხბურთელებთან ინტერვიუები; ახლაც ერთ-ერთი ინტერვიუ გვინდა შემოგთავაზოთ, კლუბის პრესსამსახურმა „დინამოს“ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს, ალექსანდრე გურეშიძესა და ოთარ კაკაბაძეს რომ ჩამოართვა.



ოთარ კაკაბაძე (მარცხნივ) და ალექსანდრე გურეშიძე

## პირველი შეკრება პირველ გუნდთან ერთად

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფი „დინამოს“ ფეხბურთელთაგან ყველაზე ახალგაზრდები 18 წლის მცველები, ალექსანდრე გურეშიძე და ოთარ კაკაბაძე არიან. აღსანიშნავია, რომ გურეშიძეც და კაკაბაძეც „დინამოს“ პირველ გუნდთან ერთად შეკრებაზე პირველად არიან. ორივე მათგანი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში თამაშობს და თბილისში დაბრუნების შემდეგ ამჯერად უკვე სანაკრებო შეკრებები ელოდება. ალექსანდრე (სანდრო) გურეშიძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის მოემზადება, ოთარ კაკაბაძე კი სხვა დინამოელებთან ერთად, ვასილ მაისურაძის ხელმძღვანელობით ერთკვირიან სანაკრებო შეკრებას მინსკში გაივლის. „დინამოს“ ძირითადი გუნდის დებიუტანტები ავსტრიულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ, თუმცა მანამდე ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ოთარ კაკაბაძეს დაბადების დღის აღნიშვნამ ავსტრიაში მოუწია — 27 ივნისს 18 წელი შეუსრულდა.

**ოთარ კაკაბაძე:** — უპირველეს ყოვლისა, ყველას მადლობა მინდა ვუთხრა მოლოცვისათვის. ისე მოხდა, რომ დათო კვირკველიასაც ამ დღეს ჰქონდა დაბადების დღე. მასაც ვულოცავ. გუნდის ვახშამზე ორი სადღესასწაულო ტორტი გაიჭრა. ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა, ძალიან მიხარია, რომ ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩვენით დაინტერესდა და ვეცდები, ეს ნდობა გავამართლო. ყველამ ძალიან თბილად მიგვიღო და ყველანაირად ხელს გვიწყობენ.

**ალექსანდრე გურეშიძე:** — ძალიან სასიხარულოა, „დინამოს“ ძირითად გუნდთან ერთად გვიწევს შეკრებაზე ყოფნა და ისიც, რომ თავის კარგად წარმოჩენის შანსი მოგვეცა. არაფერს ვამბობთ მართლაც შესანიშნავ პირობებზე. მწვრთნელები, წევრები თუ გამოცდილი თანაგუნდელებიც მუდმივად მხარში გვიდგანან და ჩვენც მაქსიმალური მონდომებით ვვარჯიშობთ.

**— ამპლუით ორივენი მცველები ხართ. „დინამოს“ დაცვის ხაზი კი გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, - იმათგან ალბათ, ბევრ სასარგებლოს სწავლობთ.**

**ოთარ კაკაბაძე:** — ვცდილობთ, ყველასგან რაღაცა ვისწავლოთ: ზოგისგან — ბრძოლასა და თავდადებას მოედანზე, ზოგისგან კი — ინდივიდუალურ ოსტატობას. გამოცდილი პარტნიორები ძალიან თბილად გვექცევიან.

**ალექსანდრე გურეშიძე:** — ხშირად მიფიქრია, ამა თუ იმ საფეხბურთო ეპიზოდში როგორ მოვიქცეოდი და როცა ყურადღებით ვაკვირდები ჩვენი გამოცდილი თანაგუნდელების ვარჯიშსა თუ თამაშს, მივხვდარვარ, რომ, თურმე ვცდებოდი. ასეთი გამოცდილი და პროფესიონალი ფეხბურთელების გვერდით ვარჯიში კი ჩემთვის დიდი სკოლა და სიამოვნებაა.

**— ძირითად გუნდთან ერთად შეკრებაზე პირველად ხართ, თუმცა საკონტროლო მატჩების მიმდინარეობისას მაყურებლის როლში ყოფნა გიწევთ...**

**ოთარ კაკაბაძე:** - ჩემპიონთა ლიგაზე „შახტარისა“ თუ „კლუჟის“ თამაშებს სულ ცოტა ხნის წინათ ტელევიზორში ვუცქერდი, აქ კი, ჩემს თვალწინ, ჩემი თანაგუნდელები ეპაექრებოდნენ. ორივე მეტოქესთან საინტერესო შეხვედრები იყო და ვცდილობდით, მაქსიმალური ყურადღებით მიგვედევნებინა თვალი თითოეული ეპიზოდისათვის. იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ სწორედ ასეთი მატჩებისათვის გვამზადებენ...

**ალექსანდრე გურეშიძე:** — სამივე სპარინგმატჩისას ნათლად ჩანდა, რომ „დინამო“ ფიზიკურად კარგად არის მომზადებული. თანაც, იმის მიუხედავად, რომ ეს შეხვედრები ამხანაგურ ხასიათს ატარებდა, „დინამოს“ ყველა ფეხბურთელმა დიდი მონდომებით ითამაშა. ჩვენ კი, ახალგაზრდები, ცდას არ დავაკლებთ, რათა „დინამოს“ განუყოფელ ნაწილად ვიქცეთ.

## ბოლო სპარინგი

შეკრების ბოლო მატჩში „დინამო“ ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე, თუმცა, ვინც ამ საკონტროლო შეხვედრას თვალი მიადევნა, დაგვეთანხმება, რომ ჩვენმა ჩემპიონმა თამაში მეორე ტაიმში გამოასწორა. აი პირველი ტაიმი კი (განსაკუთრებით — საწყისი წუთები) „კრასნოდარის“ უპირატესობით წარიმართა. **სლავოლიუბ მუსლინის** შეგირდები მოედნის ცენტრს უპრობლემოდ გადიოდნენ და მერე ფლანგებსაც აქტიურად იყენებდნენ. განსაკუთრებით, მარცხენა ფლანგიდან იქმნებოდა ხიფათი, სადაც „კრასნოდარის“ ახალწვეული, კოლუმბიელი **რიკარდო ლაბორდე** გამოირჩეოდა. 23 წლის მარცხენა გარემარბი ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს, ალბათ, ემახსოვრება: შარშან „ანორთოსისის“ შემადგენლობაში გორის „დილას“ წინააღმდეგ ორივე მატჩში მიიღო მონაწილეობა. „კრასნოდარის“ სასტარტო აქტიურობას ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი მოჰყვა, რომელთაგან ერთ-ერთ შედეგიანი აღმოჩნდა: ურუგვაელი **მაურისიო პერეირას** პასით სენეგალელმა **მუსა კონატემ** ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა. 20 წლის კონატეს მატჩის ბოლოსკენ კიდევ ორჯერ შეექმნა რეალური მომენტი, მაგრამ, ორჯერვე **თორნიკე ზარქუამ** იყოჩაღა. ეს მეორე ტაიმში მოხდა, პირველ ტაიმში კი იგივე კონატე ორჯერ დაემუქრა სახიფათოდ **გიორგი ლორიას** კარს. რაც შეეხება დინამოელებს, ერთ ეპიზოდში გოლიც გაიტანეს, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. აი, მეორე ტაიმში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დინამო“ ბევრად უკეთ ათამაშდა: სასარგებლოდ მოქმედებდა დაუღალავი **პეტერ გრაიციარი,** მარჯვენა ფლანგზე აქტიურობდა შეცვლაზე შემოსული **ირაკლი ლექვთაძე;** „დინამომ“ ორი საკმაოდ რეალური მომენტიც შექმნა, მაგრამ **ჩისკოს** შორეული „გასროლაც“ და **ლევან ხმალაძის** თავური დარტყმაც „კრასნოდარის“ მეკარემ დიდი გაჭირვებით მოიგერია. განსაკუთრებით ხმალაძის მომენტია აღსანიშნავი — ბურთი „კრასნოდარის“ კარის „ცხრიანში“ მიფრინავდა, მაგრამ...

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, „კრასნოდარის“ ფეხბურთელები უხეშობაზეც გადავიდნენ და **კირილ მოროზოვი** გააძევეს კიდეც მოედნიდან, თუმცა ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შევძელით. შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე „გახსნილი თამაში“ წავიდა: „კრასნოდარის“ შემადგენლობაში შეცვლაზე შემოსული **ნიკა ჩხაპელიას** ეფექტურ რეიდს ჩვენების საპასუხო შეტევა მოჰყვა, კუთხურის შემდეგ კი **ელგუჯა გრიგალაშვილის** დარტყმული ბურთი მიზანს სულ ოდნავ ასცდა. საბოლოოდ, „კრასნოდარმა“ მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვა. „დინამომ“ კი ავსტრიული შეკრების ბოლო სპარინგ-მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა:

**ლორია (46. ზარქუა) — სეთურიძე, კვარაცხელა (69. შაშიაშვილი), უსტარიცი (57. კვირკველია), გლიშიჩი — გრაიციარი, ხმალაძე (82. პაპავა), ძარია, მერებაშვილი (67. ე. გრიგალაშვილი) — დვალი (46. ლექვთაძე), ჩისკო (83. მიქაბერიძე).**

გია ტუხაშვილი



გიორგი სეთურიძე (მარცხნივ)

### მატჩის შემდეგ

**კრასნოდართან შეხვედრის შესახებ თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მთავარი მწვრთნელის დუშან უჰრინისა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ჩისკოს კომენტარები გამოქვეყნდა.**

## დუშან უჰრინი: დასახული გეგმა სრულად შევასრულეთ

კარგად ორგანიზებული შეკრება გამოვიდა. კარგი ამინდი, სასტუმრო, ხარისხიანი მოედანი, კვება, ერთი სიტყვით ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ნაყოფიერად ვივარჯიშეთ. მოვემზადეთ ფიზიკურად. ვმუშაობდით ტაქტიკაზე. საინტერესო მატჩებიც გავმართეთ ძლიერ მეტოქეებთან. 1 მოვიგეთ, 1 ფრედ დავასრულეთ და 2 წავაგეთ. მხოლოდ 1 გოლი გავიტანეთ. ყველა რგოლში მძაფრი კონკურენცია უნდა იყოს, მათ შორის თავდასხმაში და აქედან გამომდინარე, ვმუშაობთ შეტევის გაძლიერებაზე. ყველა ფეხბურთელი მონდომებულია, მათ შორის ახალწვეულებიც. კვირკველია გამოცდილი მთამაშეა და ის უკვე სრულ მზადყოფნაშია. გრიგალაშვილს და მიქაბერიძეს დრო სჭირდებათ, ხურცილავა ფიზიკურად კარგად არის მზად, მაგრამ ტაქტიკურად უნდა მოუმატოს. კარგად იმუშავეს კაკაბაძემ და გურეშიძემ, რომლებიც პირველ გუნდთან ერთად პირველად იყვნენ შეკრებაზე. მათ მომავალშიც ხშირად ვავარჯიშებთ ძირითად შემადგენლობასთან.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპისთვის დასახული გეგმა შევასრულეთ. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადება თბილისში გაგრძელდება.

## ჩისკო: საწყის წუთებში კონცენტრაცია გვაკლდა

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, მეტოქეს ვჯობეთ, საგოლე მომენტებიც შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენოთ და ამაზე უნდა ვიმუშაოთ. სამწუხაროდ, საწყის წუთებში კონცენტრაცია გვაკლდა, რის გამო გოლი გავუშვით.

მთავარი და პოზიტიური, რაც ჩანს ის არის, რომ ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულნი. მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებზე გვაქვს გადატანილი, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრები გველის.

fcdinamo.ge

ევროპის ლიგა მეტოქე

UEFA EUROPA LEAGUE

## ჟილინა იმედიანად მოდის

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის "ტორპედოს" მეტოქე სლოვაკური "ჟილინა" იქნება, რომელიც ახალი სეზონისთვის უკვე საკმაო ხანია, ემზადება და რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრო.

ბოლო შეხვედრა "ჟილინამ" ვენის "რაპიდის" წინააღმდეგ გამართა და ფრედ, 0:0 ითამაშა. ამ შეხვედრაში სლოვაკებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: **დუბრავკა – მაბოუკა, პიაჩეკი (64. ვავრო), აკაკპო, კესაი – პეჩოვსკი – ბელო (83. კაჩერი), სკვარკა (46. პაური), მიჰალიკი – მაიტანი (46. იელიჩი), პიხი (46. ჟილაკი),**

თუკი წინა მატჩებში "ჟილინას" რიგებში ბევრად მეტი ფეხბურთელი ჩნდებოდა, ამჯერად ავსტრიელთა წინააღმდეგ გუნდის სამწვრთნელო შტაბმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა გამოიყვანა.

"რაპიდამდე" "ტორპედოს" მეტოქე ამხანაგურად **ლადო დვალიშვილის** "ლეგიას" შეხვდა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. მანამდე კი ორ ჩეხურ კლუბს გაეჯიბრა – "ბუდეიოვიცეს" 1:1 დაუზავდა, "სიგმას" კი ორჯერ შეხვდა, საიდანაც ერთი 2:0 მოიგო, მეორეში კი 0:4 დამარცხდა.

აქვე გეტყვით, რომ გასული სეზონის შემდეგ "ჟილინას" მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. **სტეფან ტარკოვიჩის** ადგილი **ადრიან გულამ** დაიკავა, რომელმაც "ტორპედოსთან" მოახლოებული დაპირისპირების წინ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ჩემი გუნდის მიერ გამართული საკონტროლო მატჩებით კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანია როგორც ევროპის ლიგისთვის, ასევე სლოვაკეთის ჩემპიონატისთვის სათანადოდ მომზადება და შეკრებაზე ამ ორი მიმართულებით ვიმუშავეთ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ყველა ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ 4 ივლისისთვის ყველა სრულ მზადყოფნაში იქნება. "ტორპედო" არცთუ იოლი მეტოქეა, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ბარიერსაც გადავლახავთ და უფრო მეტ ეტაპსაც გავივლით".

მისივე თქმით, ჯერ არ შეურჩევია ის 11 ფეხბურთელი, რომლებსაც ქუთაისში სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებს.

ლევან ჯანეზაშვილი

## უეფამ მსაჯები დაგვინიშნა

ქართული კლუბებიდან ევროთასებზე ასპარეზობას ყველაზე ადრე საქართველოს თასის ფინალისტი საჩხერის "ჩიხურა" და ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ქუთაისის "ტორპედო" დაიწყებენ. 4 ივლისს ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე პირველ მატჩს შინ ჩაატარებს. "ჩიხურა" "მიხეილ მესხზე" ლიხტენშტაინურ "ვადუცს" მიიღებს, ხოლო "ტორპედო" ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე სლოვაკურ "ჟილინას" უმასპინძლებს.

გაირკვა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც ამ შეხვედრებს განსჯიან. "ჩიხურა"-"ვადუცის" არბიტრი ყაზახი **ალექსანდრ გაუზერი** იქნება, "ტორპედო"-"ჟილინას" მატჩს კი ხორვატი **დომაგოი ვუჩკოვი** გაუძღვება.

ცნობილია ის არბიტრებიც, რომლებიც იმერული კლუბების საპასუხო მატჩებს გაუძღვებიან. 11 ივლისს "ვადუცისა" და "ჩიხურას" შეხვედრას ალბანელი **ენეა ჯორგჯი** განსჯის, იმავე დღეს "ჟილინასა" და "ტორპედოს" განმეორებით შეხვედრას ბოსნიელი **ელმირ პილავი** მოემსახურება.

უეფამ ევროპის ლიგის პირველ რაუნდში ქართველი მსაჯებიც დაასაქმა. 4 ივლისს ყაზახური "ასტანასა" და ბულგარული "ვოტევის" მატჩს **გიორგი ვადაჭკორია** გაუძღვება, ხოლო 11 ივლისს სერბული "ვოივოდინასა" და მალტური "ჰიბერნიანსის" დაპირისპირების არბიტრი **თორნიკე გვანცელაძე** იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ტრანსფერი

# რა თანხად გაიყიდა ყენია?



ლევან ყენიამ „ფორტუნაში" უკვე ითამაშა

უკვე ცნობილია, რომ **ლევან ყენია** გერმანიაში დაბრუნდა – უკრაინის პრემიერლიგის ლვოვის „კარპატიში" ჩატარებული სეზონის შემდეგ (19 მატჩი, 3 გოლი), 29 ივნისს, 22 წლის შემტევმა ნახევარმცველმა დიუსელდორფის „ფორტუნასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რა საფასური მიიღო უკრაინულმა კლუბმა ამ ტრანსფერში? თავიდან ცნობილი იყო, რომ გერმანელები "კარპატის" 250 ათას ევროს სთავაზობდნენ, რაზეც უარი მიიღეს.

უკრაინული ინტერნეტგამოცემა "ფუტბოლი" ამტკიცებს, რომ ლვოველებმა ლევან ყენიას სანაცვლოდ 500 ათასი დოლარი მიიღეს. "კარპატი" ამასაც არ დასჯერდება – გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველის სხვა კლუბში გადასვლის შემთხვევაში, "ფორტუნა" ლვოველებს სატრანსფერო თანხის 30 პროცენტსაც გადაუხდიან.

ამ დროს, "ტრანსფერმარკტ" სხვა ციფრს ასახელებს - გერმანული სამენეჯერო სააგენტოს ვებგვერდი ამტკიცებს, რომ რეალურად უკრაინელებმა ყენია ოდნავ ნაკლებ თანხად, 350 ათას ევროდ გაყიდეს, რაც დაახლოებით 455,340 დოლარს უდრის.

აქვე გეტყვით, რომ ახლა "კარპატი" ტრანსფერზე დაყენებული 19 მოთამაშის გაყიდვით 16 მილიონი ევროს მილებას იმედოვნებს. გუნდს **მურთაზ დაუშვილის** გასხვისებაც სურს - მის სატრანსფერო ფასად, 800 ათასიდან მილიონ ევრომდე დაასახელეს. *"ქართველის სახით, ლვოველებმა ნაკრების მოთამაშე და მოედნის ცენტრში ნამდვილი "ბულდოგი" შეიძინეს"* – ასე ახასიათებს დაუშვილს რუსული გამოცემა "ჩემპიონატი" და მიიჩნევს, რომ ლვოველები მას იოლად ვერ შეეგუებიან.

მაგრამ რუსული ინტერნეტგაზეთის მიერ გამოქვეყნებული ქართველის სატრანსფერო ციფრი "ტრანსფერმარკტ"-ის მონაცემებს ეყრდნობა და ვერ ვიტყვით, რომ დაუშვილის შემთხვევაში, ლვოველებს ამ თანხის იმედი უნდა ჰქონდეთ. ამას ლევან ყენიას თაობაზე შეთანხმება გვაფიქრებს – 22 წლის ქართველი შემტევის ფასიც დაახლოებითი იგივე იყო (875 ათასი ევროდან მილიონამდე მერყეობდა), რეალურად კი "კარპატიმ" 352 ათასი ევრო მიიღო.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

# დვალიშვილის ჰეთთრიქი და ყენიას შედეგიანი დებიუტი

ახალი სეზონისთვის ემზადება ვარშავის "ლეგია", რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებს. პოლონეთის ჩემპიონი სპარინგ-მატჩში ავსტრიულ "რიდს" შეხვდა და ფრედ, 3:3 ეთამაშა. აღსანიშნავია, რომ "ლეგიას" სამივე გოლი **ლადო დვალიშვილის** ანგარიშზეა. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ლეგია" უელსურ "ნიუ საინთსს" ხვდება და ამ ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს.

**ლევან ყენიამ** დიუსელდორფის "ფორტუნას" შემადგენლობაში დებიუტი გოლით აღნიშნა. "ფორტუნამ" ობერლიგური "ვესენი" 12:1 გაანადგურა. ყენიამ თავი შეხვედრის 85-ე წუთზე გამოიჩინა.

ვლადიკავკაზის "ალანია" უკრაინულ "სევასტოპოლს" გაეჯიბრა და 2:1 გაიმარჯვა. გამარჯვების გოლი მატჩის 83-ე წუთზე "ალანიას" ახალწვეულმა **ოთარ მარცვალაძემ** გაიტანა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მარცვალაძის თანაგუნდელმა **გოჩა ხოჯავამ** და "სევასტოპოლის" მცველმა **მათე ლვინიანიძემ**.

დნეპროპეტროვსკის "დნიპრომ" 3:1 სძლია ავსტრიულ "მატერსბურგს". უკრაინელთა რიგებში ითამაშეს **ჯაბა კანკავამ, სანდრო კობახიძემ** და **უჩა ლობჟანიძემ.**

არნემის "ვიტესის" მეტოქე ქვედალიგური "ოვიო" იყო და როგორც მოსალოდნელი იყო, სუსტ მონინაალმდეგეს იოლად გაუსწორდა. "ვიტესმა" 11:0 მოიგო. თითო გოლია **ვაკო ყაზაიშვილისა** და "ვიტესში" "ალანიიდან" დაბრუნებული **გიორგი ჭანტურიას** ანგარიშზე. ცხადია, ითამაშა არნემელთა კაპიტანმა **გურამ კაშიამაც.**

დანიურმა "ორჰუსმა" ამ ქვეყნის მეორე წარმომადგენელს, "ვეილეს" 2:1 სძლია. **დავით სხირტლაძე** "ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, ხოლო **დავით დევდარიანი** მოედანზე 30-ე წუთზე შევიდა.

მოსკოვის "სპარტაკი" კიევის "დინამოსთან" სპარინგში 0:1 დამარცხდა. "სპარტაკის" შემადგენლობაში **ჯანო ანანიძე** 59-ე წუთიდან გამოჩნდა. ცნობისთვის, კიეველებმა გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლადო დვალიშვილი

● წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# ნიკა კაჭარავა: იმხელა ვიყავი, ასაკგადაკეთებულად მთვლიდნენ

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ნიკა კაჭარავა საფეხბურთო გარემოშია გაზრდილი – მამამისი, კახა კაჭარავა წლების განმავლობაში ჯერ თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი იყო, შემდეგ კი მისი მთავარი მწვრთნელი, წლეულს კი "ზესტაფონს" ავარჯიშებდა.**

**თუმცა, ვინც ამ ბიჭის თამაშს იხილავს, მიხვდება, რომ მისი სანაკრებო კარიერა მამის დამსახურება არ არის. მაღალი თავდამსხმელი გამტანიც არის და პასებიც ეხერხება, ნაკრებში კი მუდამ გამორჩეულთა შორის არის.**

## ყველაფერი ასე დაიწყო

7 წლის "ნორჩ დინამოელში" თემურ თვალჭრელიძესთან შემიყვანეს. 6 თვის შემდეგ, ომც-ში ბაგრატ ჩადუნელთან შევედი და იქ დაახლოებით 2 წელი ვთამაშობდი. მაგრამ მალე ეს გუნდი დაიშალა, რადგან მოედნის ადგილას კორპუსები ააშენეს – ასეთები ხომ ჩვენთან ხშირად ხდება.

ბოლოს 3,5 წელი გუბაზ დოლიძესთან 35-ე სკოლაში ვვარჯიშობდი. იმ გუნდის წევრები იყვნენ ლაშუკა დვალი და გიორგი აბურჯანია. ბიჭები დღემდე ვხუმრობთ, "გუბაზიჩები" ვართო, რადგან დოლიძემ ჩვენს გაზრდაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა.

იქიდან მიმიწვიეს თბილისის "დინამოს" აკადემიაში, სადაც ერთი წლით უფროსებში ვთამაშობდი. მერე იყო "დინამო 2", სტაჟირება შვეიცარიის მოყვარულთა გუნდ "ვინდიშში". ბოლოს კი კონტრაქტი რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბთან გავაფორმე.

## მამა და ოჯახი

ბევრს ნიშნავს, მამა რომ ფეხბურთელი იყო. სხვათა შორის, მისი კარიერის გამოა, კვიპროსში რომ დავიბადე – მაშინ კახა ნიქოზიის "ოლიმპიაკოსში" თამაშობდა.

მამა ვარჯიშებითა და თამაშებისთვის მზადებით ისეთი დაკავებული იყო, ჩემს შეხვედრებზე იშვიათად დადიოდა. მაგრამ ვარჯიშს თუ დაესწრებოდა, სულ შენიშვნებს მაძლევდა. ერთად რომ ვუყურებდით მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატის ან ჩემპიონთა ლიგის მატჩებს, ყველაფერს სპეციალისტის თვალით განიხილავდა და თავდამსხმელების მოძრაობაზე მიმითითებდა, ვინ მოქმედებდა კარგად და ვინ – რაში ცდებოდა. მე კი უბრალოდ, ყურება და ფეხბურთით სიამოვნება მინდოდა. თუმცა, მერე და მერე მივხვდი, რომ ამას ჩემს გასაგონად და გასაზრდელად ლაპარაკობდა.

მამამ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. 19-წლამდელების მთავარ მწვრთნელად რომ დანიშნეს, ყველაზე მკაცრი რაკებს განვიცდიდი, ახლა შევეგუე, რადგან ვიცი – მამა არასოდეს დამხმარებია და მისი ჩრდილიდან გამოსვლას სულ ვცდილობ, სალაპარაკო არავის რომ არ დარჩეს. ეს ჩემთვის იმხელა მოტივაციაა, რომ ჭორების გამო ყურების ჩამოყრის უფლება არ მაქვს. აქვე ერთსაც ვიტყვი – ბავშვობაში ისეთ პატიოსან მწვრთნელებთან ვვარჯიშობდი, მამის გამო, არავინ გამაჩერებდა.

## უჩვეულოდ მაღალი

ბავშვობაში უხერხულობას მხოლოდ კახას შვილობა არ მიქმნიდა. თამაშების დაწყებამდე მოწინააღმდეგეთა მშობლები სულ ჩხუბობდნენ, ამ ასაკგადაკეთებულს რატომ ათამაშებთო. როგორ დამემტკიცებინა, არ ვიცოდი, არადა, ყოველთვის, ასაკთან შედარებით ძალიან მაღალი ვიყავი - 11 წლისა 177 სანტიმეტრი გავხდი. ამის გამო, ხერხემლის პრობლემა შემექმნა, სისწრაფესა და გამძლეობაში უცებ მოვუკელი. 2 თვე დავისვენე, რადგან ორგანიზმი ასეთ ზრდას ვერ ეგუებოდა და ადაპტაციისთვის დრო მჭირდებოდა.

მერე კიდევ გავიზარდე, მაგრამ სიმაღლეს ორგანიზმი უკვე შეჩვეული იყო. განსაკუთრებით, შვეიცარიაში ვარჯიში დამეხმარა – "ვანდიშში" სისწრაფეში, მოქნილობასა და სისხარტეში საგანგებო ვარჯიშები დამინიშნეს, რამაც ძალიან კარგად იმოქმედა.

## ევროპის ჩემპიონატზე

დარწმუნებული ვარ, მინიმუმ ჯგუფიდან გასვლა მაინც შეგვიძლია. იცით რა მაიმედებს? ინგლისთან მოსაგები გვქონდა, მაგრამ ფრედ დავასრულეთ. ამის შემდეგ ბიჭები დამწუხრებულები იყვნენ. არადა, ერთი შეხედვით, ქართველებისთვის ეს მშვენიერი შედეგი იყო – თუმცა ჩვენ ამბიციური ბიჭები და გუნდი გვყავს და გრანდებთანაც



### დოსიე

**ნიკა კაჭარავა**

დაიბადა 1994 წლის 1 იანვარს ნიქოზიაში (19 წლის)
პოზიცია: თავდამსხმელი
სიმაღლე: 198 სმ; წონა - 88 კგ

**სანაკრებო კარიერა:**

U 19 საქართველო – 5 მატჩი, 1 გოლი, 1 პასი
სანაკრებო დებიუტი: ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი
*26.10.12: ხორვატია 2:0 საქართველო*

**საკლუბო კარიერა:**

2011-2012 – "დინამო 2"; 2012 – "ვანდიში"
2013 – ყაზანის "რუბინი 2" (72 ნომერი)

## რუბინი და კვირკველია

2013 წლის იანვარში მითხრეს, რომ ყაზანის "რუბინში" მიმიწვიეს. შეკრება მთავრდებოდა. ვერ გეტყვით, 4 დღეში ასეთი რა გავაკეთე, მაგრამ ყურბან ბერდიევმა შემდეგ შეკრებაზეც წამიყვანა, მალე კი კონტრაქტი შემომთავაზა. თავიდანვე დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი, მაგრამ სეზონის დაწყებიდან 20 დღეში, ძირითად გუნდში გადამიყვანა და მას შემდეგ იქ ვვარჯიშობ – ძალიან გამოცდილ და მაღალი კლასის მოთამაშეებთან, რაც 19 წლის ბიჭისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ყოველდღე რაღაცას ვსწავლობ და ვითვისებ.

ახლა კი შეკრებაზე ძირითად გუნდთან ერთადაც ვიყავი და დუბლშემადგენლობასთანაც. მიმაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატამდე ძალიან კარგი პრაქტიკა მივიღე. თუმცა, ელიტ რაუნდიდან დაბრუნებული, გუნდს ერთი კვირის დაგვიანებით შევუერთდი. სხვათა შორის, დუბლებში სლოვაკეთის პირველი ლიგის გუნდთან დუბლი შევასრულე, ძირითადში კი, მიავას "სპარტაკთან" მოგებულ (3:1) შეხვედრაში პენალტი ავიკიდე.

არ შეიძლება, აქვე რომ არ ვთქვა: "რუბინში" ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მცველი საბა კვირკველია დამხვდა, რომელიც გვერდში ძმასავით დამიდგა და გუნდთან ადაპტაციაში ძალიან დამეხმარა.

ჩემს მიმართ იყო. სხვა რომ ცდებოდა, მე მიყვიროდა. მაგრამ ეს ბუნებრივია – შვილს მეტი მოეთხოვება.

მისგან განსხვავებით, დედა ლია მიქაძე თამაშებს არ აცდენდა. მაგრამ დედები ყველაზე ემოციური გულშემატკივრები არიან. ახლა მეცინება – პასები არ მიყვარდა და მიყვიროდა. ჩემს ყველა შეცდომას ისე განიცდიდა, ნერვები მეშლებოდა და ერთხელაც, თამაშებზე სიარული ავუკრძალე.

## კარიერული უხერხულობა

ფეხბურთზე მისვლისთანავე მივხვდი, რომ ცნობილი მამა უხერხულობას მიქმნიდა. მე თუ მომენტს გავაფუჭებდი, ეს მამასაც მიეწერებოდა.

როდესაც 19-წლამდელებში დანიშნეს, უკვე მივხვდი, რომ დაიწყებოდა ლაპარაკი, რომ ნაკრებში ჩემი აყვანა მისი "დამსახურება" იყო. სამწუხაროდ, საქართველოში ყველაფერს ეჭვით ვუყურებთ და გამონაკლისი მე ვერ ვიქნებოდი.

რომ იცოდეთ, ამის გამო, კახას "ზესტაფონში" წასვლა და ნაკრების მთავარ მწვრთნელად გია ცეცაძის დანიშვნა ყველაზე მეტად მე გამიხარდა – მჯეროდა, რომ ცეცაძე მიმიწვევდა, რადგან გოლები მამას კი არა, მე გამქონდა. ადრე ამ ლაპა-

მოგებაზე ვფიქრობთ. აი, ეს მაიმედებს.

აქცენტი შეტევაზე გადავიტანეთ და ამან გაამართლა. გია ცეცაძე სულ გვიმეორებს, თავს მეტოქეზე მაღლა თუ არა, მათზე დაბლა მაინც ნუ დააყენებთო.

ჩვენზე ნიჭიერი თაობებიც იყვნენ, მაგრამ ამ ნაკრებში განსაკუთრებით მოტივირებული ბიჭები შეიკრიბნენ, რომელთაც ვარჯიში და რეჟიმის დაცვა არ ეზარებათ. თან, ასე მგონია, ომი და უბედურება რომ არ არის, ჩვენთან ფეხბურთმა განვითარება მარტო ამის ხარჯზეც დაიწყო. ნეტავ, ჩემპიონატზე ხალხი დადიოდეს – მაშინ სულ სხვა დონის ფეხბურთი გვექნება. არადა, ზოგიერთი შეხვედრა მართლა კარგი საყურებელია. მაგალითად, ყაზანში ვარჯიშის შემდეგ ვისვენებდი, "1 არხი" რომ ჩავრთე და ქუთაისის "ტორპედოსა" და გორის "დილას" შეხვედრა დაიწყო. ისეთი ტემპი, თამაში და ლამაზი სანახაობა იყო, სხვას რომ ენახა, იტყოდა, რომელიმე ევროპული ქვეყნის გუნდებს ვუყურებო.

ახლა რუსეთში ვვარჯიშობ, მცირე ხანს შვეიცარიაშიც ვიყავი და ისედაც, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ჩვენნაირი ნიჭიერი ბავშვები არსად მინახავს. აბა, რატომ უნდა დავუხაროთ ვინმეს თავი? თამაში შეგვიძლია და ტიტულებისთვის უნდა ვიბრძოლოთ!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი

# კოლხეთი გელა ინიაშვილს ჩააბარეს

## ქალაქის სურვილია, უმაღლესში დავბრუნდეთ

წინა სეზონში ფოთის „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, თუმცა ბოლო ადგილზე გავიდა და პირველ ლიგაში დაქვეითდა. ამ ცოტა ხნის წინათ ვწერდით, "კოლხეთში" გაურკვევლობაა, გუნდში არ იციან, რა როგორ იქნებაო. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „კოლხეთში" ყველაფერი დალაგდება.

გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - გამოცდილი სოსო ფილია 43 წლის ზაზა ინიაშვილმა შეცვალა. კოლხთა ახალ თავკაცს გუშინ დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- მას შემდეგ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდით, ფილიასთან რაიმე საქმიანი ურთიერთობა აღარ გექნებათ?**

- ფილიას „კოლხეთთან" კონტრაქტი დაუმთავრდა, თუმცა აქვს შემოთავაზება, რომ ისე, ამ კლუბში დარჩეს და დაგვეხმაროს.

**- როგორია „კოლხეთის" ფინანსური მდგომარეობა? რადგან მთავარ მწვრთნელობას დათანხმდით, ალბათ არის რაღაც წინსვლა ამ მხრივ...**

- ფინანსურად ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, ისეთი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის იბრძოლოს.

**- თუ არის ცნობილი, რა ბიუჯეტი ექნება „კოლხეთს" 2013/14 წლების სეზონში?**

- რა ინფორმაციასაც ვფლობ, „კოლხეთს" სავარაუდოდ 350-400 ათასი ლარი ექნება სეზონის პირველ ეტაპზე, გაისად კი დაფინანსება უნდა გაიზარდოს. ქალაქის ხელმძღვანელობა სერიოზულად არის დაინტერესებული იმით, რომ „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში დაბრუნდეს. ყველაფერი უახლოეს დროში დაზუსტდება.

**- როგორც შევიტყვეთ, სანამ ფინანსური საკითხი მოგვარდება, „კოლხეთი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა...**

- როგორც ვიცი, თემურ ფარულავა და ომარ გოგონაია მარტვილის „მერანში" ვარჯიშობენ. ჩვენი სურვილია, რომ გოგონაია „კოლხეთში" დაბრუნდეს, ის ფოთელია და მართებული იქნება, თუ მშობლიური ქალაქის გუნდში ითამაშებს.



გელა ინიაშვილი

**- „კოლხეთიდან" სხვა ფეხბურთელები არ წასულან?**

- მიხეილ ხარშილაძე „მერანშია", დავით მეგრელიშვილი „დილაში", შალვა კვანტალიანზე კი გავიგე, ბოლნისის „სიონში" ვარჯიშობსო.

**- „კოლხეთს" სავარჯიშო პირობების მხრივაც ჰქონდა პრობლემები. როგორ მოემზადება გუნდი დამდეგი სეზონისთვის?**

- ფოთში ამის საშუალება ჯერ არ არის და „კოლხეთი" ურეკში ივარჯიშებს. სეზონის წინ ორკვირიანი შეკრებაც გვექნება, ჯერ ზუსტად არ ვიცით, თუ სად.

**- საშინაო მატჩებს სად გამართავს „კოლხეთი"? ისევ უტრიბუნო სტადიონზე მოგიწევთ თამაში?**

- ისევ ფოთში გვინდა რომ ვითამაშოთ. სტადიონის ტრიბუნის მშენებლობა სავარაუდოდ სექტემბერში დაიწყება და მერე ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს, ფოთში ვითამაშებთ თუ ნეიტრალურ მოედანზე.

**- სტადიონის მშენებლობის პროექტი უკვე არსებობს? რამდენი იქნება განახლებული „ფაზისის" ტევადობა?**

- გადახურული ტრიბუნა მოედნის ოთხივე მხარეს იქნება, ტევადობა 6 700 უნდა გამოვიდეს, ასეა გათვალისწინებული პროექტით.

**- და როგორი იქნება ზაზა ინიაშვილის „კოლხეთი"?**

- ისეთი, რომ უმაღლეს ლიგაში გადავიდეს.

**- საამისოდ ალბათ კონკურენტებიც გეყოლებათ?**

- კი, თუმცა ჯერ არ ვიცით, რომელი გუნდები იქნებიან ჩვენი კონკურენტები, პირველი ლიგის რომელ ჯგუფში მოვხვდებით, ამას კენჭისყრა გაარკვევს.

დავით თავართქილაძე



# დილა თურქეთისკენ დაირაზმა

საქართველოს ჩემპიონატის მეორეადგილოსანი გორის "დილა" გუშინ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. "დილას" თავკაცმა **გიორგი დევდარიანმა** თურქეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

**მეკარეები.** ნუკრი რევიშვილი, ბექა შეყრილაძე, დავით ლეგაშვილი;

**მცველები.** თემურ ღონღაძე, მამუკა კობახიძე, გიორგი გაგნიძე, გიორგი გურული, კახა ალადაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, გულვერდ თომაშვილი, ერიკ გაბარაევი;

**ნახევარმცველები.** ვალტერ ხორგუაშვილი, პავლე ხორგუაშვილი, რომან გოგინაშვილი, ნიკოლოზ სადალაშვილი, გიორგი აბურჯანია, გიორგი ილურიძე, ლაშა გვალია, მიხეილ გორელიშვილი, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, გეგა დიასამიძე;

**თავდამსხმელები.** რატი ალექსიძე, ირაკლი მოდებაძე, კონსტანტინე გაბაშვილი.

"დილა" სტამბოლთან ახლოს, პატარა ქალაქ კარტაპეში დაბინავდება და სამ საკონტროლო შეხვედრას ითამაშებს. ორი სპარინგ-პარტნიორი უკვე ცნობილია: სპარსული "ესტეგლალი" და აზერბაიჯანული "სიმურგი". თუ ვინ იქნება მესამე მეტოქე, ამას "დილა" თურქეთში გაარკვევს.

"დილა" სამშობლოში ათ დღეში დაბრუნდება.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

# ლობჟანიძეს და კობახიძეს ამპლუას უცვლიან

## კანკავა საგოლე, მარცვალაძე გოლი, თარგამაძეს ტრავმა



გოჩა ხოჯავა ოთარ მარცვალაძე



დავით თარგამაძე

ქართველები სეზონისთვის მზადებას განაგრძობენ რუსულ და უკრაინულ კლუბებში. ვლადიკავკაზის „ალანიამ" ავსტრიაში უკრაინის პრემიერლიგაში დაბრუნებულ „სევასტოპოლს" 2:1 მოუგო.

პირველი საგოლე კომბინაცია **გოჩა ხოჯავამ** წამოიწყო, ორი მცველი ცრუ მანევრით ჩამოიშორა და მარცხენა ფლანგზე **ტამაშ პრისკინი** მოძებნა, მან კი კარის წინ დასარტყმელ პოზიციაზე **ბათრაზ ხადარცევი** გაიყვანა.

83-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, **ოთარ მარცვალაძემ** ულამაზესი გოლი გაიტანა. მან ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ორ სევასტოპოლელ მცველს გასცდა და მახვილი კუთხიდან ბურთი "ცხრიანში" ჩაახვია – 2:1.

ხოჯავა ძირითადში იყო და 52-ე წუთზე ბელარუსის ნაკრების ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა **რენან ბრესანმა** შეცვალა. საკონტროლო მატჩებიდან ჩანს, რომ მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გაზაევი ძირითადში ადგილს სწორედ მას უმზადებს და არა ბრაზილიელს.

მარცვალაძე მოედანზე 55-ე წუთზე შევიდა. „სევასტოპოლში" მეორე ტაიმში გამოჩნდა მათე ღვინიანიძე, რომელსაც რატომღაც, უკრაინული კლუბის პრესსამსახური მხოლოდ სახელით, მათედ მოიხსენიებს, გვარს კი არ უწერს.

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" ავსტრიის „მატერსბურგს" 3:1 მოუგო. უკრაინელთა ძირითადში დაიწყეს თამაში **სანდრო კობახიძემ და უჩა ლობჟანიძემ,** მეორე ტაიმში კი ორივე შეცვალეს. სამაგიეროდ, მოედანზე გამოჩნდა ეროვნული ნაკრების კაპიტანი **ჯაბა კანკავა** - რომან ზოზულიამ მეორე გოლი სწორედ ჯაბას გადაცემით გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ "დნიპროს" მთავარმა მწვრთნელმა **ხუანდე რამოსმა** ლობჟანიძე ცენტრალურ მცველად მოსინჯა, კობახიძე კი – ნახევარდაცვის ცენტრში. მხოლოდ კანკავა იყო მისთვის ჩვეულ საყრდენის პოზიციაზე.

უჩვეულო ამპლუაში მოგვევლინა მარიუპოლის "ილიჩივეცში" **დავით თარგამაძეც**. მარიუპოლის „ილიჩივეცი" სლოვენიურ შეკრებაზე ხორვატულ „ისტრას" 0:0-ზე რომ დაუზავდა, გუნდი მეორე ტაიმში კაპიტნის სამკლაურით საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა გაიყვანა. მაგრამ უკვე 51-ე წუთზე თარგამაძე შესაცვლელი გახდა – ხორვატი მცველის დარტყმა იმდენად მტკივნეული გამოდგა, რომ გონება დაკარგა, მინდორზე დაეცა და გონზე მოსულმა შეცვლა მოითხოვა. ექიმებმა თარგამაძეს ტვინის შერყევა დაუფიქსირეს. არადა, მოედანზე ყოფნისას, მარიუპოლელთა შეტევა თარგამაძემ გაამწვავა და აშკარა საგოლე მომენტი შექმნა.

მიკროტრავმის გამო, ინდივიდუალურად ივარჯიშა **თორნიკე ოქრიაშვილმა** და "ილიჩევეცს" ვერ დაეხმარა.

მერაბ მამულაშვილი

# კახელიშვილი გორს დაშორდა



გიორგი კახელიშვილი

გორის „დილა" თურქეთში **გიორგი კახელიშვილის** გარეშე გაემგზავრა, რაც იმას ნიშნავს, რომ კახელიშვილის და ამ გუნდის გზები გაიყარა.

არადა 26 წლის ეს ფეხბურთელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო „დილაში", სადაც „დინამო თბილისიდან" გადავიდა. „დილაში" მან ორი სეზონი ითამაშა, გუნდის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

კახელიშვილი გარემარბია, ორივე ფლანგიდან შეუძლია დაცვის დაწიოკება. თბილისის „ლოკომოტივი", რუსთავის „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია" - სადაც კი მივიდა, ყველგან გამოადგა გუნდს. „ვიტ ჯორჯიამ" 2009 წელს სუპერთასი რომ მოიგო „დინამო თბილისთან" შეხვედრაში, იქაც მისი ფლანგური რეიდით გაიტანა გადამწყვეტი გოლი „ვიტ ჯორჯიამ".

ერთი სიტყვით, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ჯერჯერობით უგუნდოდაა. როგორც კახელიშვილმა გვითხრა, „დილასთან" განშორება მისი გადაწყვეტილება იყო.

დავით თავართქილაძე

არსენალი

# ჟულიო სეზარი, იგუაინი, მინუს მანონე



ვოიცეხ შჩესნის რეგრესის გამო არსენალი დიდი ხანია, კარგ გოლკიპერს ეძებს

ბრიტანული წყაროების მტკიცებით, „არსენალი“ კვირის ბოლომდე დაასრულებს ორ მნიშვნელოვან ტრანსფერს. „ემირეიტსზე“ განაგრძობენ კარიერას „რეალის“ 25 წლის არგენტინელი თავდამსხმელი **გონსალო იგუაინი** და „ქუინზ პარკის“ ბრაზილიელი მეკარე **ჟულიო სეზარი**. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება „მეთოფეებს“ იოლად შეუძლიათ, ისინი ფეხბურთელს ბოლო მომენტამდე დააკვირდებიან. 33 წლის კარის დარაჯს პენტაკამპეონების რიგებში ნუხელ კონფედერაციის თასის ფინალში უნდა ეთამაშა. „არსენალის“ წარმომადგენლები ტრიბუნებზე ნამდვილად ისხდებიან. სეზარის შეძენა ნიშნავს იმას, რომ **არსენ ვენგერს ლუკაშ ფაბიანსკისთან** მოუწევს განშორება. გამორიცხული არ არის, ჩრდილოეთი ლონდონი დატოვოს **ვიტო მანონემაც**. მეკარეებს შეთავაზებები ნამდვილად არ აკლიათ. თუმცა საქმის გადაწყვეტილად გამოცხადებას, მოდი, ნუ ვიჩქარებთ. სეზარს სარფიან კონტრაქტს სთავაზობს „რომაც“. „ქუინზ პარკი“ ვეტერანს სიმბოლურ ფასად - 2 მილიონ ფუნტად აფასებს. პრობლემას არ წარმოადგენს არც მისი ხელფასი, კვირაში 70 ათასი ფუნტი. კონფედერაციის თასის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი ლონდონში აპირებს დაბრუნებას და საკითხიც, წესით, მალევე უნდა გადაწყდეს.

## მანონე კაბებში მიდის

„სანდერლენდ ეხოს“ ცნობით, „სანდერლენდის“ იტალიელმა დამრიგებელმა **პაოლო დი კანიომ** „ლივერპულში“ გადასული **სიმონ მინიოლეს** შემცვლელად თანამემამულე ვიტო მანონე დაიბევა. 25 წლის მეკარეს „მეთოფეებთან“ ხელშეკრულებაში ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი. შესაბამისად, კლუბს უკანასკნელი შანსი გააჩნდა, რომ მასში კომპენსაცია მიელო და ცხადია, შეთავაზება მიილო.

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი



# რუნი მოიესის პირისპირ

ყინული გალღვა: უეინ რუნი დევიდ მოიესს შეხვდა

დაი, ისიც! „სანის“ მტკიცებით, უქმეებზე **დევიდ მოიესი** და **უეინ რუნი** პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც, ცხადია, ფეხბურთელის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკეს. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ყველაფერი ილონა, რომ მოლაპარაკებების შესახებ პრესას არაფერი შეეტყო, მაგრამ ბრიტანეთში ხომ მასმედიას არანაკლებ მძლავრი საცეცები აქვს, ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურ MI5-ს.

ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით, „სანი“ ირწმუნება, რომ 27 წლის თავდამსხმელმა ახალ დამრიგებელს ძველზე შესჩივლა და აუხსნა, რომ „იუნაიტედიდან“ წასვლის შესახებ ოფიციოზთან არასოდეს სიტყვაც კი არ დაუძრავს იმის მიუხედავად, რომ ამას ამტკიცებდა თავად სერ **ალექს ფერგიუსონი**. „შეუძლებელია, ეჭვი შეგეპაროს მოიესის გულწრფელობაში, როცა აცხადებს, რომ რუნის დატოვება სურს. მავანთა მტკიცება, რომ მხარეთა შორის ცუდი ურთიერთობაა, სისულელეა. შესაძლოა, პირველივე შეხვედრამ ყველაფერი ვერ მოაგვაროს, მაგრამ ფეხბურთელს იმის საშუალება მაინც მიეცა, რომ საკუთარ პრობლემებზე ამოელო ხმა,“ - აცხადებს „იუნაიტედის“ წარმომადგენელი. რუნისა და მოიესს შორის შეხვედრა უახლოეს დღეებში კიდევ შედგება და საბოლოო გადაწყვეტილებაც ჩვენთვის მხოლოდ ამის მერე თუ გახდება ცნობილი.

## ევრა წავა თუკი...

**პატრის ევრაზე**, როგორც ბებერი კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ განაპირა მცველზე ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდნენ, როცა ის „მონაკოში“ თამაშობდა. პატრისი 2004 წელს სწორედ **დიდიე დეშამის** გუნდიდან მიიწვიეს საფრანგეთის ნაკრებში (48 მატჩი). 2006 წლიდან კი ის „ოლდ ტრეფორდზე“ თამაშობს და გუნდის ერთ-ერთ ვიცე-კაპიტნად ითვლება.

„მანჩესტერ იუნაიტედში“ **დევიდ მოიესის** დანიშვნის შემდეგ „წითელმა ეშმაკებმა“ ევრას მონტევიდეოს „ნასიონალიდან“ ახალგაზრდა კონკურენტი **გილერმო ვარელა** მიჰგვარეს. ამას გარდა ლაპარაკია „ევერტონიდან“ **ლეიტონ ბეინსის** შეძენაზეც. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ „ქუინზ პარკთან“ საიჯარო ხელშეკრულება დაუმთავრდა და გუნდს უბრუნდება **ფაბიო და სილვაც**. დაგვეთანხმებით, 4 მარცხენა მცველი მეტისმეტია. ცხადია, ეს ევრასაც ესმის და აცხადებს, რომ თუკი კლუბი ბეინსს შეიძენს, ის მზად არის, 7-წლიანი განშორების შემდეგ „მონაკოს“ დაუბრუნდეს. უკანასკნელი ყველაფერს აკეთებს შემადგენლობის გასაძლიერებლად და ერთ-ერთ კანდიდატად ამისთვის 32 წლის ფრანგს განიხილავს. ვეტერანს „ეშმაკებთან“ ხელშეკრულება ერთი წლის თავზე უმთავრდება. ესეც რომ არ იყოს, „მონაკოსთვის“ საკომპენსაციო თანხა ნამდვილად არ იქნება მიუწვდომელი. ლაპარაკია 5,5 მილიონ ფუნტზე.

## ახალი კონტრაქტი დე ხეას

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ესპანელ **დავიდ დე ხეას** ახალ, გაუმჯობესებულ ხელშეკრულებას სთავაზობს იმის მიუხედავად, რომ მოქმედს ვადა მხოლოდ 2016 წლის ზაფხულზე გასდის. 22 წლის მეკარე ამჟამად კვირაში 55 ათას ფუნტს იღებს. თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში კი მისი ანაზღაურება 75 ათასამდე გაიზრდება. მიუხედავად არასტაბილურად ჩატარებული პირველი წრისა, „ეშმაკების“ კარის დარაჯმა ისეთ პროგრესს მიაღწია, რომ მისით „ბარსელონა“ დაინტერესდა და მას **ვიქტორ ვალდესის** შემცვლელად განიხილავს. „იუნაიტედის“ სამწვრთნელო შტაბის გათვლა ძალიან მარტივია. მათ კვალიფიციური ფეხბურთელის რაც შეიძლება დიდი ხნით დაბევება სურთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ესპანიოლი სინკლერით დაინტერესდა

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის“ ცნობით, „ესპანიოლმა“ „მანჩესტერ სიტის“ ოფიციალურად შესთავაზა 24 წლის **სკოტ სინკლერის** ერთწლიანი იჯარა. „ქალაქელებმა“ ფეხბურთელი შარშან ზაფხულს „სუონსიდან“ 6 მილიონ ფუნტად შეიძინეს, მაგრამ რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მისგან სარგებელი ვერ მიიღეს. სკოტმა ვერ შეძლო კონკურენციასთან გამკლავება და ღრმა რეზერვისტად იქცა. **ხესუს ნავასის** შეძენის შემდეგ კი **მანუელ პელეგრინის** მისი სამსახური აშკარად აღარ დასჭირდება. ფეხბურთელის იჯარით აყვანას გეგმავს მისი ყოფილი კლუბიც, ვისაც ევროპალიგაზე აქვს სათამაშო და შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს.

## მაკგიდი კი არა, ჰონდა

„ევერტონის“ ესპანელმა თავკაცმა **რობერტო მარტინესმა** უარყო გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ლივერპულური კლუბი მოსკოვის „სპარტაკიდან“ ირლანდიელი ნახევარმცველის, 27 წლის **ეიდენ მაკგიდის** ყიდვას აპირებს. მისი თქმით, ეიდენი მაღალი დონის პროფესიონალია, მაგრამ „ევერტონს“ განსხვავებული სატრანსფერო გეგმები აქვს. შეგახსენებთ, რომ მარტინესი იანვარში მაკგიდის შეძენას ჯერ კიდევ „უიგანში“ მუშაობისას ცდილობდა. ესპანელმა განსხვავებულ გეგმებში ალბათ რუსული ცსკა-დან **კეისუკე ჰონდათი** დაინტერესება იგულისხმა. 27 წლის იაპონელს ხელშეკრულება წლის ბოლოს უმთავრდება. შესაბამისად, არმიელებს ამ ზაფხულს მისი გაყიდვის უკანასკნელი შანსი ეძლევათ. ჰონდა რუსეთში კარიერის გაგრძელებას არ აპირებს, თუმცა მისი დამატება „მილანსაც“ სურს.

## ჩელსიდან წასულების საქმე

გუშინ „ჩელსისთან“ 4 ფეხბურთელს დაუმთავრდა ხელშეკრულება და კლუბი მათ ოფიციალურად გამოეთხოვა. ესენი არიან: **ფლორან მალუდა** (33 წლის), **იოსი ბენაიუნი** (33), **პაულო ფერეირა** (34) და **როს ტერნბული** (28). დარწმუნებულები ვართ, რომ არც ერთი მათგანი უმუშევარი არ დარჩება. მალუდას კონკრეტული წინადადება უკვე მიღებული აქვს პირეოსის „ოლიმპიაკოსისგან“. მას საშუალო რანგის კლუბები იწვევენ საფრანგეთიდანაც. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ სად განაგრძობს კარიერას ბენაიუნი. ცნობილია მხოლოდ ერთი კონკრეტული პრეტენდენტი - „ვესტ ბრომვიჩი“, ვინც ფეხბურთელს 2-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობს. „დიახ, „ვესტ ბრომვიჩის“ შემოთავაზება უკვე მივიღეთ. ისლა დაგვრჩენია, სხვა წინადადებებს შევადაროთ და გადაწყვეტილება ისე მივიღოთ. ინგლისის გარდა არსებობს გერმანული და ესპანური ვარიანტებიც. იოსი დიდი ხანი თამაშობდა ინგლისში და ჩემპიონატს შეჩვეულია. შესაბამისად, პრემიერლიგა პრიორიტეტი იქნება,“ - განაცხადა ბენაიუნის აგენტმა **რონენ კაცავმა**.

## კიდევ ერთი რუსული კლუბი ინგლისში

„დეილი მეილის“ მტკიცებით, ერთ-ერთი რუსული ბიზნესჯგუფი მზად არის, „ჩარლტონ ატლეტიკის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინოს. ლონდონური კლუბი ამჟამინდელმა მესაკუთრეებმა **ტონი ხიმენესმა** და **მაიკლ სლეიტერმა** 2010 წლის ზაფხულზე შეიძინეს და მასში გასაძლიერებლად სოლიდური თანხები დააბანდეს. მეტ ფულს ისინი უბრალოდ ვერ გაიღებენ. მით უფრო, რომ კლუბს საშუალოდ წელიწადში 7,5 მილიონი ფუნტის ზარალი მოაქვს. ამას ემატება ისიც, რომ გულშემატკივარს ჩემპიონშიპში თამაში არ აკმაყოფილებს. რუსული წყაროების ცნობით, ხიმენესსა და პოტენციურ ინვესტორებს დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ისინი საერთო ბიზნესს ფლობენ კვიპროსში. შესაბამისად, მოლაპარაკებები ძალიან არ უნდა გართულდეს. ხიმენესი და სლეიტერი კლუბის გასხვისებას შარშანაც ცდილობდნენ, მაგრამ თურქულმა კომპანიამ მათ ბოლო ეტაპზე უთხრა უარი.

2012/13 წლების სეზონი **კრის პაუელის** გუნდმა რანგით მეორე ლიგაში მე-9 ადგილზე დაასრულა.

**ლევან ბიბილაშვილი**

არგენტინა. წლის სუპერფინალი

# ველესის მეათე საჩემპიონო

**ველეს სარსფილდი-ნიუელსი 1:0**

**გოლი:** 1:0 პრატო (9)

**ველესი (4-3-1-2):** ს. სოსა - კუბერო, ტობიო, ს. დომინგესი, პაპა - ბელია (30. პერუცი), რაცოტი, გაგო (72. სერო) - ფ. ინსუა - პრატო (69. ლ. რომერო), ფ. ფერეირა

**ნიუელსი (4-3-2-1):** გუსმანი - მ. კასერესი, ვერხინი, ჰაინცე, კასკო - პ. პერესი (73. ურუტი), ბერნარდი, კრუსადო (64. ტონსო) - ფიგეროა, მაქსი როდრიგესი - სკოკო

**გამოუყენებელი პენალტი:** სკოკო (31. ნიუელსი)

**გაფრთხილება:** კუბერო, პაპა, ს. სოსა, ფ. ინსუა, რაცოტი - ვერხინი, პ. პერესი, კრუსადო

**გაძევება:** კუბერო (28. ველესი)

**„ველეს სარსფილდის“ და „ნიუელს ოლდ ბოისის“ დაპირისპირებით არგენტინაში 2012/13 წლების სეზონი დასრულდა. ორი ტურნირის, „ტორნეო ინისიალის“ და „ტორნეო ფინალის“ გამარჯვებული ერთმანეთს სეზონის ჩემპიონის გამოსარკვევად შეხვდა.**

## რეგლამენტი

2012 წლის ზაფხულში, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონატის რეგლამენტის შეცვლა გადაწყვიტა და აი, ასეთი უცნაური რაღაც მოიფიქრა: „ტორნეო ინისიალის“ (ყოფილი აპერტურა) და „ტორნეო ფინალის“ (ყოფილი კლაუსურა) გამარჯვებულები (ცალცალკე ჩემპიონები კი გახდებოდნენ, მაგრამ შემდეგ ეს გუნდები ერთმანეთს ე.წ. „სუპერფინალში“ დაუპირისპირდებოდნენ და კიდევ ერთ საჩემპიონო ტიტულს გაითამაშებდნენ. დაახლოებით ანალოგიური სისტემაა ურუგვაიში, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ აპერტურას და კლაუსურას გამარჯვებულნი ფინალურ შეხვედრაში ერთ ჩემპიონს არკვევენ და ურუგვაისაც სეზონში ერთი ჩემპიონი ჰყავს, არგენტინაში კი ყველანაირ რეკორდს ამხობენ და ამ სეზონში სამი საჩემპიონო ტიტული გასცეს - „ტორნეო ინისიალის“ და სეზონის ჩემპიონი „ველეს სარსფილდი“ გახდა, „ტორნეო ფინალის“ კი „ნიუელს ოლდ ბოისი“. ისე, „ნიუელსს“ ისტორიული შედეგის დაფიქსირება შეეძლო: სუპერფინალში „ველესი“ რომ დაემარცხებინა, **ხერარდო მარტინოს** გუნდი ერთ კვირაში არგენტინის ჩემპიონი ორჯერ (!) გახდებოდა.

მოკლედ, არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ლამის ყოველი გადაწყვეტილებით ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე არაკომპეტენტური ფედერაციაა მსოფლიოში.

## თამაში

თავად თამაში სანახაობრივი ვერ გამოვიდა და ამაში მთავარი დამნაშავე „ველესის“ კაპიტანი **ფაბიან კუბერო** გახლავთ. ურუგვაელმა 28-ე წუთისთვის ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. ამის შემდეგ, „ველეს სარსფილდს“ შეტევაზე აღარც უფიქრია და მთლიანად საკუთარი კარის დაცვაზე გადავიდა. კუბერო მატჩის ანტიგმირი არ გამხდარა - ეს „წოდება“ მას **იგნასიო სკოკომ** წაართვა. მეორე ყვითელი ბარათი კუბერომ **მაქსი როდრიგესთან** საჯარიმოში უხეშობის გამო მიიღო. არბიტრმა **ნესტორ პიტანამ** პენალტი დანიშნა, რომელიც „ტორნეო ინისიალის“ და „ტორნეო ფინალის“ საუკეთესო ბომბარდირმა ვერ გამოიყენა. სკოკომ ზედიზედ მესამე პენალტი ვერ გაიტანა.

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ლუკას პრატომ**. „ჯენოას“ ყოფილმა ფეხბურთელმა მე-9 წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა, ხოლო მას შემდეგ რაც ნომინალური მასპინძლი კაცნაკლული დარჩა, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა და ძალიან ბევრი იშრომა.

„ველესი“ თავს დიდი ძალებით კი იცავდა, მაგრამ „ნიუელსს“ რეალური საგოლე შანსები მაინც ჰქონდა. **მილტონ კასკომ** 5 მეტრიდან თავით, პრაქტიკულად ცარიელ კარში ვერ გაიტანა (ააცილა), მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა **ვიქტორ ფიგეროამ**, მაქსი როდრიგესმა და **სანტიაგო ვერხინიმ** კი 4 მეტრიდან კარში ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხეს, არადა მათ ხელს არავინ უშლიდა. მოკლედ, „ძველი ბიჭები“ წაგებას მხოლოდ საკუთარ თავს თუ დააბრალებენ.

საბოლოოდ, მატჩი 1:0 დასრულდა და „ველეს სარსფილდმა“ ისტორიაში მე-10 საჩემპიონო ტიტული მოიპოვა და „სან ლორენსოს“ წამოეწია. პროფესიულ ეპოქაში, ამ გუნდებზე მეტჯერ ჩემპიონატში მხოლოდ მეორე დივიზიონში გავარდნილმა „ინდეპენდიენტემ“ (14), „ბოკა ხუნიორსმა“ (24) და „რივერ პლეიტმა“ (33) იმარჯვეს.



შეხვედრის გმირი ლუკას პრატო გახდა

ჩემპიონობის გარდა **რიკარდო გარეკას** გუნდმა 2013 წლის კოპა სუდამერიკანას, 2014 წლის ლიბერტადორესის თასის და არგენტინის სუპერთასის საგზურები მოიპოვა.

„ნიუელსმა“ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო, თანაც ისე, რომ ამ სამ შეხვედრაში (თასზე, ინისიალის ბოლო ტურში და სუპერფინალში) გოლი არ გაუტანია. ახლა, ხერარდო მარტინოს გუნდს ლიბერტადორესის თასის 1/2 ფინალი ელის (ატლეტიკო მინეიროსთან) და თუ არ მოუმატა, სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალი გვერდზე დარჩება.

აქვე პოპულარული საიტის Goal.com-ის აზრით, „ტორნეო ფინალის“ სიმბოლურ ნაკრებს შემოგთავაზებთ:

**მეკარე:** სებასტიან სახა (რასინგი)

**მცველები:** მარკოს კასერესი (ნიუელსი), ლისანდრო ლოპესი (არსენალი), გაბრიელ ჰაინცე (ნიუელსი), ლეონელ ვანხიონი (რივერი)

**ნახევარმცველები:** გვიდო პისარო (ლანუსი), კრისტიან ლედესმა (რივერი), მაქსი როდრიგესი (ნიუელსი)

**თავდამსხმელები:** ლუსიანო ვიეტო (რასინგი), ემანუელ ჟიგლიოტი (კოლონი), იგნასიო სკოკო (ნიუელსი)

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი. U 20. III ტური



ინგლისელები შინ ნაადრევად გაემგზავრნენ

# ერაყის სიურპრიზი, ინგლისელთა ფიასკო

## თურქეთში ჯგუფური ეტაპი დასრულდა

**A ჯგუფი**

**ესპანეთი–საფრანგეთი 2:1**

გოლები: 1:0 ალკასერი (23), 2:0 ხესე როდრიგესი (56), 2:1 ვიონი (91)

**განა–აშშ 4:1**

გოლები: 1:0 აჩეამპონგი (38), 2:0 ასიფუა (58), 2:1 ონილი (69), 3:1 ასიფუა (78), 4:1 აშია (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 3. განა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 4. აშშ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

**B ჯგუფი**

**ს. კორეა–ნიგერია 0:1**

გოლი: 0:1 კაიოდე (9)

**პორტუგალია–კუბა 5:0**

გოლები: 1:0 რიკარდო (15), 2:0 ალაჯე (37), 3:0 ბრუმა (43), 4:0 ბრუმა (62), 5:0 ტო ზე (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 10-4 | 7 |
| 2. ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 3. ს. კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. კუბა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |

**C ჯგუფი**

**ავსტრალია–თურქეთი 1:2**

გოლები: 1:0 მაკლარენი (52), 1:1 ჩალჰანოგლუ (54), 1:2 იოკუშლუ (87)

**ელ სალვადორი–კოლუმბია 0:3**

გოლები: 0:1 რენტერია (21), 0:2 კორდობა (25-პენ), 0:3 კინტერო (91)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლუმბია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ელ სალვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |
| 4. ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

**D ჯგუფი**

**საბერძნეთი–პარაგვაი 1:1**

გოლები: 1:0 დიამანტაკოსი (68), 1:1 მონტენეგრო (73)

**მალი–მექსიკა 1:4**

გოლები: 0:1 ბუენო (2), 0:2 კორონა (13), 1:2 დიალიო (62), 1:3 ესკობოსა (69), 1:4 ლუნა (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 2. პარაგვაი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. მექსიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 4. მალი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |

**E ჯგუფი**

**ეგვიპტე–ინგლისი 2:0**

გოლები: 1:0 ტრეზეგე (79), 2:0 მაჰგუბი (93)

**ერაყი–ჩილე 2:1**

გოლები: 1:0 კამილი (15), 1:1 მორა ალიაგა (28), 2:1 სალმანი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერაყი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 2. ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3. ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 4. ინგლისი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |

**F ჯგუფი**

**უზბეკეთი–ურუგვაი 0:4**

გოლები: 0:1 ასევედო (38), 0:2 ლოპესი (47), 0:3 დე არასკაეტა (64), 0:4 ბეტანკური (77)

**ხორვატია–ახ. ზელანდია 2:1**

გოლები: 1:0 პერიცა (11), 2:0 რებიჩი (75), 2:1 ფენტონი (84-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. ურუგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-1 | 6 |
| 3. უზბეკეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 4. ახ. ზელანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**მე-3 ადგილოსანთა ჩათვლა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 2. უზბეკეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 3. მექსიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 4. განა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 5. ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 6. ელ სალვად. | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |

**1/8 ფინალი**

**2 ივლისი**

ესპანეთი-მექსიკა
საბერძნეთი-უზბეკეთი
ნიგერია-ურუგვაი
საფრანგეთი-თურქეთი

**3 ივლისი**

პორტუგალია-განა
ხორვატია-ჩილე
კოლუმბია-ს. კორეა
ერაყი-პარაგვაი

**ბომბარდირები:** 5 - ბრუმა (პორტუგალია); 4 - ხესე როდრიგესი (ესპანეთი); 3 - აბდულ ჯელეელ აჯაგუნი (ნიგერია), ალაჯე (პორტუგალია).

**ვინაიდან** თურქეთში მიმდინარე მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შემდეგ 24 გუნდიდან უმრავლესობა (16) აგრძელებს ტურნირს, უმჯობესია, ის ნაკრებები ჩამოვთვალოთ, რომლებიც შინ გაემგზავრნენ. ორი უიღბლო მესამეადგილოსანი ეგვიპტე და ელ სალვადორია, ხოლო ჯგუფებში ბოლო ადგილებზე აშშ, კუბა, ავსტრალია, მალი, ინგლისი და ახალი ზელანდია.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც ყველა მატჩი მოიგო ხულენ ლოპეტეგის ესპანეთის ნაკრებია.

## აღმოჩენა

უთუოდ ერაყის ნაკრებია: **ჰაკეემ ალ აზავის** ბიჭები ცუდად იწყებდნენ, მაგრამ ინგლისთან თითქმის წაგებული მატჩი გადაარჩინეს და საბოლოოდ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ბოლო ტურში ჩილელებმა შემადგენლობაზე ექსპერიმენტები ჩაატარეს, რითაც ერაყელებმა ისარგებლეს, მოიგეს და მერვედფინალშიც ანთალიაში დარჩნენ. მათი მეტოქე პარაგვაის ნაკრები იქნება.

## იმედგაცრუება

ტურნირის ყველაზე დიდი იმედგაცრუება, ისევე როგორც 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, ინგლისის ნაკრები იყო. გუნდს **პიტერ ტეილორი** წვრთნიდა, კაცი, რომელსაც რეკორდულად ცოტა ხნით მისცეს ინგლისის ეროვნული ნაკრები გასაწვრთნელად - ერთი მატჩით. მართალია, 13 წლის წინ ის მატჩი ინგლისელებმა იტალიასთან წააგეს, მაგრამ ტეილორმა პირველად ჩააბარა კაპიტნის სამკლაური **დევიდ ბექჰემს**, ნაკრებში კი **ბარი, კარაგერი, ფერდინანდი, ჰესკი** და სხვები მიიწვია და ამით ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო. ახლა კი 60 წლის სპეციალისტმა ვერაფერი გააწყო არცთუ ძლიერ ჯგუფში, სადაც საბოლოოდ ინგლისის ნაკრები 2 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლა ლიგა

# ლა ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი

ლა ლიგაში ორწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებულ „ალმერიას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **ფრანსისკო როდრიგესი.** სეგუნდა დივიზიონის პლეი ოფის მოგების შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ანდალუსიურ კლუბს **ხავი გრასია** დატოვებდა, მაგრამ პარასკევს, 43 წლის სპეციალისტმა გამოაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ვერაფრით შეუთანხმდა ახალ კონტრაქტზე და „ალმერიადან" მიდის.

ნავარელი სპეციალისტი 35 წლის ფრანსისკო ხავიერ როდრიგეს ვილჩესმა შეცვალა, რომელსაც ესპანეთში მოკლედ, ფრანსისკოს ეძახიან. მას „ალმერიას" ხელმძღვანელობამ 1-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

ფრანსისკო ალმერიელია, ფეხბურთელობისას ფორვარდი იყო და ძირითადად სეგუნდა დივიზიონის გუნდებში თამაშობდა (ალმერია, გრანადა, ალბასეტე). 32 წლის ასაკში ფეხბურთს შეეშვა და მწვრთნელობა დაიწყო. მან ჯერ „ალმერიას" ჭაბუკთა გუნდი გაწვრთნა, ბოლო ორი წელიწადი კი კლუბის სარეზერვო შემადგენლობას ედგა სათავეში.ფრანსისკო ლა ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი იქნება, რადგან ის „რეალ სოსიედადის" ახალ თავკაც **ხაგობა არასატეზე** 2 თვით უმცროსია.

## ცვლილებათა ქარი

სეზონის დასრულების შემდეგ ეს უკვე მეცხრე (!) შემთხვევაა, როცა ლა ლიგის გუნდმა მწვრთნელი გამოიცვალა, რაც თითქმის მონაწილეთა ნახევარი.

4 ივნისს „ვალენსიაში" **ერნესტო ვალვერდეს** ნაცვლად **მიროსლავ ჯუკიჩი** მივიდა; 8 ივნისს **ფილიპ მონტანიეს** ნაცვლად „რეალ სოსიედადში" ხაგობა არასატე დანიშნეს; იმავე დღეს **აბელ რესინო** „სელტაში" **ლუის ენრიკემ** შეცვალა; 10-ში **ხოაკინ კაპაროსი** „ლევანტეში" **ხუან იგნასიო მარტინესის** ნაცვლად მივიდა; 14-ში **ბერნდ შუსტერმა** „მალაგაში" **მანუელ პელეგრინი** შეცვალა; 3 დღის შემდეგ „ლევანტედან" წასული მარტინესი „ვალიადოლიდში" დაინიშნა; 21 ივნისს **მარსელო ბიელსას** ნაცვლად „ბილბაოს" ხელმძღვანელობამ ერნესტო ვალვერდე მიიწვია; 25 ივნისს მადრიდის „რეალს" დაედგა თავი: **ჟოზე მოურინიო კარლო ანჩელოტიმ** შეცვალა და აი, „ალმერიაში" ფრანსისკო როდრიგესი ვიხილეთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფრანსისკო როდრიგესის მისია „ალმერიას" ელიტაში დატოვება იქნება

ქველმოქმედი

# ინიესტამ ბავშვობის გუნდი კიდევ ერთხელ იხსნა



ანდრეს ინიესტა ალბასეტეს მაისურით

კასტილიურ კლუბ „ალბასეტეს" ძალიან გაუმართლდა, რადგან ბავშვობაში მის ღირსებას **ანდრეს ინიესტა** იცავდა. რომ არა „ბარსელონას" 29 წლის ნახევარმცველი „ალბასეტე" არსებობას შეწყვეტდა.

ანდრესი კატალონიელი არ არის, ის კასტილია ლა-მანჩას პროვინციაში დაიბადა, ქალაქ ალბასეტეს სიახლოვეს. 12 წლის ასაკში ის უკვე „ბარსელონას" „ლა მასიაში" ჩაირიცხა, მანამდე 2 წელი კი პატარა ანდრესი ბურთს „ალბასეტეს" ბავშვთა გუნდში აგორებდა. მიუხედავად ამის, ანდრესმა არ დაივიწყა ყოფილი გუნდი, 2011 წელს მისი მთავარი აქციონერი გახდა და კლუბის დავალიანება ფეხბურთელებისადმი, რის გამოც ის კოტრდებოდა სრულად გადაიხადა. ეს კი 420 ათასი ევრო იყო.

მესამე დივიზიონში მოთამაშე „ალბასეტეს" კიდევ ერთხელ დაემუქრა საფრთხე, გუნდს სასწრაფოდ უნდა გადაეხადა 240 ათასი ევრო, თორემ მე-4 დივიზიონში დააქვეითებდნენ. ამჯერადაც, ანდრესმა გამოიჩინა გულისხმიერება და კიდევ ერთხელ იხსნა კლუბი.

„ალბასეტე" 2005 წელს გავარდა პრიმერა დივიზიონიდან და მას მერე მისი საქმე უკან მიდის.

არადა, „ალბასეტეს" სხვა ვარსკვლავებიც ყოლია: **ისმაელ ურსაისი, სალვა, ფერნანდო ნავარო, ფერნანდო მორიენტესი, ხოსე მოლინა, ივან ელგერა, ხოსე ანტონიო კამაჩო, კარლოს როა, ზაგო, მარკ გონსალესი** და სხვები.

ბარსელონა

# რუბი, ტიტოს ახალი ასისტენტი

„ბარსელონას" მთავარ მწვრთნელ **ტიტო ვილანოვას** ახალი ასისტენტი ჰყავს.

**ჟოან ფრანსესკ ფერერ სისილია** ანუ **რუბი** აქამდე სეგუნდა დივიზიონში მოთამაშე „ჟირონას" მთავარი მწვრთნელი იყო. „ჟირონა" ახლოს იყო ლა ლიგაში გადმოსვლასთან, მაგრამ პლეი ოფში დამარცხდა და 43 წლის რუბიც გუნდიდან წავიდა.

რუბი ახალ სამსახურში 15 ივლისს უნდა გამოცხადდეს, სწორედ მაშინ იწყებს „ბარსელონა" ახალი სეზონისთვის მზადებას. ვილანოვას ასისტენტმა 1+1 სისტემით მოაწერა ხელი კონტრაქტს.

შეგახსენებთ, რომ ტიტო ვილანოვა პარალელურად მკურნალობის კურსს გადის, რის გამოც მას ლა ლიგის გასულ სეზონში ბევრი გაუცდა და მას ასისტენტი **ჟორდი როურა** ცვლიდა. როურა კვლავ რჩება სამწვრთნელო შტაბში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რუბიმ გასულ სეზონში „ჟირონა" კინაღამ ლა ლიგაში გადაიყვანა

ბარტერი

# ჯილარდინო რომას უახლოვდება

## სანაცვლოდ, ბორიელო ჯენოაში რჩება



მარკო ბორიელო და ალბერტო ჯილარდინო

იტალიური პრესა ამტკიცებს, რომ „ჯენოა" და „რომა" საინტერესო ბარტერს ამზადებენ. დიდი შანსია, მომდევნო სეზონიდან **ალბერტო ჯილარდინომ** „რომაში" ითამაშოს, სანაცვლოდ კი „ჯენოამ" თავისთან **მარკო ბორიელო** დაიტოვოს. მარკო გასულ სეზონშიც „ჯენოაში" ირჯებოდა, მხოლოდ იჯარის წესით, მის სატრანსფერო უფლებებს კი სწორედ „რომა" ფლობს და 31 წლის ფორვარდს 7 მილიონ ევროდ აფასებს. აქვე ვთქვათ, რომ გასულ ჩემპიონატში ბორიელომ 28 მატჩი გამართა და 12 გაიტანა. რაც შეეხება ალბერტო ჯილარდინოს, ის „ჯენოას" საკუთრებაშია, მაგრამ იჯარით „ბოლონიაში" ირჯებოდა. მოკლედ, ჩახლართული ვითარებაა, მაგრამ ამ დღეებში, შეიძლება ყველაფერი დალაგდეს. ამ თემაზე კომენტარი „ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** გააკეთა:

*„ჯილარდინო უმაღლესი კლასის ფორვარდია, მაგრამ ჩვენ სათამაშო სტილს ბორიელო უფრო უხდება. ამიტომ, ძალიან გვინდა მარკო გამოვისყიდოთ და ჩვენთან დავიტოვოთ. ვადასტურებ, რომ „რომასთან" ბარტერის თაობაზე გვაქვს მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქურ გუნდში ჯილა უნდა გადაბარგდეს. უახლოეს დღეებში, „ჯალორროსის" მესვეურებთან შეხვედრას გავმართავ და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*

„რომაში" გადასვლის სურვილი ბრაზილიაში მყოფმა 30 წლის ალბერტო ჯილარდინომ უკვე დააფიქსირა: *„რომაელებს ამბიციური გეგმები აქვთ და ამ გუნდის ნაწილი დიდი სიამოვნებით გავხდებოდი. იმედია, მოლაპარაკება წარმატებით ჩაივლის და კარიერას „ჯალორროსიში" გავაგრძელებ. ეს ჩემთვის ახალი შანსი და გამოწვევა იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ადრიანო გალიანის სატრანსფერო გეგმები

## 10 მილიონი ლიაიჩის სანაცვლოდ...

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ იტალიურ პრესასთან კლუბის მომავალ სატრანსფერო გეგმებზე ილაპარაკა

### ანდრეა პოლი

პრესაში დაიწერა, რომ ანდრეა პოლი უკვე „მილანის“ ფეხბურთელია, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. „სამპდორიას“ ბოსებთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და შეიძლება ითქვას, რომ დასკვნით ფაზაშია. თუმცა შეთანხმებამდე ჯერ არ მივსულვართ.

### ხავიერ პასტორე

პასტორეს გადაბირება ჩვენს გეგმაშია, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება. პსჟ-ს მესვეურებს არგენტინელი არ ეთმობათ, ჩვენ კი იმდენი თანხა არ გვაქვს, ფრანგებს სასურველი ფეხბურთელი დავათმობინოთ. მიუხედავად ამისა, მცდელობას არ ვაკლებთ.

### ჟერემი მენეზი

მენეზით ჩვენი დაინტერესების შესახებ პრესიდან შევიტყვე და შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით. ჟერემი საინტერესო ფეხბურთელია და თუ პარიზიდან აბარგება სურს, შესაძლოა დავფიქრდეთ კიდეც. ასე რომ, ზოგჯერ ჟურნალისტები გვაწვდიან საჭირო რჩევებს.

### მარკო ვერატი

პსჟ-ს გეგმებში მარკო ვერატის გაშვება არ შედის და ეს თემა შეგვიძლია დავხუროთ.

### ადემ ლიაიჩი

დასამალი არაფერია - ლიაიჩის სანაცვლოდ, „ფიორენტინას“ 10 მილიონი ევრო შევთავაზეთ, საბოლოო სიტყვა კი ფლორენციელებზეა. მასიმილიანო ალეგრის ადემის თამაში ძალიან მოსწონს და იმედია, ტრანსფერი შედგება.

### იეპესი წავიდა

მართალია, „მილანი“ სატრანსფერო ბაზარზე ვარსკვლავებს ვერ ეთამაშება, მაგრამ გარკვეული სიახლეები ამ გუნდის ბანაკიდანაც გვაქვს. მაგალითად, 37 წლის **მარიო იეპესს** კლუბთან ხელშეკრულება გუშინ დაუმთავრდა და მის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. აღარ თუ ველარ, ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ მომდევნო სეზონიდან კოლუმბიელი სხვა გუნდის ღირსებას დაიცავს. ამის შესახებ განცხადება თვითონ მარიომ გააკეთა:

*„მილანური გრანდის მესვეურებმა კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზეს, მაგრამ უარი განვაცხადე. მიზეზი? - მთავარი მწვრთნელი ვერ მპირდება, რომ რეგულარულად ვითამაშებ, ეს კი ჩემთვის მიუღებელია. მომდევნო ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატია, ამ ტურნირს კი იდეალურ ფორმაში უნდა შევხვდე. ამიტომ, თავისუფალი აგენტი გავხდი და იქ გადავალ, სადაც სასტარტო შემადგენლობაში ვიასპარეზებ. რამდენიმე შემოთავაზება უკვე მაქვს, რაც ძალიან მახარებს. დიდია შანსი, იტალიაში დავრჩე და კარიერა სერია A-ში გავაგრძელო“.*

**ლაშა ნიკლაური**



ადრიანო გალიანის ჯერ ბევრ კითხვაზე არ აქვს პასუხი

ბარტერი




ვალტერ მაცარი და ხუან ცუნიგა

# მაცარი ცუნიგას თავისთან უხმობს

## ნეაპოლელებს რანოკია სურთ

„ნაპოლის“ გარემარბის **ხუან ცუნიგას** გადაბირება არაერთ ევროპულ გრანდს სურს, რომელთა შორის „ბარსელონასა“ და „იუვენტუსის“ გამორჩევა შეიძლება, მათ რიცხვს კი „ინტერიც“ დაემატა. იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, მილანურ გრანდს 27 წლის კოლუმბიელის გადაბირების მეტი შანსი აქვს, რადგან ამ გუნდს ვალტერ მაცარი წვრთნის, ხუანის ექს და შესაძლოა, მომავალი დამრიგებელი. „კორიერე დელო სპორტი“ გვაუწყებს, რომ მილანელებმა უკვე ჩამოუგდეს სიტყვა ნეაპოლელებს და საპასუხო წინადადებაც მიიღეს - ლაპარაკია, ცუნიგას „ინტერში“ გადაბარგების სანაცვლოდ, „ნაპოლიში“ **ანდრეა რანოკიას** გადასვლაზე. ნეაპოლელებს ცენტრალური მცველი, **პაოლო კანავარო** „დაუბერდათ“ და როგორც ჩანს, მის შემცვლელზე ზრუნავენ. საპასუხო სიტყვა „ინტერზეა“, თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობს მოვლენათა ასეთ განვითარებაზე 25 წლის რანოკია:

*„ნეაპოლი? - შესანიშნავი ქალაქია, სადაც სიგიჟემდე უყვართ ფეხბურთი. რაც შეეხება ჩემს „ნაპოლიში“ შესაძლო გადასვლას, ჯერჯერობით ამის შესახებ მხოლოდ ხმები მომივიდა, კონკრეტული წინადადებით კი არავის მოუმართავს. მილანში თავს კარგად ვგრძნობ, სხვაგან გადასვლა არ მსურს, მაგრამ თუ კლუბი ჩემს გაშვებას გადაწყვეტს, წინააღმდეგი არ ვიქნები. ფეხბურთელისთვის მთავარია მწვრთნელის ნდობას გრძნობდეს და თუ ასე არაა, ჯობია გარემო გამოიცვალო“.*

**ლაშა ნიკლაური**

კალჩო



სერია A-ს 2013/14 წლების სეზონი 25 აგვისტოს დაიწყება

# ლეგა კალჩომ თარიღები დაადგინა

„ლეგა კალჩოს“ მორიგ ყრილობაზე, ახალი სეზონის თარიღები დადგინდა, რომელიც სერია A-ს, ქვეყნის თასის და სუპერთასის გათამაშებებს ეხება. სუპერთასის ამბავი რამდენიმე დღის წინ გაცხადდა და მაშინვე გაუწყეთ, რომ „ლაციო“ და „იუვენტუსი“ ერთმანეთს 18 აგვისტოს დაუპირისპირდებიან. რაც შეეხება იტალიის თასს, შესარჩევი ეტაპის პირველი რაუნდი 4 სექტემბერს დაიწყება, ფინალური მატჩი კი 3 მაისს გაიმართება. აქვე ვთქვათ, რომ ფინალური მატჩის თარიღის სათადარიგო ვარიანტად 7 მაისი შეირჩა.

რაც მთავარია, დადგინდა სერია A-ს ტურების თარიღები. ჩემპიონატი 25 აგვისტოს აიღებს სტარტს და 18 მაისს დასრულდება. ტურების აბსოლუტური უმრავლესობა უქმეებზე გაიმართება, თუმცა 3-ჯერ გუნდები შუა კვირაში, ოთხშაბათს ეპაექრებიან ერთმანეთს: 25 სექტემბერს, 30 ოქტომბერს და 26 მარტს. ჩემპიონთა ლიგაზე მოასპარეზე გუნდები პერიოდულად თავიანთ მატჩებს პარასკევს გამართავენ, რაც აპრობირებული მეთოდია.

**ლაშა ნიკლაური**

პერსონა

# სიმონე პეროტამ კარიერა დაასრულა

35 წლის **სიმონე პეროტა** კარიერის დასრულებაზე რამდენიმე დღის განმავლობაში ფიქრობდა და საბოლოოდ, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. „რომამ“ პეროტას კონტრაქტის გახანგრძლივება არ შესთავაზა, სხვა გუნდში გადასვლას კი ფეხბურთელმა კარიერის დასრულება ამჯობინა. აქვე მისი კომენტარი:

*„ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ კარიერის დასასრულებლად იდეალური დროა. ჩემი გული „რომას“ ეკუთვნის და მსურდა, ბოლო მატჩი სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში ჩამეტარებინა. მართალია, ეს ბოლო მატჩი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული იყო ჩემს კარიერაში, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. ვგულისხმობ იტალიის თასის ფინალურ პაექრობას, სადაც „ლაციომ“ დაგვამარცხა. ეს თამაში ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება და ალბათ, ვერასდროს მოვინელებ. დიდი სურვილი მაქვს, რომ „რომას“ მენეჯმენტში დავრჩე და საყვარელი კლუბისთვის ვილვაწო, თუმცა ეს თემა ჯერ არავისთან განმიხილავს. ნებისმიერ შემთხვევაში, „რომას“ გულშემატკივრად ვრჩები და ამ გუნდის წარმატება ყოველთვის გამახარებს“.*

სიმონე პეროტა 2004 წლიდან „რომას“ ფეხბურთელია - ამ ხნის განმავლობაში, დედაქალაქური კლუბის ღირსება 246-ჯერ დაიცვა და 26 გოლი გაიტანა. პეროტას რეგულარულად იძახებდნენ იტალიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში - მის ანგარიშზე 48 სანაკრებო მატჩი და 2 შედეგიანი დარტყმაა. პეროტა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონია და რა თქმა უნდა, ეს მისი საფეხბურთო კარიერის ყველაზე დიდი მიღწევაა.

**ლაშა ნიკლაური**




სიმონე პეროტამ კარიერის დიდი ნაწილი „რომაში“ გაატარა

მილანი



# უცნაური მადლობა

საკმაოდ უცნაურად გადაუხადა მადლობა „მილანმა“ ყოფილ კაპიტან **მასიმო ამბროზინის** . ვეტერან ფეხბურთელს „მილანთან“ კონტრაქტი 30 ივნისს დაუმთავრდა. ამის აღსანიშნავად „მილანის“ ხელმძღვანელობამ „გაძეტა დელო სპორტის“ მთელი გვერდი შეიძინა და ამ გვერდზე გადაუხადა მადლობა კაპიტანს ძველი დამსახურებებისთვის.

*„17 სეზონი: 489 მატჩი, 36 გოლი, 12 ტიტული, 6 205 დღე, 33 791 წუთი „მილანის“ მაისურით, მადლობა, კაპიტანო“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### სუონსის ახალწვეული

„სუონსი“ აგრძელებს ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების „შეგროვებას“. „გედებმა“ ამჯერად სლოვენიის უმაღლესი ლიგის „დომჟალედან“ 17 წლის მეკარე **გრეგორ ზაბრეტი** შეიძინეს. რა დაუჯდათ უელსელებს გარიგება, უცნობია. *„საინტერესო წინადადებები უხვად მქონდა. მათ შორის „ვესტ ბრომვიჩისა“ და „სპორტინგისგან“, მაგრამ უპირატესობა „სუონსის“ მივანიჭე. მესმის, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ დასაწყისია და იმისთვის, რომ თამაშის უფლება მოვიპოვო, მუხლჩაუხრელი შრომა დამჭირდება,“* - აცხადებს ახალგაზრდა სლოვენიელი.

**მიკაელ ლაუდრუპს** ძირითად გუნდში ორი მაღალი კლასის გოლკიპერი ჰყავს - ჰოლანდიელი **მიხელ ვორმი** (29 წლის) და გერმანელი **გერჰარდ ტრემელი** (34). ასე რომ, ზაბრეტს პირველ ეტაპზე დუბლებში მოუწევს საკუთარი ნიჭის დემონსტრირება.

### პაულინიოსგან შევიწროებულნი

ბრაზილიის ნაკრების 24 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **პაულინიომ** „უაით ჰართ ლეინზე“ რამდენიმე ფეხბურთელს სერიოზული საფიქრალი გაუჩინა. მათ შორის **სკოტ პარკერს** (32 წლის), **ჯეიკ ლივერმორსა** (23) და **ტომას ჰადლსტოუნს** (26). „დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაციით, „ტოტენჰემიდან“ უკანასკნელის გადაბირებას „სანდერლენდის“ თავკაცი **პაოლო დი კანიო** აპირებს. „შავი კატები“ მზად არიან, ჩრდილოლონდონელებს ფეხბურთელში 5 მილიონი ფუნტი მიუთვალონ. ჰადლსტოუნის გაყიდვას „დეზები“ შარშანაც ცდილობდნენ, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. სამივე ფეხბურთელის წასვლის შემდეგაც კი **ანდრე ვილაშ ბოაშს** ნახევარდაცვის ცენტრში **რანიერ სანდრო** (24), **მუსა დემბელე** (25), **ტომ კეროლი** (21) და **ლუის ჰოლტბი** (22) რჩება.

**ლევან ბიბილაშვილი**

კონფედერაციათა თასი. ბრაზილია 2013. მატჩი III ადგილისთვის

# გმირი ბუფონი, საუკეთესო კავანი

**ურუგვაი-იტალია 2:2 პენ. 2:3**

**გოლები:** 0:1 ასტორი (24), 1:1 კავანი (58), 1:2 დიამანტი (73), 2:2 კავანი (78)

პენალტების სერია: 0:0 ფორლანი (მეკარე), 0:1 აკვილანი, 1:1 კავანი, 1:2 ელ შაარავი, 2:2 სუარესი, 2:2 დე შილიო, 2:2 მ. კასერესი (მეკარე), 2:3 ჯაკერინი, 2:3 გარგანო (მეკარე)

**ურუგვაი (4-3-3):** მუსლერა - მაქსი პერეირა (81. ალვარო პერეირა), ლუგანო, გოდინი, მ. კასერესი - გარგანო, არევალო რიოსი (107. დ. პერესი), კ. როდრიგესი (56. ა. გონსალესი) - სუარესი, ფორლანი, კავანი

**იტალია (4-3-2-1):** ბუფონი - მაჯო, ასტორი (96. ბონუჩი), კიელინი, დე შილიო - კანდრევა, დე როსი (70. აკვილანი), მონტოლივო - დიამანტი (83. ჯაკერინი), ელ შაარავი - ჯილარდინო

**გაფრთხილება:** მაქსი პერეირა, სუარესი - კიელინი, მონტოლივო

**გაძევება:** მონტოლივო (110. იტალია)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 21-19 (15-11); **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 43 382



იტალიელებს ჯიჯიმ მოაგებინა

**როგორც მოსალოდნელი იყო, მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი სანახაობრივი და თანაბარი გამოდგა. 90 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და საჭირო გახდა დამატებითი დრო, სადაც ურუგვაიმ მეტოქეს კი აჯობა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა, პენალტების სერიაში კი გაიბრწყინა ჯანლუიჯი ბუფონმა, ვინც 5 დარტყმიდან 3 მოიგერია და ბრინჯაოს მედლები „სკუადრა აძურას" მოუტანა.**

შეხვედრის ძირითადი დროის განმავლობაში მაყურებელს მოწყენის საშუალება არ ჰქონდა - ფეხბურთელებმა არაერთი ლამაზი ეპიზოდი და რაც მთავარია, არაერთი ლამაზი გოლი გვაჩუქეს, თუმცა ანგარიში კურიოზულ ვითარებაში გაიხსნა. 24-ე წუთზე, **ფერნანდო მუსლერამ** კომიკური შეცდომა დაუშვა - **დიამანტის** ჩაწოდების შემდეგ ურუგვაელთა კიპერმა ტრაექტორია ვერ გათვალა, ბურთი ძელიდან კეფაში მოხვდა და კარის ხაზზე მყოფ **დავიდე ასტორის** მიუგორდა, რომელმაც ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა და „სკუარდა" დააწინაურა.

მეორე ტაიმში მაყურებელმა სამი ერთმანეთზე ლამაზი ბურთი იხილა. ჯერ იტალიელთა შეცდომის შედეგად წამოწყებული კონტრშეტევა **გარგანოს** შესანიშნავი პასით და კავანის არანაკლებ კარგი დარტყმით დასრულდა, ამას კი დიამანტის გოლი მოჰყვა - **ელ შაარავის** მიერ გამომუშავებული სტანდარტული „ბოლონიას" შემტევმა იდეალურად შეასრულა და მუსლერას შანსი არ დაუტოვა. პირველი გოლისგან განსხვავებით, „გალათასარაის" მეკარეს ამ სიტუაციაში ვერ დავადანაშაულებთ. დიამანტიმ ეს გოლი 73-ე წუთზე გაიტანა, ზუსტად 5 წუთში კი კიდევ უფრო ლამაზი ბურთი ედინსონ კავანიმ შეაგდო და დუბლი შეასრულა. „ნაპოლის" ფორვარდმა უფრო შორი მანძილიდან დაარტყა და **ჯიჯი ბუფონს** ზედა კუთხეში გაუტანა. აღსანიშნავია, რომ დარტყმა ისეთივე ზუსტი არ იყო, როგორც დიამანტის შემთხვევაში, მაგრამ გაცილებით ძლიერი გახლდათ და პრაქტიკულად აუღებელთა კატეგორიიდან იყო.

საბოლოოდ, 90 წუთი ასეც დასრულდა - 2:2. აი, დამატებით დროში უპირატესობას უკვე მთლიანად **ოსკარ ტაბარესის** გუნდი ფლობდა, იტალიას კი დალლა დაეტყო, რაც გასაკვირი სულაც არაა - „სკუადრა აძურამ" 1/2 ფინალშიც 120 წუთი, თანაც „სელესტეზე" ერთი დღით გვიან ითამაშა. სამხრეთამერიკელებმა რამდენიმე მომენტი შექმნეს, ერთხელ პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. დაინიშნა 11-მეტრიანები, რომლის დროსაც გაიბრწყინა ჯიჯი ბუფონმა და ყველა ის კრიტიკოსი დაადუმა, ვინც მის დაბერებაზე საუბრობდა - 35 წლის მეკარემ 3 პენალტი აილო და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა.

იტალიამ 2013 წლის კონფედერაციათა თასი მესამე ადგილზე დაასრულა, ურუგვაი კი, 2010 წლის მუნდიალის მსგავსად, აქაც მეოთხე ადგილზე გავიდა.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

**ედინსონ კავანი (ურუგვაი)**

ბუფონის გმირობის მიუხედავად, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დუბლის ავტორი ედინსონ კავანი დაასახელეს, რომელმაც პენალტების სერიაშიც გაიტანა. 26 წლის თავდამსხმელმა ორი მართლაც გამორჩეული და ლამაზი გოლი მიითვალა. აქამდე, კავანის ერთზე მეტი გოლი სულ ერთხელ, 2010 წელს, ინდონეზიის ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდა გატანილი, როდესაც აზიელ მეტოქეს ჰეთთრიქი შეუსრულა, ურუგვაიმ კი 7:1 მოიგო.

ტატო ბაციკაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი




პეპ გვარდიოლა და მისი თანაშემწეები

## გვარდიოლამ რიბერი ცენტრფორვარდის პოზიციაზე ათამაშა

**ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდში მიუნხენის „ბაიერნი“ პირველ ტესტმატჩს ყოველთვის თავის რომელიმე ფანკლუბის ნაკრებთან ატარებს ხოლმე და ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა: რეკორდმაისტერი ვილდენაუს ფანკლუბის ნაკრებს შეხვდა - მატჩი 11 000 მაყურებლის თვალწინ ჩატარდა, რომელიც „ბაიერნმა“ მოლოდინისამებრ დიდი ანგარიშით, 15:1 მოიგო. ეს გახლდათ მიუნხენური გრანდის პირველი ამხანაგური შეხვედრა ხოსეპ გვარდიოლას ხელმძღვანელობით.**

პოლიციელებისგან, სტუდენტებისგან, მექანიკოსებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული მოყვარულთა გუნდი „ბაიერნის“ ძალის საზომად რომ არ გამოდგება, ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ ამ მატჩშიც ბევრი რამ იყო საინტერესო. **ხოსეპ გვარდიოლა** თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში რალაც-რალაცებს იწერდა, ფეხზე კი მხოლოდ ერთხელ წამოხტა. მეორე ტაიმში პეპმა **ჟერომ ბოატენგი** მიიხმო და დიდხანს ესაუბრებოდა. პეპის გვერდით, სათადარიგო ფეხბურთელებთან ერთად, მისი ასისტენტები **დომენეკ ტორენტი** და **ჰერმან გერლანდი**, ასევე „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** ისხდნენ.

„ბაიერნმა“ თამაში **იუპ ჰაინკესის** ფორმაციის ტაქტიკით, 4-2-3-1 დაიწყო, თუმცა პეპმა სქემა პირველივე ტაიმში რამდენჯერმე შეცვალა და გუნდი ხან 4-1-4-1-ზე, ხანაც 4-3-3-ზე გადაანყო. მეორე გუნდის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელით დაკომპლექტებულმა „ბაიერნმა“ პირველი ტაიმი 3:0 მოიგო, შესვენებაზე კი გვარდიოლამ თითქმის მთელი შემადგენლობა გამოცვალა. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ მეორე ნახევარში **ფრანკ რიბერი** ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა - პეპმა ფრანგი გარემარბი ზუსტად იმ პოზიციაზე გაამწესა, რომელზეც „ბარსელონაში“ **ლიონელ მესის** ათამაშებდა. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ რიბერი ცენტრალური თავდამსხმელის რანგში ოფიციალურ შეხვედრებშიც ვიხილოთ ხოლმე.

პირველი გოლი „ბაიერნის“ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელმა **ოლივერ მარკუტცმა** გაიტანა, მერე კი **მიულერმა, რანკოვიჩმა, ვაინრაუხმა** (4-ჯერ), **კროოსმა, გრინმა** (3), **ვაიზერმა** (2) და **რიბერიმ** (2) იხეირეს. ფანკლუბის ნაკრებიდან კი პრესტიჟის გოლი **ფიორსტერმა** შეაგდო.

*„გვარდიოლას ხელმძღვანელობით ვარჯიში და თამაში ძალიან სასიამოვნოა. პეპს უამრავი ახალი იდეა აქვს. ყველაფერთან ერთად, მას ისიც ეტყობა, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელი იყო, - განაცხადა მატჩის შემდეგ რიბერიმ და იქვე დასძინა, - ჰეთ-თრიკის გამეორება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის მაქსიმალური კონცენტრაცია იქნება საჭირო.“*

თავად გვარდიოლას ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის ისევ არაფერი უთქვამს - პეპმა მატჩის შემდეგ გუნდის ავტობუსს უკომენტაროდ მიაშურა.




● დორტმუნდის ბორუსია

# მხითარიანს დორტმუნდში უნდა!

## ბილდმა ჰენრიხს სომეხი ზიდანი უწოდა

უკვე არაერთხელ გაუწყეთ, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი დორტმუნდის „ბორუსია“ დონეცკის „შახტარის“ სომეხი ვარსკვლავით, **ჰენრიხ მხითარიანითაა** დაინტერესებული - გერმანულ და უკრაინულ გრანდებს შორის უკვე პირველი მოლაპარაკებაც შედგა, რაც ორივე მხარემ დაადასტურა.

24 წლის მხითარიანის გადაბირება პრემიერლიგის კლუბებს, „ლივერპულს“ და „ტოტენჰემსაც“ სურდათ, მაგრამ ინგლისური „ინდეპენდენტის“ ინფორმაციით, ფეხბურთელმა ორივეს უარი შეუთვალა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, მხითარიანს „დორტმუნდში“ გადასვლა უნდა, მაგრამ „ბორუსია“ და „შახტარი“ სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან. ცნობილია, რომ დორტმუნდელებმა დონეცკელებს 23 მილიონი ევრო შესთავაზეს, „შახტარი“ კი 30 მილიონს ითხოვს.

მხითარიანი უდავოდ უნიჭიერესი და უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელია, მაგრამ ღირს კი მასში 30 მილიონი ევროს გადახდა? - „დორტმუნდის“ ხელმძღვანელები ახლა სწორედ ამაზე ფიქრობენ. აღსანიშნავია, რომ მხითარიანი „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპის** ტაქტიკურ სქემაში იდეალურად ჯდება - 4-2-3-1-ში მას ორივე ფლანგზე ან გამთამაშებლად თამაში შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, „ბაიერნში“ გადასული **მარიო გიოტცეს** შეცვლა შეუძლია.

გერმანული ტაბლოიდი „ბილდი“ მხითარიანს „სომეხ ზიდანს“ უწოდებს - თუმცა ამის მიზეზი ახლა პირველ რიგში ისაა, რომ თავად ჰენრიხი სწორედ ზიზუს ფანია და ამბობს, ყველაფერში ლეგენდარულ ფრანგ ათიანს ვბაძავო.



ჰენრიხ მხითარიანმა ლივერპულსა და ტოტენჰემს უარი შეუთვალა

● შალკე

# 70 წლის შემდეგ...

## მეორე მსოფლიო ომში დაღუპული შალკელის ნეშტს გერმანიაში გადაასვენებენ

ნახევარ საუკუნეზე მეტია, „შალკე“ გერმანიის ჩემპიონი არ გამხდარა, ბუნდესლიგა კი (1963 წელს დაარსდა), სულაც არასდროს მოუგია. თუმცა „შალკე“ უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდია - გელზენკირხენულ კლუბს თავისი სასაფლაოც კი აქვს, სადაც ღვაწლმოსილი შალკელები განისვენებენ. რომ არა მეორე მსოფლიო ომი, ლეგენდარული შალკელი **ადოლფ ურბანიც** ამ სასაფლაოზე იქნებოდა დაკრძალული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ურბანი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელია, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და მისი ნეშტი რუსეთშია იყო დაკრძალული, ახლა კი, მისი დაცემიდან 70 წლის შემდეგ, „შალკეს“ ხელმძღვანელები მას გერმანიაში გადაასვენებენ.

ვისაც ურბანის შესახებ არაფერი სმენია, მის ისტორიას მოკლედ მოვყვებით: ადოლფ „ალა“ ურბანი 1914 წელს, გელზენკირხენში დაიბადა და ამ გუნდის ისტორიის ისეთივე ნაწილია, როგორც ლეგენდარული ფეხბურთელები **ფრიტც სცეპანი** და **ერნსტ კუცორა**. მარცხენა გარემარბი ურბანი სწორედ მათი თანაგუნდელი და მათთან ერთად, „შალკეს“ ლიდერი იყო. ის ხუთჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, გერმანიის ნაკრებში კი 21 მატჩი ჩაატარა (11 გოლი). ურბანსი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს. ის 1943 წელს დემიანსკში 29 წლის დაიღუპა და მას მერე კორპოვოშია დაკრძალული.

ურბანის გადასვენება „შალკეს“ ამჟამინდელი ბოსის, **კლემენს ტიონიესის** იდეაა, რომელიც დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **პეტერ პეტერსთან** ერთად მაისში რუსეთში გაემგზავრა და ფორმალობები მოაგვარა. ურბანის ნეშტს გერმანიაში ახლო მომავალში გადაასვენებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კლემენს ტიონიესი ადოლფ ურბანის საფლავთან, რუსეთში



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს თასი

# ახალი ტურნირი ძველი პრობლემებით

**ამ უქმეებზე დილომში მდებარე ძიუდოს აკადემიამ ბერძენ-რომაულად მოჭიდავეთა შორის საქართველოს თასს უმასპინძლა, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო შეჯიბრება აღმოჩნდა – იყო ლამაზი ორთაბრძოლები, მოულოდნელი სიურპრიზები, ლიდერთა სუსტი გამოსვლა, ჩხუბი და ჟურნალისტთა ტრადიციული პრობლემა ხელების გადაგრეხის მცდელობის ფონზე...**
**იმის მიუხედავად, რომ ეს მთავარი და, როგორც ამბობენ, ერთადერთი შესარჩევი შეჯიბრებაა სექტემბერში ბუდაპეშტში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ტურნირმა მაინც მოისაკლისა რამდენიმე საყურადღებო ფალავანი. ყველაზე დიდი დანაკლისი მძიმე წონის ლიდერ გურამ ფერსელიძის არყოფნაა – თურმე ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი სახელფასო ანაზღაურებითაა უკმაყოფილო და ამიტომ არ გამოვიდა. ითქვა მეორე ვერსიაც, რომ ბოლო დღეებში მოიწამლა. ძალიან ცუდია, თუ მართლაც პროტესტის გამო არ იასპარეზა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი დონის ფალავანი 500-ლარიან ხელფასზე მეტს იმსახურებს.**

ასევე არ უჭიდავიათ **ზურაბ კეკელიძეს** (55), **ლაშა გოგიტაძეს** (60) და კიდევ რამდენიმე ისეთ ფალავანს, თავიანთ წონებში ამინდს რომ ქმნიან, თუმცა აქ პროტესტი არაფერ შუაშია. არც ახალგაზრდული ნაკრების ლიდერები გამოსულან, რომლებიც გუშინ დილით მაკედონიაში გაფრინდნენ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. ვეჭვობთ, იმათგან ბევრი შეძლებდა მთლად ჩემპიონობას თუ არა, კვარცხლბეკზე ასვლას მაინც, თუმცა არც გამარჯვება იყო გამორიცხული – აკი იმ გუნდის ორმა ლიდერმა, **ედნარ შავაძემ** (55) და **რობერტ ქობლიაშვილმა** (84) უფროსებში საქართველოს ჩემპიონატი უკვე მოიგეს. ძალიან საინტერესო იქნებოდა მძიმე წონაში **იაკობ ქაჯაიას** გამოსვლაც, რომელიც ასევე საჩემპიონო კაცი გვგონია. ძალიან ცუდი, მას თუ უფროსებში მსოფლიოზე წასვლის შანსი არ მიეცემა.

## ტურნირის მთავარი მესიჯი

საქართველოს თასმა ერთი კარგი ტენდენცია წარმოაჩინა – ამჯერად წარმატება მოიპოვა და წინა პლანზე წამოვიდა ახალგაზრდების მთელი პლეადა, რომლებსაც ასაკობრივ ნაკრებებში სერიოზული წარმატებები ჰქონდათ, მათგან უფროსებშიც „ნათელ მომავალს" ველოდით, მაგრამ მიზეზთა გამო შეფერხდნენ. მეტიც – ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონები **ვასილ იმერლიშვილი** და **ვლადიმერ ქარჩავა** (ორივე - 96) ბოლო წლებში არც ჩანდნენ, დიდად არც ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს მედალოსანი **სერგო დიხამინჯია** ჩანდა, რომელიც ამჯერად 96-ში გამოვიდა. მედალოსანთა შორის სხვაც ბევრია ახალი თაობის წარმომადგენელი, თუმცა ასაკობრივებიდან შედარებით ნაცნობები, აი, ბათუმელი **ნიკა კელასოვი** და თბილისელი **შალვა ხაჩიძე** (ორივე – 84) პირველად ავიდნენ ასეთ სოლიდურ კვარცხლბეკზე.

## ლიდერთა ჩავარდნა

რატომღაც ისე მოხდა, რომ ევროპის წლევანდელი პირველობის მედალოსნები თუ მონაწილეები სუსტად გამოვიდნენ – ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონთან, ქუთაისელ **გიორგი ცირეკიძესთან** გაფრთხილების ხარჯზე დამარცხდა, რაც, ალბათ, ტურნირის მთავარი მოულოდნელობა იყო; ევროპის მეორე ვიცე-ჩემპიონი – **ზურაბ დათუნაშვილი** (74) ამაზე შორს კი წავიდა და ნახევარფინალამდეც მიაღწია, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონ **ილია გულბათაშვილთან** დამარცხდა (არადა, პირველ ორ შეხვედრაში **ლაშა ლოლაშვილსა** და **დავით კუჭაშვილს** 8:0 სძლია, **გიორგი ჯავახიას** 2:0 მოუგო, მაგრამ გულბათაშვილი ამჯერად უფრო ძლიერი აღმოჩნდა); **მანუჩარ ცხადაია** მეორე შეხვედრაში **თორნიკე ძამაშვილთან** დამარცხდა (0:3; 0:2). ალბათ, 55-შიც **ბაჩანა ფუტკარაძესა** და **გიზო მელაძეზე** მეტად უფრო სხვათა ფინალისტობას ველოდით – ფავორიტებად ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ბათუმელი **ნიკა ცეცხლაძე** (რომლის დაქუხებასაც სპეციალისტები აქამდეც ელოდნენ, მაგრამ ეს დრო არც ახლა დადგა), ქუთაისელები – **დავით სანიკიანი** და **გიორგი გვენეტაძე** (თუმცა ეს კარგა ხანია, აჭარის ნაკრებში გამოდის) მიიჩნეოდნენ, მაგრამ რიონისპირელები პრიზიორებშიც ვერ მოხვდნენ. ამ სამეულიდან სანიკიანი გვენეტაძესთან დამარცხდა, დანარჩენებს კი მომავალმა ჩემპიონმა ფუტკარაძემ მოუგო.

იაკობ ქაჯაიას არყოფნის მიუხედავად, ალბათ, სპეციალისტები მძიმე წონაშიც მოვლენათა სხვაგვარ განვითარებას ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ძნელად რომ ვინმეს ეფიქრა ქუთაისელი ძმების – **სერგო და შოთა გოგისვანიძეების** უმედლოდ დარჩენა. ეგ კი არა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ შოთას სანუგეშოში გადასვლის შანსიც არ მიეცა – პირველივე შეხვედრაში **ბექა კანდელაკთან** 0:3 დამარცხდა. სერგომ ორი შეხვედრა წააგო – ძირითადში მომავალ ფინალისტ **ვლადიმერ ქარჩავასთან** ასევე 0:3, დამამშვიდებელში კი კიდევ ერთ ოზურგეთელ **სამუკა დარჩიასთან.** ფრიად მოულოდნელი იყო მძიმე წონაში ქარჩავასა და სოსო ჯაბიძის გამოჩენა – დღემდე ორივე 96-ში გამოდიოდა და ოზურგეთელი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონია, ბაღდათელი – უფროსებში ევროპის პრიზიორი.



ცხადია, ლიდერთა წაგების ზუსტ მიზეზებს ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი წესების შემოღების შემდეგ სიურპრიზები სხვა ქვეყნებში ჩატარებულ ტურნირებზეც ვიხილეთ. ერთი შეხედვით, ისეთიც თითქოს არაფერია, ალლო ვერ აუღონ, მაგრამ ეტყობა, გადაწყობას მაინც სჭირდება გარკვეული დრო, პრაქტიკა... თუმცა დათუნაშვილი და ცხადაია გადალლილებიც ჩანდნენ. განსაკუთრებით – ცხადაია, რომელიც დაახლოებით 80 კილოგრამიდან იკლებს. არადა, მარტში ევროპაზე 66-ში იჭიდავა!

ფავორიტებიდან იმიჯი ყველაზე მეტად **რევაზ ლაშხმა** (60) და **საჩინო დავითაიამ** (66) გაამართლეს, თუმცა 60-გან განსხვავებით, 66-ში დავითაიას სერიოზული მოცილე ჰყავს - **ფირუზ წულუკიძე**, რომელიც ამჟამად სკოპიეშია. მართალია, დავითაია საქართველოს წლევანდელი ჩემპიონიცაა, მაგრამ სათვალავიდან ამოსაგდები არც წულუკიძეა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აი, ლაშხს ასეთი კონკურენტი არავინ უჩანს წონაში. ოღონდ თვითონაც თუა ოპტიმალურ ფორმაში. ევროპის პირველობისგან განსხვავებით, ის ამ შეჯიბრებას მომზადებული შეხვდა და გაანადგურა მეტოქეები – **რამაზ სურმანიძეს** 7:0 მოუგო, **მამუკა მიქელაძეს** – 8:0, ფინალში კი თავადაც კარგად მოჭიდავე **თორნიკე თურქიშვილი** იოლად ჩაიყვანა ჩოქბჯენში და ძალზე თავისუფლად, უპრობლემოდ ატრიალა ორივე მხარეს, სანამ პირველივე წუთზე ანგარიში 7:0 არ გახადა. დავითაიას მთლად ასე ცალი ხელით არ მოუგია, მაგრამ არც დიდად გასჭირვებია. ვფიქრობთ, მისთვის ყველაზე დაძაბული მაინც ფინალი იყო, სადაც საქართველოს ჩემპიონატის მსგავსად, ამჯერადაც მარადი აბულაძეს აჯობა, თუმცა ახლა შედარებით გაუჭირდა და გამარჯვებას მხოლოდ გაფრთხილებების ხარჯზე მოპოვებული ორი ქულით მიაღწია. 60 კილოგრამში ყველაზე დაძაბული ახალგაზრდებში ევროპის 2009 წლის ჩემპიონ **მინდია წულუკიძისა** (ოღონდ მაშინ 50 კილოგრამში გამოდიოდა) და იმავე ტურნირის ვერცხლის მედალოსან **არჩილ თურმანიძის** მეოთხედფინალური პაექრობა გამოდგა, რომელიც ბარე ნახევარ საათს გაგრძელდა. ასეთი „საჭიდაო მარათონი" ცალკე მსაჯების შეცდომებმა, ცალკე კი ტრავმებმა გამოიწვიეს – სპორტსმენებს ექიმთა დახმარება ხშირად და ხანგრძლივად სჭირდებოდათ. ორივე სპორტსმენი აჭარის ნაკრებიდანაა, რამაც ემოციების მოთოკვაში გადამწყვეტი როლი კი ითამაშა, მაგრამ მწვრთნელები მსაჯებს მაინც ხშირად ეკამათებოდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ. საბოლოოდ ეს მარათონი თურმანიძემ მოიგო, მაგრამ მაინც უმედლოდ დარჩა – ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში სამტრედიელ **გოგიტა გოგიბერაშვილთან** წააგო.

## ჩხუბი, ჟურნალისტები და დაცვის ბიჭები

ტურნირის ყველასათვის უსიამოვნო მოვლენა ხელჩართული ჩხუბით დასრულებული 84 კილოგრამის ფინალი გამოდგა ცირეკიძესა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **რევაზ ნადარეიშვილს** შორის. შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად მიდიოდა, თუმცა ილეთის გაკეთებას ვერც ერთი ახერხებდა. უფრო აქტიური ცირეკიძე ჩანდა, რომელიც ფიზიკურად აღემატებოდა კონკურენტს. ერთ-ერთ ეპიზოდში ცირეკიძემ მეტოქეს სახეში ხელი მიარტყა თუ მოუხვდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ შეგნებულ უხეშობას არ ჰგავდა და თან მსგავსი ფაქტი ლამის ყოველ შეხვედრაში ხდება. არც ნადარეიშვილს ეტყობოდა რამე განსაკუთრებით გაბრაზებულისა, თუმცა განახლდა თუ არა შეხვედრა, თავით იმდენად ძლიერად ჩაარტყა მეტოქეს, ქუთაისელი ფალავანი მოწყვეტით დავარდა ლეიბზე. აი, ეს ეპიზოდი კი უკვე ნამდვილად არ ჰგავდა შემთხვევითს და მსაჯებმაც მყისვე მოხსნეს ნადარეიშვილი. სხვათა შორის, მას ეს არც გაუპროტესტებია, პირიქით, მეტოქეს ხელი ჩამოართვა, მოუბოდიშა და გადაეხვია კიდეც. ყველას ეგონა, რომ ინციდენტი ამით დასრულდა, მაგრამ საქმეში მისი ერთ-ერთი მწვრთნელი ჩაერია, რომელმაც მსაჯებსა და მეტოქის მწვრთნელებზე გინებ-გინებით გაიწია, რასაც პირველი ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ეს იყო და დარბაზმა ერთბაშად იხუვლა, მაყურებელი ლეიბზე გადავიდა და იქ უკვე ქარბორბალა დატრიალდა. ყველაზე მეტი ჩხუბის ამტეხს მოხვდა, თუმცა კიდევ კარგი, შაბათს დარბაზში ბევრი ქომაგი არ იყო, თორემ კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა... ასეთი მოჩხუბრები საერთოდ არ უნდა შემოუშვა დარბაზშიო, ბობოქრობდა მსოფლიოს ჩემპიონი **მიხეილ სალაძე**, რომელმაც რამდენიმე ვეტერანთან ერთად დიდი როლი შეასრულა ინციდენტის ამოწურვაში, თუმცა მტყუან-მართალის ხმამაღალი ყვირილის თანხლებით გარჩევა გასახდელებსა და შენობის სხვა ფლიგელებში კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა. ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია მისი შენიშვნა, რომ მოჩხუბართა კასტაზე რაღაც შეზღუდვებია დასაწესებელი – საფეხბურთო მატჩებზე თუ ხდება ეს, რატომ არ შეიძლება ჭიდაობასა და ძიუდოზე? იქაც ხომ ძირითადად ერთი და იგივე ხალხი არღვევს წესრიგს?

ეს ინციდენტი როგორღაც კი ჩააცხრეს, მაგრამ აქ უკვე მოვლენათა ეპიცენტრში ჟურნალისტები აღმოვჩნდით – როგორც მერე დავადგინეთ, დარბაზში წესრიგის დასაცავად საგანგებოდ მოყვანილმა პიროვნებებმა „მსოფლიოს სპორტის" ფოტორეპორტიორ **ლაშა კუპრაშვილს**... ჩხუბის ამსახველი კადრების წაშლა მოსთხოვეს! ისინი არა დაცვის ოფიციალური სამსახურის წარმომადგენლები, არამედ დარბაზში ყოველი შემთხვევისთვის, „ვაიდა, რამე მოხდეს და დაგვჭირდეთ" პრინციპით მოყვანილი ექს-მოჭიდავეები აღმოჩნდნენ. ცხადია, კოლეგას დარბაზში მყოფი ორიოდე ჟურნალისტი მყისვე გამოვექომაგეთ, მაგრამ ჩვენი პროტესტი ვერაფერს უშველიდა, საქმეში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე** რომ არ ჩარეულიყო – მისმა კატეგორიულმა მოთხოვნამ ეს ინციდენტიც გაანეიტრალა.

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. ბაჩანა ფუტკარაძე; 2. გიზო მელაძე; 3. ნიკა ცეცხლაძე (სამივე – აჭარა), გიორგი ლომინაძე (ოზურგეთი).
**60 კგ.** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი); 2. თორნიკე თურქიშვილი (მარტყოფი); 3. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), რამაზ სურმანიძე (აჭარა).
**66 კგ.** 1. საჩინო დავითაია (სენაკი); 2. მარადი აბულაძე; 3. უჩა შავაძე (ორივე - აჭარა), გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია).
**74 კგ.** 1. ილია გულბათაშვილი (თბილისი); 2. უშანგი ჩიტიაშვილი (გარდაბანი); 3. გიორგი დათუნაშვილი (თბილისი), გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი).
**84 კგ.** 1. გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი); 2. რევაზ ნადარეიშვილი; 3. შალვა ხაჩიძე (ორივე - თბილისი), ნიკა კელასოვი (აჭარა).
**96 კგ.** 1. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი); 2. ირაკლი ქაჯაია (წყალტუბო); 3. ბექა როყვა (ოზურგეთი), სანდრო დიხამინჯია (თბილისი).
**120 კგ.** 1. ლევან არაბული (თბილისი); 2. ვლადიმერ ქარჩავა; 3. სამუკა დარჩია (ორივე – ოზურგეთი), სოსო ჯაბიძე (ბაღდათი).

ირაკლი თავაძე

## თვის მონაპოვარი

### ივნისი

**1. კალათბურთი.** "ბუდიველნიკის" შემადგენლობაში უკრაინის ჩემპიონი გახდა **გიორგი ცინცაძე.**
**2. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა დუბლინში 0:4 წააგო ამხანაგური მატჩი ირლანდიის ნაკრებთან.
**5. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა სტუმრად დანიასთან წააგო ამხანაგური მატჩი 1:2.
**7. რაგბი.** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი "თბილისის თასი". საქართველოს ნაკრები ირლანდიის ნაკრებთან დამარცხდა - 15:20.
**7-9. წყალბურთი.** საქართველოს ნაკრებმა სტამბოლში ოთხთა საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა.
**11. რაგბი.** "თბილისის თასზე" საქართველოს ნაკრებმა 27:3 მოუგო ურუგვაის ნაკრებს.
**16. რაგბი.** "თბილისის თასზე" საქართველოს ნაკრებმა 16:21 წააგო სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის გუნდთან.
**19. კალათბურთი.** "მონტეპასკისთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა **ვიქტორ სანიკიძე.**
**21-22. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონატზე კადეტთა შორის პირველობა მოიპოვა **მარიამ ჯანაშვილმა** (52 კგ), მესამე ადგილზე გავიდნენ: **მზია ბებოშვილი** (48), **რობინზონ ბეგლარიშვილი** (50), **კობა მჭედლიშვილი** (66), **თამაზ კირაკოზაშვილი** (73) და **დავით რამაზაშვილი** (90).
**22. რაგბი.** ტესტმატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად არგენტინასთან 18:29 დამარცხდა.
**28-29. შვიდკაცა რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ყველა თამაში წააგო, საბოლოოდ კი მე-19 ადგილი დაიკავა.

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

## ბატუტზე ხტომა



### კვარცხლბეკზე დებიუტანტებიც

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ზაქარია აბრამაშვილმა** შარშან ხაშურის სასპორტო სკოლაში ბატუტზე მხტომელთა ჯგუფი გახსნა და თანამოაზრეებთან ერთად ნორჩი სპორტსმენების დაფრთიანება თვითონაც ითავა. თავდადებულმა გარჯამ შედეგიც გამოიღო: ჩემპიონის შეგირდები სადებიუტო შეჯიბრებაში კვარცხლბეკზეც ავიდნენ. მოზარდთა საქართველოს პირველობა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ხაშურის სასპორტო სკოლაში გაიმართა. საპრიზო ადგილებისთვის მასპინძლებთან ერთად თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის 50-მდე წარმომადგენელიც იბრძოდა ოთხ ასაკში. მედლები ზურაბ კიკნაძის, ლია ხრიკულის, ირმა სოლოღაშვილის, რევაზ გამხოშვილის, გარიკ გასპრიანი, ლალა ასკეროვას და ტარიელ ბაშალეიშვილის შეგირდებმა მოიპოვეს. მათ შორის გახლდათ თვით ზაქარია აბრამაშვილის ვაჟი მათე.

დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ:

**უფროს ასაკში. გოგონები.** 1. ნუცა ჭკუასელი, 2. მარიამ გუთნიაშვილი, 3. მარიამ ეგაძე. **ბიჭები.** 1. გიორგი ნაცვლიშვილი (ოთხივე-თბილისი), 2. ონისე თვალავაძე, 3. თორნიკე ბარბაქაძე (ორივე-ქუთაისი).

**უმცროსი ასკში. გოგონები.** 1. ლანა ალხანიშვილი (თბილისი), 2. ქრისტინა სალნიკოვა, 3. ლიანა ფოთელიძე (ორივე-ქუთაისი), **ბიჭები.** 1. ნიკოლოზ აგიევი, გოგა სურმანიძე (ორივე თბილისი), ავთო ფირცხელიანი (ქუთაისი). მეორე-მესამეთანრიგოსნებში მეგი ფარულავა, მარიამ ჯიქია, მარიამ რაგიმოვა, თამაზ ლომსაძე, ნიკა შახბაზიანი, უილიამ საკიანი (ყველა-თბილისი), ანა გოგალაძე, თათია მახარაძე, ნუცა გუბერიძე, მათე და ენერი აბრამაშვილები, დავით გუბერიძე (ყველა ხაშური) გამოირჩნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კონსტანტინე ლაშხმა**, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** და ზაქარია აბრამაშვილმა დააჯილდოვეს.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# შევინარჩუნეთ!



საწყალოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში მეოთხედ გათამაშდა თბილისის თასი. საასპარეზოდ წყალბურთელ ვაჟთა ოთხმა გუნდმა მოიყარა თავი. ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში თურქებსაც უნდა ეასპარეზათ, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი სამხრეთელი მეზობლებიც მონაწილეობდნენ, გვიან დამთავრდა და თურქმა სპორტსმენებმა თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს. მათ ნაცვლად საქართველოს სტუდენტ წყალბურთელთა ნაკრები დაუშვეს, რომელიც 5 ივლისიდან ყაზანში მსოფლიო უნივერსიადაზე მოსინჯავს ძალებს.

თბილისის თასის გათამაშების პირველი დღის შედეგები უკვე გაუწყეთ. მაინც შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველმა ნაკრებმა ბელარუსებს სძლია (18:5), უკრაინამ კი ჩვენს სტუდენტთა გუნდს მოუგო (16:7).

**საქართველო-უკრაინა 11:9**

**2:1, 0:1, 5:4, 4:3**

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ჯახაია, ჩიკვაიძე, იმნაიშვილი, ლაითაძე (1), ბითაძე, ხვედელიანი (1), ბალათურია (2), რურუა, გეგელაშვილი (3), ნიკოლეიშვილი (4), ქავთარაძე, რუსიშვილი, მწვრთნელები - ისელიძე, პოპოვიჩი.

**უკრაინა:** პეტროვი, ცვირკუნი, შილინი (2), რატკოვი (1), დიადიურა (1), ფედორიშინი, აბრამოვი, ალექსეევი, სიტნიკი (1), ვოიტენკო (2), ობედინსკი (1), ბაბაიენკო (1), ვოლონჩუკი, მწვრთნელები - ზავიზიონი, ცუფრიკი.

ასპარეზობის მე-2 დღეს საქართველოს პირველი ნაკრებისა და უკრაინის გუნდების შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ანგარიში მხოლოდ მესამე წუთზე გაიხსნა - ბურთი ხვედელიანმა გაიტანა. ოციოდე წამში სიტნიკმა წონასწორობა აღადგინა. პირველი პერიოდის დამთავრებამდე ბალათურიამ თავისი გუნდი დააწინაურა. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთი სტუმრებმა მოიგეს - 1:0. შესვენების შემდეგ ისელიძე-პოპოვიჩის შეგირდებმა მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა შეძლეს და შეხვედრა ორი ბურთის სხვაობით მოიგეს - 11:9.

**ბელარუსი - საქართველო-2 9:8**

**2:2, 3:2, 1:1, 3:2**

**ბელარუსი:** შანტური, ხრიპაჩოვი, საიუკი, რადჩკო, შაპურაუ, მინუტსკი (2), ივანოვი, კავალიოვი, ტუმასი, ჩუპრინა (3), ჩარბაშანი (3), ფეპარუკი (1), ველიჩკა, მწვრთნელი ფრალოვი.

**საქართველო-2:** ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე (1), ქარჩილაძე, ტუკვაძე (1), ბაქრაძე, ყავლაშვილი (1), ქართველიშვილი (2), გელაშვილი, ურუშაძე (2), სულაძე, გიორგაძე (1), კაკულია, შუბლაძე, მწვრთნელები - გიორგაძე, კალანდაძე.

საქართველოს მე-2 ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს უნივერსიადისთვის ემზადება, გამოუცდელობის მიუხედავად, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სლავებს, მაგრამ მაინც დამარცხებულმა დატოვა სარბიელი.

**უკრაინა -ბელარუსი 14:10**

**2:1, 2:2, 6:4, 4:3**

**უკრაინა:** პეტროვი, ცვირკუნი, შილინი (2), რატკოვი (2), დიადიურა (2), ფედორიშინი, აბრამოვი, ალექსეევი, სიტნიკი (1), ვოიტენკო (3), ობედინსკი (2), ბაბაიენკო (2), ვოლონჩუკი, მწვრთნელები - ზავიზიონი, ცუფრიკი.

**ბელარუსი:** შანტური, ხრიპაჩოვი (1), საიუკი, რადჩკო (1), შაპურაუ, მინუტსკი (1), ივანოვი (1), კავალიოვი, ტუმასი (1), ჩუპრინა (1), ჩარბაშანი (2), ფედარუკი (2), ველიჩკა, მწვრთნელი ფრალოვი.

პირველი ორი დღის ასპარეზობის შემდეგ თითო მოგებით მეორე ადგილზე გასვლის შესაძლებლობას ორი გუნდი ინარჩუნებდა. შანსი უკრაინელებმა გამოიყენეს - 14:10 მოუგეს ბელარუსებს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ბრინჯაო ამ მატჩში დამარცხებულებს ერგოთ.

**საქართველო - საქართველო-2 15:11**

**2:2, 6:2, 3:3, 4:4**

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ჯახაია (1), ჩიკვაიძე (2), იმნაიშვილი, ლაითაძე (2), ბითაძე, ხვედელიანი, ბალათურია (2), რურუა (5), გეგელაშვილი (2), ნიკოლეიშვილი, ქავთარაძე (1), კაპანაძე, მწვრთნელები - ისელიძე, პოპოვიჩი.

**საქართველო-2:** ფავლენიშვილი, ჩიკვაიძე (3), ქარჩილაძე (3), ტუკვაძე, ბაქრაძე (1), ყავლაშვილი, ქართველიშვილი (1), გელაშვილი, ურუშაძე (1), სულაძე (1), გიორგაძე (1), კაკულია, შუბლაძე, მწვრთნელები - გიორგაძე, კალანდაძე.

ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად, „თბილისის თასის“ ბედი გადაწყვეტილი იყო - ისევ საქართველოში რომ დარჩებოდა, არავის ეეჭვებოდა, რადგან იმთავითვე ცხადი იყო, რომ სტუდენტები ეროვნულ გუნდს სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ასეც მოხდა - პირველმა ნაკრებმა 15:11 გაიმარჯვა და მთავარი პრიზიც მოიპოვა.

**ოლეგ ცუფრიკი,** უკრაინის ნაკრების მწვრთნელი: მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებს ტრადიციული გულთბილი მასპინძლობისათვის. საქართველოს ნაკრებს ვულოცავ გამარჯვებას, თუმცა ჩვენი პაექრობა ამით არ დასრულებულა. ორიოდე კვირაში ისევ დავუპირისპირდებით ერთმანეთს, ამჯერად მალტაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და ვეცდებით რევანში ავილოთ. მანამდე საწვრთნელ შეკრებას ჩავატარებთ და ძირითადის 4 მოთამაშეც შემოგვიერთდება.

**ვლადიმერ ისელიძე:** „თბილისის თასის" გათამაშებაც ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-2 რაუნდისთვის უკეთ მოსამზადებლად იყო გამიზნული. საგულისხმოა, ქვეყნის მთავარ ნაკრებში ახალგაზრდული გუნდის ოთხი მოთამაშეც გამოვცადეთ. ესენი არიან ანდრია ბითაძე, ხვიჩა ჯახაია, ზურაბ ჩიკვაიძე და რეზი იმნაიშვილი. უნდა ითქვას, რომ მათ თავი არ შეურცხვენიათ. ორ ივლისს ჩერნოგორიაში გავემგზავრებით საწვრთნელ შეკრებაზე. ბუდვაში ვივარჯიშებთ და ტესტმატჩებსაც გავმართავთ. 10 ივლისს კი მალტაში ჩავალთ, იქ კი 11 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-2 რაუნდში მასპინძლებს, ისრაელს, უკრაინას და ბელარუსს გავუწევთ მეტოქეობას. ყველა გუნდს ვიცნობთ. ფავორიტად საკუთარი კედლების ფაქტორის გათვალისწინებით მალტას მივიჩნევთ, რომელიც უმთავრესად იტალიელი ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული. კუნძულელებთან 2009-2010 წლებში ორი შეხვედრა წავაგეთ და ვეცდებით რევანში ავილოთ. მით უმეტეს, რომ ბუდვაში ნატურალიზებული წყალბურთელები - მარკო ელაჩა, მარკო ელეზი, დამირ ცრეპულია და მარინო ფრანიჩევიჩიც შემოგვიერთდებიან.

- იმ ოთხ წყალბურთელთან ერთად ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, გალაქტიონ ლაითაძე, გიორგი ხვედელიანი, ზურაბ რურუა, მიხეილ ბალათურია, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი და ბექა ქავთარაძე, - ჩაერია საუბარში საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **დავით რურუა.** - მალტისთვის აქტიური მზადება თურქეთის ტურნირით დავიწყეთ. სტამბოლში, მოგეხსენებათ, მასპინძლებს, რუმინელებსა და სლოვაკებს ვძლიეთ და პირველი ადგილი დავიკავეთ, არადა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ რაუნდში სლოვაკეთთან შინ 7:7 ვითამაშეთ. ბუდვაში, ჩერნოგორიელების გარდა, მეტოქეობას გავუწევთ ავსტრალიისა და სერბეთის ნაკრებ გუნდებსაც, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც სექტემბერში ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გამოვა, ხუთი ივლისიდან იტალიაში ხმელთაშუა ზღვის თასზე მასპინძლებს, ფრანგებს, ჩერნოგორიელებსა და სერბებს გაუწევს მეტოქეობას. სტუდენტური ნაკრები კი ყაზანში მსოფლიო უნივერსიადაზე ითამაშებს. ასე რომ, სამ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა და ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



ნანა ძაგნიძე (მარცხნივ)

# საივლისო რეიტინგი

ფიდემ გუშინ თავის საიტზე გამოაქვეყნა მოწინავე მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგი პირველი ივლისისთვის. ქალთა პირველ ათეულში მეხუთე ადგილზეა **ნანა ძაგნიძე** (2558), რომელმაც ახლახან შესანიშნავად ითამაშა ფიდეს გრან პრის მეორე რაუნდში და მე-3 ადგილი დაიკავა. საუკეთესო ათეულის მაჩვენებლები კი ასეთია: იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2596), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2607), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2600), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2594), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2558), ჩჟაო სიუე (ჩინეთი, 2553), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2542), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2551), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2551), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2528), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2528).

რეიტინგით პირველ ასეულში კიდევ რვა ქართველი დიდოსტატია: 13. **ბელა ხოტენაშვილი** (2512), 31. **ლელა ჯავახიშვილი** (2465), 41. **ნინო ხურციძე** (2443), 51. **სალომე მელია** (2428), 54. **სოფიკო გურამიშვილი** (2421), 60. **ნინო ბაციაშვილი** (2405), 88. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 94. **ნაზი პაიკიძე** (2368).

ვაჟთა ასეულს უწინდებურად ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი მეწინავეობს 2862 პუნქტით. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2813), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2796), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2784), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2780), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2776), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2775), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2775), ბორის გელფანდი (ისრაელი, 2773), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2767).

2693 პუნქტით 55-ე ადგილზე დაეშვა **ბაადურ ჯობავა,** რომელიც ვაჟთა საუკეთესო ასეულში ერთადერთი ჩვენებურია.

**ვაჟა დანელია**

პარალიმპიზმი

# საიუბილეო სემინარი და ახალი ამოცანები

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი 10 წლისაა. ამ თარიღს და ახალი გეგმების პრეზენტაციას მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა 29 ივნისს.

შეკრებილთა წინაშე მოხსენებით „პარალიმპური სპორტი გუშინ დღეს ხვალ - განვითარების ტენდენციები,“ წარსდგა საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის პრეზიდენტი **ლელა აფციაური.** შემდეგ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, საქართველოს ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან და გაგრძელდა პარტნიორობის 4-წლიანი დოკუმენტი ოფიციალურ სპონსორ „BP-საქართველოსთან“.

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა პარალიმპურ თამაშებში პირველად მიიღო მონაწილეობა 2008 წელს პეკინში. ახლა ზემოხსენებული ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი გაკეთდება 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს პარალიმპური თამაშებისთვის რამდენიმე სპორტსმენის მოსამზადებლად და მასში მონაწილეობის მისაღებად.

„პარალიმპური საერთაშორისო კომიტეტი დღეს უკვე 163 ქვეყანას და ხუთ საერთაშორისო ფედერაციას აერთიანებს. არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან მაქვს ურთიერთობა და ისინი ამბობენ, რომ მზად არიან დაგვეხმარონ. მთავარია, თავად მოვინდომოთ და მეტი გავაკეთოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის სხვადასხვა სახეობაში აქტიურად ჩართვისა და მათი ცხოვრების ხარისხის ამაღლებისთვის“, - გვითხრა სემინარის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ.**



**თენგიზ თომაშვილი**

## თარიღები და მოვლენები

**01-04 ივლისი**

**01. 07. 1991.** დაარსდა საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია.

**01. 07. 2010.** ფეხბურთში ევროპის ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის “დინამომ” 2:1 დაამარცხა ესტონური “ფლორა”, “ზესტაფონმა” კი სან მარინოს “ფაეტანო”-5:0.

**02. 07. 1952.** დაიბადა **ანდრო ცხოვრებოვი** - თ\ჭიდაობა. გარდაიცვალა 1991წელს

**03. 07. 1933.** დაიბადა **გურამ აბაშიძე** - კალათბურთი.

**03-04. 07. 2010.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქ. სამოკოვში (ბულგარეთი) ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი, თორნიკე მახარაძემ და საჩინო დავითაიამ** ვერცხლის მედალი მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილიც ქართველებს ხვდათ წილად.

**04. 07. 2011.** ჩოგბურთში მსოფლიოს მოწინავე ასეულში კარიერაში პირველად შევიდა **ანა ტატიშვილი.**



ქართველები ევროლიგაზე

# სპანულისი მარკოიშვილთან?

## ცინცაძეც ელის...



თურქეთის ჩემპიონ "გალათასარაის" თავკაცმა **ერგინ ატამანმა** მასმედიას ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც გუნდის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელმა შემადგენლობაზე საუბრისას ოთხი კალათბურთელი დაასახელა, რომელთა დიდი იმედიც მომავალ სეზონში ექნება. მათ შორისაა **მანუჩარ მარკოიშვილი:**

- ევროლიგაზე მაღალ მიზნებს ვისახავთ. ამიტომ გუნდის სერიოზულად გაძლიერებაზე ვფიქრობთ, - თქვა ატამანმა, - ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის რამდენიმე იმ კალათბურთელის ბედი, რომლებიც გასულ სეზონში "გალას" ღირსებას იცავდნენ. ჯერ არც ჩვენთვის სასურველ ახალწვეულებთან გაგვიფორმებია კონტრაქტი, თუმცა ოთხი გვარის დასახელება უკვე შემიძლია: მომავალ სეზონში დავეყრდნობი კარლოს აროიოს, ენდრიუ გორდონს, მანუჩარ მარკოიშვილსა და ჰენრი დომერკანტს.

ოთხივე უკანახაზელია და შეიძლება იფიქროთ, რომ გამთამაშებლებსა და მსროლელებში არგინ ატამანი უკვე გარკვეულია. ასე რომ არ არის, მისი სიტყვებიდანაც ჩანს:

- მომავალ სეზონში ჩვენი გუნდის ბიუჯეტი 12-15 მილიონი იქნება, მიზანი - ევროლიგის მოგება, რისთვისაც გვჭირდება ბერძენი პლეიმეიქერი ვასილის სპანულისი. ასევე ვაპირებთ გასულ სეზონში რუსეთის "ხიმკიში" მოთამაშე ხორვატის, ზორან პლანინიჩის დამატებას.

სპანულისი და პლანინიჩი "გალათასარაის" მართლაც ევროლიგის მოგების მთავარ ფავორიტთა შორის გარევენ, მაგრამ ბერძენთან მიმართებაში საქმე არცთუ იოლადაა. მისი დამატება "გალას" გარდა ევროკალათბურთის გიგანტებს, მოსკოვის ცსკა-ს და "ბარსელონას" სურთ.

აქვე მოგახსენებთ, რომ მარკოიშვილის "გალათასარაი" ევროლიგის წილისყრისთვის (რომელიც ბარსელონაში 4 ივლისს გაიმართება) მეოთხე კალათაშია განთესილი. მასთან ერთად მეოთხეშია უკრაინული "ბუდიველნიკი", რაც იმას ნიშნავს, რომ **გიორგი ცინცაძისა** და მანუჩარ მარკოიშვილის გუნდები ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან. გიორგის გასული სეზონის შემდეგ "ბუდიველნიკთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და გახანგრძლივებაზე ოფიციალურად არაფერი დაწერილა. თავად ცინცაძემ გუშინ გვითხრა, რომ მის მომავალ კლუბთან დაკავშირებით ჯერ არაფერია გარკვეული. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ "მშენებელთა" გაჩემპიონებაში ქართველმა პლეიმეიქერმა დიდი წვლილი შეიტანა, იმედი დავიტოვოთ, იგი მომავალ სეზონში, ევროლიგაზე "ბუდიველნიკის" ღირსებას დაიცავს.

თბილისის თასი 2013

# თურქეთისკენ სპორტის სასახლის გავლით



სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის მერიის ხელშეწყობით ჩატარდა ორდღიანი საკალათბურთო ტურნირი, რომელშიც 28 გუნდი მონაწილეობდა. თითო გუნდში 3-3 კალათბურთელი თამაშობდა (ერთი სათადარიგო).

დებულების თანახმად განაცხადში მხოლოდ ერთი სუპერლიგელის შეყვანა შეიძლებოდა. მონაწილეები შვიდ ოთხგუნდიან ჯგუფად გაიყვნენ, საიდანაც 16 მერვედფინალისტი გამოვლინდა. ამ ეტაპიდან ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა და ფინალს "კაქტუსმა" და "ქარიშხალამ" მიაღწიეს. თანაბარ ბრძოლაში გამარჯვება კაქტუსელებს დარჩათ (10:8) და ჩემპიონისთვის განკუთვნილი თურქეთის ოთხკაციანი საგზურიც მიიღეს. მეორეადგილოსნებს მობილური ტელეფონები გადაეცათ, ხოლო შეჯიბრების საუკეთესო კალათბურთელს, **მიხეილ ამაშუკელს** მაღაზია "ნიუ ბალანსისგან" 250-ლარიანი ვაუჩერი ერგო. მიშას გარდა ჩემპიონების რიგებში თამაშობდნენ **მამუკა ქაცარავა, ნიკა ბაქრაძე** და **გია ბოხუა.**

სტუდენტური კალათბურთი

# ნაბიჯი საერთაშორისო საკალათბურთო ლიგისკენ



საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით "კალათბურთელთა კავშირმა" ზემოხსენებულ სტუდენტურ ორგანიზაციასთან მემორანდუმი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ "კალათბურთელთა კავშირმა" ახლახან დაასახელა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატი - **მიხეილ ახვლედიანი.** სწორედ იგი იმყოფებოდა რუსეთში და საერთაშორისო სტუდენტური ლიგის ხელმძღვანელობასთან მემორანდუმი მან გააფორმა.

რას გულისხმობს ეს დოკუმენტი ან როდიდან ჩაერთვებიან ქართული სტუდენტური გუნდები ლიგაში, ამას დაზუსტებით მას შემდეგ შევიტყობთ, რაც მიხეილ ახვლედიანი საქართველოში დაბრუნდება. ჩვენი მხრივ კი შეგახსენებთ, რომ ქალაქ ყაზანში საერთაშორისო სტუდენტური ლიგის მატჩები 7 ივლისს დაიწყება. ცხადია, ამ შეჯიბრებამდე რომელიმე ქართული გუნდის მომზადება ვერ მოხერხდება.

იტალიის საერთაშორისო ტურნირი



# მწარე ყოფილა ბულგარული წინაკა

**29 ივნისი**

**იტალია-საქართველო 82:53**

**27:14, 20:14, 20:17, 15:8**

**იტალია:** რუზერი, ბოსი (3), ჯიოვარა (8), კარნოვალი (3), ტურელი, ლომბარდი (7), იმბრო (13), ავუდუ (7), ლანდი (8), ლაგანა (16), სპერა (2), პაესანო (15).

**საქართველო:** ორმოცაძე, რამიშვილი (5), ო. ფხაკაძე (3), გრძელიძე, მიქელაძე (7), კვანტალიანი (7), ცირეკიძე (12), როგავა (6), გელაზონია (5), ჯინჭარაძე (6), თ. ფხაკაძე (2).

**30 ივნისი**

**ბულგარეთი-საქართველო 85:54**

**29:14, 9:12, 27:12, 20:16**

საქართველოს ნაკრებმა დომეჯეს ოთხთა ტურნირი უკრაინასთან დამაჯერებელი მოგებით გახსნა, თუმცა მას მერე ჯერ იტალიას შეხვდა, შემდეგ ბულგარეთს და ორივესთან დიდი სხვაობით დათმო.

იტალიელებს მაღალი დონის 20-წლამდელთა ნაკრები რომ ჰყავთ, ამაში რამდენიმე დღის წინაც დავრწმუნდით - სანტ ანჯელოს ტურნირზე "აძურასთან" თამაში პირდაპირ ეთერში გადაიცა. ბულგარეთმა კი ქართველთა მიერ ძლეულ უკრაინასთან შაბათს წააგო და გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ ბულგარელებზე უკეთესები ვართ. მაგრამ გუშინდელმა მატჩმა საპირისპიროში დაგვარწმუნა - 31 ქულის სხვაობით დავმარცხდით.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიიდან საქართველოში დაბრუნდება და თბილისში განაგრძობს მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 9 ივლისს ესტონეთში დაიწყება.

U-13

# ფინალი: ჰიუნდაი-აკადემია

**1/2-ფინალი**

**ჰიუნდაი-გორი 83:66**

**26:13, 18:16, 20:11, 19:26**

**ჰიუნდაი:** აბაშიძე (24), წენგუაშვილი (23)...

**გორი:** ხუბულაშვილი (39)...

**გორი-ჰიუნდაი 54:71**

სერია მოიგო "ჰიუნდაიმ" - 2:0

**აკადემია-დინამო 86:79**

**22:18, 20:20, 12:25, 22:16**

**აკადემია:** გ. კვაჭანტირაძე (37), კ. ჟღენტი (17)...

**დინამო:** ი. ისრაელიანი (24), ც. ცარციძე (21), ს. ჯორბენაძე (13), ბ. თორთლაძე (12)...

**დინამო-აკადემია 90:92**

**30:20, 12:16, 12:19, 21:20, 15:17**

**დინამო:** ი. ისრაელიანი (30), ც. ცარციძე (21), ბ. ცარციძე (14)...

**აკადემია:** გ. კვაჭანტირაძე (37), კ. ჟღენტი (17), ო. პერტაია (16)...

სერია მოიგო "აკადემიამ" - 2:0

საქართველოს 13-წლამდელთა პირველობაზე ფინალისტები გამოვლინდნენ - საჩემპიონო სერიაში ერთმანეთის წინაშე წარდგებიან "ჰიუნდაი" და "აკადემია". ჰიუნდაელებმა გუშინ ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრაში, გორში 71:54 იმარჯვეს, რითაც ფინალის საგზური გაინაღდეს. მანამდე თბილისელებს დედაქალაქში გორელებთან 83:66 ჰქონდათ მოგებული.

მართალია, "აკადემიამ" ნახევარფინალური სერია 2:0 დაასრულა, მაგრამ ორივე შეხვედრა დაძაბული და საინტერესო სანახავი გამოდგა. მეორე მატჩში სულაც ოვერტაიმი დაინიშნა და აკადემიელებმა ორი ქულის სხვაობით მოიგეს. მათ წარმატებაში დიდი როლი შეასრულა **კვაჭანტირაძემ,** რომელმაც 37 ქულა ჩააგდო.

ფინალი ორ მოგებამდეა. პირველი მატჩი, "აკადემია"-"ჰიუნდაი", სპორტის სამინისტროს დარბაზში სამშაბათს, 2 ივლისს გაიმართება. მესამე ადგილისთვის შეხვედრა ("გორი"-"დინამო") გორში შედგება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● შვიდკაცა რაგბი


ვიქტორ კოლელიშვილი და ბიძინა სამხარაძე №4

# მოსკოვში მხოლოდ მე-19

**საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში გამართულ შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-19 ადგილი დაიკავა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" ჯგუფურ ეტაპზე წარუმატებლად იასპარეზეს, სამი თამაშიდან სამივე წააგეს და ბოლო ადგილი დაიკავეს.**

შესაბამისად, ჩვენი გუნდი პლეი ოფში მე-17 ადგილისთვის, ანუ ფიალასათვის ბრძოლაში ჩაება. ფიალას მეოთხედფინალში მეტოქე ჰონკონგის ნაკრები იყო, რომელიც 31:10 დავამარცხეთ. მეტოქემ მედგარი წინააღმდეგობა პირველ ტაიმში გაგვიწია, თუმცა **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **მერაბ კვირიკაშვილის** ლელოების წყალობით, რომლებიც „მეკომ" გარდასახა, შესვენებაზე ცხრაქულიანი უპირატესობით წავედით - 14:5.

ჰონკონგელები მეორე ტაიმის დასაწყისშივე კაცნაკლულები დარჩნენ. ამით კარგად ისარგებლეს ჩვენმა მორაგბეებმა და **გიორგი ფრუიძემ** კიდევ უფრო დააწინაურა საქართველოს ნაკრები 21:5. თამაშის დასრულებამდე კი, თითო ლელო **ბახვა კობახიძემ** და **ირაკლი გეგენავამ** მიითვალეს.

ფიალას ნახევარფინალი იაპონიის ნაკრებთან დრამატული სცენარით განვითარდა. პირველი ტაიმის მიწურულისკენ ჩვენმა მორაგბეებმა, **რეზო გიგაურმა** და **გიორგი ფრუიძემ** ორი ლელო გაიტანეს, ორივე **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახა და ტაიმი მშრალი ანგარიშით 14:0 მოვიგეთ. შესვენების შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. თავიდან არბიტრმა **ზურაბ ძნელაძე** გაასინბინა და იაპონელებმა ანგარიშის შვიდ ქულამდე შემცირება შეძლეს - 7:14. თუმცა **ვიქტორ კოლელიშვილმა** მალევე შეძლო 14-ქულიანი უპირატესობის აღდგენა - 21:7.

ორ წუთში არბიტრმა ახლა კოლელიშვილს უჩვენა ყვითელი ბარათი. იაპონელებმა ორი გარდასახული ლელოს გატანა მოახერხეს და ანგარიში გაათანაბრეს. თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო, როცა მეტოქემ საჯარიმო გაგვიტანა 24:21 და ასპარეზობას გამოგვეთიშა.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**A ჯგუფი**

ავსტრალია-ესპანეთი 21:0, საფრანგეთი-ტუნისი 24:7, ავსტრალია-ტუნისი 40:7, საფრანგეთი-ესპანეთი 21:17, ესპანეთი-ტუნისი 24:26, ავსტრალია-საფრანგეთი 17:17.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ავსტრალია - 8 ქულა, 2. საფარნგეთი - 8, 3. ტუნისი - 5, 4. ესპანეთი - 3.

**B ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა-რუსეთი 31:0, შოტლანდია-იაპონია 19:17, სამხრეთ აფრიკა-შოტლანდია 41:0, რუსეთი-შოტლანდია 5:21, სამხრეთ აფრიკა-იაპონია 33:0, იაპონია-რუსეთი 12:12

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სამხრეთ აფრიკა - 9 ქულა, 2. შოტლანდია - 6, 3. იაპონია - 4, 4. რუსეთი - 4.

**C ჯგუფი**

სამოა-ზიმბაბვე 21:14, ფილიპინები-კენია 5:45, სამოა-ფილიპინები 29:0, კენია-ზიმბაბვე 31:5, ზიმბაბვე-ფილიპინები 19:7, სამოა-კენია 12:17.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კენია - 9 ქულა, 2. სამოა - 7, 3. ზიმბაბვე - 5, 4. ფილიპინები - 3.

**D ჯგუფი**

ახალი ზელანდია-კანადა 31:12, აშშ-საქართველო 26:19, ახალი ზელანდია-საქართველო 26:7, აშშ-კანადა 14:15, კანადა-საქართველო 26:19, ახალი ზელანდია-აშშ 26:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 9 ქულა, 2. კანადა - 7, 3. აშშ - 5, 4. საქართველო - 1.

**E ჯგუფი**

ფიჯი-ტონგა 45:0, უელსი-ურუგვაი 33:5, ფიჯი-ურუგვაი 47:0, უელსი-ტონგა 28:19, ტონგა-ურუგვაი 36:0, ფიჯი-უელსი 14:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. უელსი - 9 ქულა, 2. ფიჯი - 7, 3. ურუგვაი - 5, 4. ტონგა - 3.

**F ჯგუფი**

ინგლისი-პორტუგალია 21:7, არგენტინა-ჰონგ კონგი 47:7, არგენტინა-პორტუგალია 10:17, ინგლისი-ჰონგ კონგი 38:7, პორტუგალია-ჰონგ კონგი 14:17, ინგლისი-არგენტინა 14:12.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი - 9 ქულა, 2. არგენტინა - 5, 3. პორტუგალია - 5, 4. ჰონგ კონგი - 5.

**ფიალა**

**მეოთხედფინალი**

საქართველო-ჰოჰგ კონგი 31:10, იაპონია-ფილიპინები 50:0, ტუნისი-ურუგვაი 7:12, რუსეთი-ესპანეთი 17:7.

**ფარი**

**მეოთხედფინალი**

სამოა-ზიმბაბვე 26:17, არგენტინა-აშშ 28:5, შოტლანდია-პორტუგალია 17:0, კანადა-ტონგა 26:0

**თასი**

ფიჯი-სამხრეთ აფრიკა 12:10, ახალი ზელანდია-უელსი 26:10, ინგლისი-ავსტრალია 21:17, კენია-საფრანგეთი 24:19.

**ფიალა**

**ნახევარფინალი**

საქართველო-იაპონია 21:24, რუსეთი-ურუგვაი 0:38

**ფარი**

**ნახევარფინალი**

სამოა-არგენტინა 21:14, შოტლანდია-კანადა 7:21.

**თასი**

**ნახევარფინალი**

ფიჯი-ახალი ზელანდია 0:17, ინგლისი-კენია 12:5.

**ფიალა**

**ფინალი**

რუსეთი-იაპონია 29:5

**ფარი**

**ფინალი**

სამოა-კანადა 12:19

**თასი**

**III ადგილისთვის**

ფიჯი-კენია 29:5

**ფინალი**

ახალი ზელანდია-ინგლისი 33:0

● ზე რაგბი

# ჩიფსი და ბლუ ბულზი პლეი ოფშია

**ზე რაგბის რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ გასამართი ჯერ კიდევ ორი ტური დარჩა, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის კონფერენციებში გამარჯვებულები უკვე გამოვლინდნენ.**

## ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის კონფერენციაში პირველობას ვერავინ შეეცილება ზე რაგბის შარშანდელ გამარჯვებულ ჰემილთონის „ჩიფსს", რომელმაც მე-18 ტურში ველინგტონის „ჰარიკენზსს" უმასპინძლა და 34:22 მოუგო. სტუმრებმა „ჩიფსს" წინააღმდეგობა პირველი ტაიმის დასკვნით ათ წუთში გაუწიეს, როცა წინ გაჭრილ მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს და ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირეს - 15:17. შესვენების შემდეგ ჰემილთონელებმა მაინც შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა და სატურნირო ცხრილში პოზიცია გაიმყარეს. „ჩიფსს" ახლა 61 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა.

ლიდერს ათი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი", რომელმაც სტუმრად იოლად მოუგო კონფერენციის აუტსაიდერ დანიდინის „ჰაილენდერზს" - 40:12. „ჯვაროსნებში" ისევ ბრწყინვალედ ითამაშა მგეზავმა **დენ კარტერმა**, რომელმაც ერთი ლელო, ოთხი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (25 ქულა). ქრაისთჩერჩელები პლეი ოფში გასვლის შანსს ისევ ინარჩუნებენ. მომდევნო ტურში ისინი ლიდერ „ჩიფსს" უმასპინძლებენ, რომლისთვისაც ამ მატჩის შედეგს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვს.

**XVIII ტური**

ჩიფსი-ჰარიკენზი 34:22, ჰაილენდერზი-კრუსეიდერზი 12:40

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 61 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 51, 3. ბლუზი - 44, 4. ჰარიკენზი - 39, 5. ჰაილენდერზი - 22.

**XIX ტური**

კრუსეიდერზი-ჩიფსი, ჰარიკენზი, ჰაილენდერზი

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეტორიის „ბლუ ბულზმა" იპირველა. „ლურჯმა ხარებმა" მე-18 ტურში შინ დაამარცხეს აუტსაიდერი „საუთერნ კინგზი" - 48:18, შედეგად 59 ქულა დააგროვეს და მეორეადგილოსან ბლუმფონტეინის „ჩიტაზს" 13 ქულით უსწრებენ.

მასპინძლებმა „საუთერნ კინგზთან" შეხვედრაში ექვსი ლელო გაიტანეს, აქედან ორი შერკინების კვაჭის **ჩილიბოი რელეპელეს** ანგარიშზეა. შეცვალზე შესულმა მგეზავმა **მორნი სტეინმა** კი, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო მიითვალა (16 ქულა). თავის მხრივ ორჯერ შეაღწია მეტოქის ჩათვლის მოედანში სტუმართა გუნდის მესამეხაზელმა **პეტრუს ვილემ ფან დერ ვაითმა**.

მეორეადგილოსანმა „ჩიტაზმა" სტუმრად წააგო კეიპთაუნის „სტორმერზთან" 3:28 და, გამორიცხული არ არის, დარჩენილ ტურებში პლეი ოფში გამსვლელი პოზიცია დათმოს. კეიპთაუნელები, ისევე როგორც დურბანის „ნატალ შარქსი", ბლუმფონტეინელებს ახლა ოთხი ქულით ჩამორჩებიან. დურბანელებმა თავის მხრივ დაძაბულ ბრძოლაში შინ დაამარცხეს ოქლენდის „ბლუზი" - 22:20. სტუმრები მატჩის ბოლო წუთებამდე იგებდნენ 20:17, მაგრამ „ზვიგენების" ფულბეკმა რაიან ვილჯოენმა გამარჯვების მომტანი ლელოს გატანა შეძლო.

**XVIII ტური**

ნატალ შრქსი-ბლუზი 22:20, ბლუ ბულზი-საუთერნ კინგზი 48:18, სტორემრზი-ჩიტაზი 28:3.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 59 ქულა, 2. ჩიტაზი - 46, 3. ნატალ შარქსი - 42, 4. სტორმერზი - 42, 5. საუთერნ კინგზი - 24.

**XIX ტური**

ჩიტაზი-ბლუზი, საუთერნ კინგზი-სტორმერზი, ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი.

## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში ივნისის ტესტების გამო შესვენება კიდევ ორ კვირას გასტანს. გათამაშება „ბრიტანელი ლომების" ტურნეს დასრულების შემდეგ განახლდება. აქ პირველობისთვის ორი გუნდი, კანბერას „ბრამბიზი" და ბრისბენის „რედსი" იბრძვის. კანბერელები 59 ქულით პირველ ადგილზე არიან და მეტოქეს ხუთი ქულით უსწრებენ.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 59 ქულა, 2. რედსი - 54, 3. ვორათაზი - 44, 4. მელბურნ რებლზი - 32, 5. ფორსი - 27.


დენ კარტერი

● რაგბი. ტესტები

# ვოლაბებმა ანგარიში გაქვითეს

„ბრიტანელი ლომების" ავსტრალიური ტურნეს დასრულებამდე ერთი მატჩილა დარჩა. „ვოლაბებთან" ბოლოსწინა შეხვედრაში სტუმართა გუნდმა მინიმალური სხვაობით წააგო და სერიაში ანგარიში გათანაბრდა.

მელბურნში გამართული შეხვედრა, პირველზე ბევრად დაძაბულ და თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. 62-ე წუთამდე თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. ამ დროისთვის „ბრიტანელი ლომები" 12:9 იგებდნენ და უელსელმა ფულბეკმა **ლეიგ ჰალპფენიმ** მორიგი საჯარიმოთი ექვსი ქულით დააწინაურა თავისიანები - 15:9.


ადამ ეშლი-კუპერის ლელო

ავსტრალიელები, ცხადია, დანებებას არ აპირებდნენ. მათმა ძალისხმევამ შედეგი თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გამოიღო. „ვოლაბების" შეტევა გარემარბმა **ადამ ეშლი-კუპერმა** ლელოთი დაასრულა. გარდასახვა შუამარბმა **კრისტიან კალიფანომ** გაიტანა და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა - 16:15.

მორიგი, მესამე და გადამწყვეტი დაპირისპირება მომავალ უქმეებზე გაიმართება. „ბრიტანელ ლომებს" კიდევ ერთი შანსი აქვთ 1997 წლის შემდეგ სამხრეთული ტურნე წარმატებით დაასრულონ.

**ავსტრალია-ბრ. ლომები 16:15**

ავსტრალია (15-9) ბეილი, დაგი, ეშლი-კუპერი (ჰორნი 79), ლეალიიფანო, ტომანე, ოკონორი, გენია. (1-8) რობინსონი (სლიპერსი 60), მური, ალექსანდერი (კეპუ 58), დუგლასი (საიმონსი 53), ჰორვილი, მოვენი, მური, პალუ (გილი 60).

ლ: ეშლი-კუპერი. ჟს.გ: კალიფანო.

ბრიტანელი ლომები (15-9) ჰალპფენი, ბოუი, ოდრისკოლი, დევისი, ნორსი, სექსტონი, ბ. იანგზი (მურეი 53). (1-8) ვუნიპოლა, ტ. იანგზი (ჰიბარი), ჯოუნზი (კოლი 62), ვინ ჯოუნზი, პერლინგი, ლიდიატი, ვერბარტონი (კროფტი 66), ჰისლიპი (ობრაიანი 62).

5ს: ჰალპფენი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგბაავაძემ**

ფორმულა 1. ბრიტანეთის გრანპრი

# ფეტელი გაჩერდა, ინტრიგა აღდგა

სანახაობრივმა ბრიტანეთის გრანპრიმ, სადაც უამრავი საბურავი დაზიანდა, იყო ბევრი გასწრება და ფავორიტთა პრობლემები, ტრიუმფატორის სახელი "მერსედესს" მოუტანა. **ნიკო როსბერგი** პირველ ადგილზე გავიდა, **ლუის ჰემილტონი** - მეოთხეზე და გერმანულმა საჯინიბომ კონსტრუქტორთა თაზე "ფერარის" გაუსწრო.

საკვალიფიკაციო რბოლაში კვლავ გამოიჩინეს თავი "მერსედესის" პილოტებმა - ჰემილტონმა სეზონში მეორე და კარიერაში 28-ე პოული მოიგო, მეორე ადგილი კი მისმა თანაგუნდელმა როსბერგმა დაიკავა. მეორე რიგში იდგნენ "რედ ბულის" პილოტები, ათეულის ბოლო ორი პოზიცია კი **კიმი რაიკონენსა** და **ფერნანდო ალონსოს** ერგოთ.

მარკ უებერმა ტრადიციას არ უღალატა და ისევ ჩააგდო სტარტი - ძალიან ბევრი პოზიცია დაკარგა და თან ოდნავ დააზიანა წინა ანტიფრთა **რომენ გროსჟანთან** შეჯახებისას. უებერის თანაგუნდელს ყველაფერი ნესრიგში ჰქონდა: ფეტელმა თავიდანვე გაუსწრო როსბერგს და კვალში ჩაუდგა ჰემილტონს. **ადრიან სუტილი** მეოთხეზე გადავიდა, **ფელიპე მასა** კი ბრწყინვალე გარღვევით მეხუთეზე აღმოჩნდა.

სიტუაცია თანდათან სტაბილური გახდა და ასე გამოიყურებოდა: ჰემილტონი, ფეტელი და როსბერგი გარკვეული მანძილით დაშორდნენ მჭიდრო ჯგუფს. ყველაფერი თავდაყირა დადგა მერვე წრეზე, როცა ჰემილტონის ბოლიდზე უკანა მარცხენა საბურავი "აფეთქდა". პოულის მფლობელმა, რა თქმა უნდა, გამარჯვების ყველა შანსი დაკარგა.

როგორც რამდენიმე წუთის შემდეგ გაირკვა, ლუისის საბურავი მხოლოდ დასაწყისი იყო იმ პრობლემებისა, რომელიც რამდენიმე პილოტს შეექმნა. მეათე წრეზე მასას ბოლიდზე გამოვიდა მწყობრიდან საბურავი, მე-15 წრეზე იგივე დაემართა **ჟან-ერიკ ვერნს** და სწორედ ამის შემდეგ, ტრასის გასაწმენდად, რბოლის დირექციამ უსაფრთხოების მანქანა აამოქმედა. მომსახურე პერსონალი მონდომებით მუშაობდა და თან იმას არკვევდა, რატომ გამოდიოდა მწყობრიდან მაინც და მაინც უკანა მარცხენა საბურავი. საკუთარ გამოძიებას გუნდებიც აწარმოებდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაზიანებას იწვევდა საბურავის გადახურება და მისი აქტიური კონტაქტი ბორდიურებზე. შესაბამისად, პილოტებმა მიიღეს ინსტრუქცია მაქსიმალურად ფრთხილად ემოძრავათ ტრასის სახიფათო მონაკვეთებზე. ამის შემდეგ, იმავე პრობლემით კიდევ ორი პილოტი დაზარალდა, ასე რომ, გერმანიის გრანპრიმდე, რომელიც ერთ კვირაში გაიმართება, "პირელის" საბურავების თემა ერთ-ერთი მთავარი იქნება.

ჰემილტონის გავარდნის შემდეგ, ლიდერობა ფეტელმა მოიპოვა, მის უკან კი როსბერგი იმყოფებოდა. ნიკო არ აპირებდა თანამემამულისთვის გამარჯვების იოლად დათმობას და სხვაობის შემცირებას ცდილობდა. პილოტები დაახლოებით თანაბარ ტემპს აჩვენებდნენ. ისე ჩანდა, რომ სება შეინარჩუნებდა პირველობას, რაც კიდევ უფრო დააზარალებდა ჩემპიონობისთვის ბრძოლის ინტრიგას, მაგრამ ფინიშამდე ათი წრით ადრე, გერმანელის "რედ ბულმა" სიმძლავრე დაკარგა და ფეტელი იძულებული იყო, მანქანა სტარტის ნიშნულთან, ტრასის კიდეზე გაეჩერებინა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბოლიდის მდებარეობა სახიფათო იყო, მაგრამ ტრასაზე ისევ გამოვიდა "სეიფტი-კარი". ამით ისარგებლეს როსბერგმა, უებერმა, მასამ, გროსჟანმა და **პოლ დი რესტამ** და საბურავები შეცვალეს. ყველა ელოდა, რომ რბოლის განახლების შემდეგ უებერი წინ გაიჭრებოდა. ასეც მოხდა: ავსტრალიელმა ძალიან მალე გაუსწრო **დანიელ რიკარდოსა** და სუტილს და მესამე ადგილზე გადავიდა. "რედ ბულის" პილოტმა მეორეზე მყოფი რაიკონენის პრესინგი დაიწყო, პილოტებმა ლამაზი ბრძოლა შემოგვთავაზეს, რომელშიც გამარჯვებული ავსტრალიელი გამოვიდა.

"ლოტუსის" გასწრების შემდეგ უებერი როსბერგსა და გამარჯვებას გამოეკიდა, მაგრამ "მერსედესის" პილოტმაც შეძლო ტემპის მომატება. მართალია, მარკი ოდნავ უფრო სწრაფი იყო, მაგრამ მას ორი-სამი წრე არ ეყო გადამწყვეტი შეტევისთვის. როსბერგი წინ დარჩა და ამ სეზონში მეორე რბოლა მოიგო.

რაიკონენმა კი მესამე ადგილიც ვერ შეინარჩუნა. გაცვეთილი საბურავებით (ფინელმა ორი პიტსტოპის ტაქტიკით იმოძრავა) მან ალონსოსა და ჰემილტონს ვერ გაუწია წინააღმდეგობა.

ბრიტანეთის გრანპრი ძალიან საინტერესო გამოვიდა, ერთი კვირის შემდეგ კი გერმანიის ეტაპი გველის. სილვერსტოუნში ფეტელის გავარდნამ პირად ჩათვლას ინტრიგა დაუბრუნა.

**ბრიტანეთის გრან-პრი. VIII ეტაპი**

**სილვერსტოუნი (52 წრე, 306.198 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(2). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1:32.59,456 (3 პიტსტოპი) |
| 2(4). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +0,765 (3) |
| 3(9). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +7,124 (3) |
| 4(1). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | +7,756 (2) |
| 5(8). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +11,257 (2) |
| 6(11). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +14,573 (4) |
| 7(6). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +16,335 (2) |
| 8(5). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +16,543 (2) |
| 9(21). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +17,943 (3) |
| 10(14). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | +19,709 (3) |
| 11(15). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +21,135 (2) |
| 12(16). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | +25,094 (2) |
| 13(10). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +25,969 (2) |
| 14(17). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +26,285 (4) |
| 15(18). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | +31,613 (2) |
| 16(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | +36,097 (2) |
| 17(20). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | +1.07,660 (2) |
| 18(22). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | +1.07,759 (3) |
| 19(7). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 1 წრე (4) |
| 20(13). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | 1 წრე (3) |
| 21(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 11 წრე (2) |
| 22(12). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 17 წრე (3) |

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 219; 2. მერსედესი - 171; 3. ფერარი - 168; 4. ლოტუსი - 124; 5. ფორს ინდია - 59; 6. მაკლარენი - 37; 7. ტორო როსო - 24; 8. ზაუბერი - 6.



სებასტიან ფეტელი

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ბრიტ | გერ 07.07 | უნგ 28.07 | ბელ 25.08 | იტა 08.09 | სინ 22.09 | კორ 06.10 | იაპ 13.10 | ინდ 27.10 | ა-დაბ 03.11 | აშშ 17.11 | ბრა 24.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 15 | 25 | 12 | 25 | 12 | 18 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 132 |
| **ალონსო** (ფერარი) | 18 | -- | 25 | 4 | 25 | 6 | 18 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 111 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 25 | 6 | 18 | 18 | 18 | 1 | 2 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 98 |
| **ჰემილტონი** (მერსედესი) | 10 | 15 | 15 | 10 | -- | 12 | 15 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 62 |
| **უებერი** (რედ ბული) | 8 | 18 | -- | 6 | 10 | 15 | 12 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 57 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | 12 | -- | 2 | 8 | 25 | 10 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 47 |
| **მასა** (ფერარი) | 12 | 10 | 8 | -- | 15 | -- | 4 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 45 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 4 | -- | 4 | 12 | 6 | 2 | 6 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 28 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | 1 | 8 | 2 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 26 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 2 | -- | 10 | 1 | 4 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 25 |
| **სუტილი** (ფ-ინდია) | 6 | -- | -- | -- | -- | 10 | 1 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 23 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 1 | -- | -- | -- | 4 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **პერესი** (მაკლარენი) | -- | 2 | -- | 8 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 12 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | -- | -- | 6 | -- | 1 | -- | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **ჰიულკენბერგი** (ზაუბერი) | -- | 4 | 1 | -- | -- | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |

კალათბურთი. ახალი ამბები



რეი ალენი

## ალენი ისევ მაიამიში, კირილენკომ მგლები დატოვა

"მაიამი ჰიტის" 37 წლის მცველი **რეი ალენი** მინიმუმ ერთ სეზონს ჩაატარებს ფლორიდული კლუბის შემადგენლობაში. მან გააქტიურა თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომლის მიხედვითაც კიდევ ერთი წელი შეეძლო "ჰიტის" რიგებში თამაში. მომავალ სეზონში ალენი 3.23 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

ვეტერანი კალათბურთელის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ რეიმ "მაიამიში" გამოსვლის პირველივე წელს მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

■ ■ ■

რეი ალენს მიბაძა და "სან ანტონიო სპურსთან" ავტომატურად გააგრძელა კონტრაქტი 31 წლის ფრანგმა ფორვარდმა **ბორის დიაომ**. მან გადაწყვიტა, არ გავიდეს თავისუფალი აგენტების ბაზარზე და კიდევ ერთი წელი გაატაროს "სპურსში". ამ ერთ სეზონში დიაო 4.7 მილიონს მიიღებს.

ფრანგმა გასულ სეზონში საშუალოდ 5.8 ქულა, 3.4 მოხსნა და 2.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი **ანდრეი კირილენკო** შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება. რუსმა კალათბურთელმა გადაწყვიტა, ბოლომდე არ გამოიმუშავოს "მგლებთან" გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, 2013-14 წლების სეზონში 10.2 მილიონი დოლარი უნდა მიელო.

32 წლის კირილენკოს NBA-ის ნებისმიერ კლუბთან მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმების იმედი აქვს. სწორედ ამ გუნდში აპირებს კარიერის დასრულებას ფორვარდი.

2012-13 წლების სეზონში კირილენკოს საშუალო სტატისტიკა იყო 12.4 ქულა, 5.7 მოხსნა და 1.5 ჩაჭრა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ერთიანი ბიბლიოთეკა

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# როსის 993 დღე

ჰოლანდიის გრანპრის სტარტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოტოგრანპრიში კვალიფიკაციას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება: პოულის მფლობელი **კელ კრატჩლოუ** ერთბაშად მეოთხე პოზიციამდე ჩამოქვეითდა, **დანი პედროსა** კი, რომელმაც მეხუთე ადგილიდან აიღო სტარტი, ლიდერი გახდა. პელოტონმა შემდეგი სახე მიიღო: პედროსა, **მარკესი, როსი**, კრატჩლოუ, **ლორენსო** (გარღვევა მე-12 ადგილიდან), **ბრადლი...**

ამის შემდეგ, სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი ვალენტინო როსიმ. ლეგენდარულმა იტალიელმა გვერდი აუარა მარკ მარკესსა და პედროსას და სათავეში ჩაუდგა რბოლას. კარგი იყო ხორხე ლორენსო, რომელსაც თავისუფალ პრაქტიკაზე განცდილი სერიოზული ავარიის შემდეგ, წესით, რბოლაში მონაწილეობა არ უნდა მიელო, მაგრამ ესპანელმა გარისკა, ტრასაზე გავიდა და ეტაპის მსვლელობისას კრატჩლოუს გაუსწრო, რამაც საკმაოდ პერსპექტიული მეოთხე პოზიცია მოუტანა (თუმცა რბოლის შუაში კრატჩლოუმ გაუსწრო ხორხეს, რის შემდეგაც, მსოფლიოს ჩემპიონი ჩამორჩა).

როსი დამაჯერებლად მოძრაობდა, მაგრამ მის უკან მყოფ ესპანელებს შორ მანძილზე ვერ დაშორდა. რბოლის მეორე ნახევარში მარკესმა წარმატებული შეტევა მიიტანა პედროსაზე და მეორე ადგილზე გადავიდა, იაქტიურა კრატჩლოუმაც, რომელმაც სამეულიდან გამოაგდო გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი. დარჩენილ წრეებზე მნიშვნელოვანი გადაადგილებები არ მომხდარა და როსიმ, "იამაჰაში" დაბრუნების შემდეგ, პირველი გამარჯვება მოიპოვა. სხვათა შორის, ეს იტალიელის პირველი მოგებაა მოტოგრანპრიში 2010 წლის მალაიზიის ეტაპის შემდეგ. ამ ორ ტრიუმფს ერთმანეთისგან 993 დღე აშორებს.

### ჰოლანდიის გრანპრი

1. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 26 წრე; 2. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +2,170; 3. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - +4,073; 4. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +7,832; 5. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +15,510; 6. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +27,519; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +31,598; 8. **ალეშ ესპარგარო** (ესპ, ART) - +32,405...

### საერთო ჩათვლა

1. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 136 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 127; 3. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 113; 4. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 87; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 85; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 65; 7. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 51; 8. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, Ducati) - 50...



ვალენტინო როსი

ჰოკეი

## ალფრედსონი ერთი წლით დარჩა

"ოტავა სენატორზის" 40 წლის ფორვარდმა **დანიელ ალფრედსონმა** გადაწყვიტა გააგრძელოს მოთამაშის კარიერა და კიდევ ერთი სეზონი გაატაროს "სენატორების" რიგებში. უახლოეს დღეებში ვეტერანი შვედი კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის პირობებს განიხილავს.

2012-13 წლების სეზონში, ფორვარდმა რეგულარულ ჩემპიონატში 47 მატჩი ჩაატარა და 26 ქულა (10+16) დააგროვა, მთელი კარიერის (17 სეზონი) განმავლობაში კი მის ანგარიშზე 1178 მატჩი და 1108 ქულა (426+682) მოდის.

## ბოსტონმა ფორვარდი გაუშვა

"ბოსტონ ბრუინზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღარ შესთავაზოს ახალი კონტრაქტი ფორვარდ **ნათან ჰორტონს**, რომელიც 5 ივლისს, შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება.

გასულ სეზონში ჰორტონმა რეგულარულ ჩემპიონატში 22 ქულა (13+9) დააგროვა, პლეი ოფის 22 მატჩში - 19 ქულა (7+12).

გარდა ამისა, "დათვები" მზად არიან გაცვალონ ახალგაზრდა ფორვარდი ტაილერ სეგუინი, რომელიც 2010 წლის დრაფტზე მეორე ნომრად აირჩიეს.

## ახალბედების სიმბოლური

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ახალბედათა სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება:

**მეკარე:** ჯეიკ ალენი ("სტ. ლუისი");

**მცველები:** იონას ბროდინი ("მინესოტა"), ჯასტინ შულცი ("ედმონტონი");

**ფორვარდები:** ჯონათან იუბერდო ("ფლორიდა"), ბრენდან გალაჰერი ("მონრეალი"), ბრენდონ საადი ("ჩიკაგო").

საინტერესოა, რომ სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა ახალბედათა შორის საუკეთესო ბომბარდირი, "ედმონტონის" ფორვარდი **ნაილ იაკუპოვი**, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში 31 ქულა (17+14) დააგროვა.

სიმბოლური ნაკრები ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად შეადგინეს.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# უცნაური დასაწყისი



ტონი მარტინი

საიუბილეო ტურ დე ფრანსი ძალიან უცნაურად დაიწყო. სასტარტო ეტაპი თითქმის ჩაიშალა იმის გამო, რომ ფინიშზე გაიჭედა ავსტრიული საჯინიბოს - Orica-Greenedge-ის ავტობუსი.

რიგით მე-100 ველომარათონი კუნძულ კორსიკაზე იღებდა სტარტს. ყველას საზეიმო განწყობა ჰქონდა და ველომრბოლები დადებითი განწყობით გაუდგნენ გზას. თუმცა სტარტამდე ერთ უსიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი - დაეცა ტურის მთავარი ფავორიტი **კრის ფრუმი**, მაგრამ სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა.

გაქცევა ეტაპზე საკმაოდ ადრე მოხდა და დაწინაურებულთა ჯგუფში ხუთი მრბოლელი შედიოდა. ისინი პელოტონს ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე დანებდნენ. ეტაპი მშვიდად მიდიოდა ლოგიკურ დასასრულამდე, ანუ მასიურ სპრინტამდე, მაგრამ ამ დროს ისეთი ამბები დატრიალდა, როგორიც, ალბათ, არ ახსოვს მრავლის მნახველ ფრანგულ ველომარათონს. მას შემდეგ, რაც პელოტონმა ტემპს მოუმატა, ველოსიპედზე კონტროლი დაკარგა ჰოლანდიის ჩემპიონმა **ჯონი ჰუგერლანდმა**, შემდეგ კი კანადელი **რაიდერ ჰეშედალიც** დაეცა.

ყველაზე საინტერესო მრბოლელებს ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე ელოდათ. როგორც აღმოჩნდა, ავსტრიული გუნდის Orica-ს ავტობუსი საფინიშო თაღში ვერ შეეტია და ერთ ადგილას დადგა. დაიწყო სრული ქაოსი. ორგანიზატორები ვერ მიხვდნენ, რა გაეკეთებინათ - პელოტონისთვის გზა მთლიანად ჩახერგილი იყო. სანამ ისინი ფიქრობდნენ, მრბოლელებს ფინიშამდე 10 კილომეტრი რჩებოდათ. საბოლოოდ, ორგანიზატორებმა მოიფიქრეს ეტაპის სიგრძის 3 კილომეტრით დამოკლება და როცა ეს ველომრბოლებს გამოუცხადეს, Orica-ს ავტობუსმა მოძრაობა დაიწყო. შედეგად, ფინიში ძველ ადგილას დააბრუნეს, ბევრი მრბოლელი დაიბნა, ანერვიულდა და მოხდა გრანდიოზული ავარია.

ამ სრულ ქაოსში ყველაზე კარგად გაერკვა გუნდ Argos-Shimano-ს ლიდერი **მარსელ კიტელი**. გერმანელმა თავიდან აიცილა წაქცევა და ფინიშზე გაუსწრო რუსული "კატიუშას" სპრინტერს **ალექსანდრ კრისტოფს**.

წაქცევების გამო სხვებზე მეტად დაზარალდა მსოფლიოს ჩემპიონი დროზე განცალკევებით რბოლაში **ტონი მარტინი**, რომელმაც ლავიწის ძვალი გაიტეხა და ჩამოშორდა წლევანდელ ტურს. ასევე დაზიანებები მიიღეს **პეტერ საგანმა, ალბერტო კონტადორმა** და სხვებმა.

მოგვიანებით, ორგანიზატორებმა დაზარალებულ ველომრბოლებს, რომლებიც დიდი მანძილით ჩამორჩნენ გამარჯვებულს, იგივე დრო დაუწერეს, როგორიც მარსელ კიტელს.

### I ეტაპი

1. **მარსელ კიტელი** (გერ, Argos-Shimano) - 4.56,52; 2 **ალექსანდრ კრისტოფი** (ნორ, Katusha) - იგივე დრო; 3. **დანი ვან პოპელი** (ჰოლ, Vacansoleil-DCM) - იგივე დრო; 4. **დევიდ მილარი** (ბრიტ, Garmin-Sharp) - იგივე დრო; 5. **მატეო ტრენტინი** (იტა, Quick-Step) - იგივე დრო; 6. **სამუელ დუმოლენი** (საფ, AG2R) - იგივე დრო...

### II ეტაპი

1. **იან ბაკელანტსი** (ბელ, RadioShack-Leopard) - 3.43,11; 2. **პეტერ საგანი** (სლოვაკ, Cannondale) - +0,01; 3. **მიხალ კვიატკოვსკი** (პოლ, Quick Step) - იგივე დრო; 4. **დავიდე ჩიმოლაი** (იტა, Lampre-Merida) - იგივე დრო; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 6. **ჟულიენ სიმონი** (საფ, Sojasun) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **იან ბაკელანტსი** (ბელ, RadioShack-Leopard) - 8.40,03; 2. **დევიდ მილარი** (ბრიტ, Garmin-Sharp) - +0,01; 3. **ჟულიენ სიმონი** (საფ, Sojasun) - იგივე დრო; 4. **დერილ იმპი** (ს. აფრ - Orica GreenEdge) - იგივე დრო; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 6. **საიმონ ჯერანსი** (ავსტრა, Orica GreenEdge) - იგივე დრო...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **კონფედერაციათა თასი** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ურუგვაი-იტალია | 2:2 პენ. 2:3 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ერაყი-ჩილე | 2:1 |
| ეგვიპტე-ინგლისი | 2:0 |
| უზბეკეთი-ურუგვაი | 0:4 |
| ხორვატია-ა. ზელანდია | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-სანდნესი | 6:1 |
| მიოლდე-სარპსბორგი | 3:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო | 3:1 |
| სიოგნდალი-ჰიონეფოსი | 1:1 |
| ლილესტრიომი-ვოლერენგა | 0:1 |
| ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი | 4:0 |
| სტარტი-ოლესუნდი | 2:2 |
| ვიკინგი-რუსენბორგი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-კონგსვინგერი | 1:1 |
| ჰიოდი-ბრინი | 0:1 |
| რანჰაიმი-ბოდო გლიმტი | 0:2 |
| სანდეფიორდი-სტაბეკი | 0:0 |
| სტრიომენი-ფოლო | 1:0 |
| ულ კისა-მიონდალენი | 4:0 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-ელვერუმი | 0:3 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-სირიანსკა | 5:1 |
| იურგორდენი-ოსტერი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 0:4 |
| იონჩოპინგი-გაის | 0:1 |
| ოსტერსუნდი-ჰამარბიუ | 1:1 |
| სუნდსვალი-ლანდსკრონა | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-იარო | 4:2 |
| ინტერი-ტურკუ | 1:1 |
| იუვიასკიულა-როვანიემი | 1:1 |
| კუოპიო-ვაასა | 1:0 |
| მიუპა-მარიეჰამნი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კაიაანი-სეინაიოენი | 1:7 |
| ილვესი-ვიიკინგიტი | 1:0 |
| იიპო-პკ35 | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| ლიმერიკი-დანდალკი | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კობ რამბლერსი-უექსფორდი | 3:0 |
| **ისლანდია** | |
| კეფლავიკი-ტორი | 1:3 |
| სტიარნანი-ვესტმანაიეარი | 1:0 |
| ფრამი-ბრეიდაბლიკი | 1:1 |
| ფილკირი-რეიკიავიკი | 2:3 |
| ვალური-ჰაფნარი | 1:1 |
| ვიკინგური-აკრანესი | 1:0 |
| **ბელარუსი** | |
| შახტიორი-ტორპედო | 2:1 |
| ნაფტანი-დინამო (მნ) | 0:0 |
| ბატე-ნემანი | 2:0 |
| გომელი-ბრესტი | 2:0 |
| დნეპრი-სლავია | 1:0 |
| მინსკი-ბელშინა | 2:1 |
| **ლიტვა** | |
| ჟალგირისი-ატლანტასი | 1:0 |
| ბანგა-ტაურასი | 5:0 |
| კრუოია-დაინავა | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| ველესი-ნიუელსი | 1:0 |
| **ეკვადორი** | |
| დეპ. კიტო-ლიგა ლე ლოხა | 2:0 |
| დეპ. მაკარა-ემელეკი | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-მანტა | 3:0 |
| უნ. კატოლიკა-ლდუ დე კიტე | 1:2 |
| **პარაგვაი** | |
| რუბიო ნუ-დეპ. კარაპეგუა | 2:1 |
| ლუკენიო-დეპ. კაპიატა | 2:2 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-სპ. კრისტალი | 0:0 |
| კახამარკა-რეალი | 1:0 |
| ალიანსა ლიმა-კომერსიო | 1:1 |
| პასიფიკო-მელგარი | 0:0 |
| სენსიანო-სესარ ვალიეხო | 2:1 |
| **აშშ** | |
| ტორონტო-სოლტ ლეიკი | 0:1 |
| ფილადელფია-დალასი | 2:2 |
| მონრეალი-კოლორადო | 3:4 |
| დი სი იუნაიტედი-ვანკუვერი | 0:1 |
| კანზას სიტი-კოლამბუსი | 3:2 |
| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 3:2 |
| ჩივასი-ნიუ ინგლენდი | 1:1 |
| ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 2:0 |
| **იაპონია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ურავა-სერეზო | 1:1 |
| ვეგალტა-კავასაკი | 2:3 |
| კაშივა-ჰიროშიმა | 0:1 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 3:1 |
| **კორეა** | |
| ინჩეონი-პოჰანგი | 2:1 |
| ბუსანი-დაეგუ | 1:0 |
| სეონგნამი-ჯეჯუ | 2:2 |
| ულსანი-სეული | 2:0 |
| დაეჟეონი-ჩუნამი | 1:2 |
| განგვონი-სუვონი | 2:1 |
| ჟეონბუკი-გიეონგნამი | 4:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბელხატოვი-კორონა | 0:3 |
| ბრონდბიუ-ბრონშოი | 2:0 |
| ნორდსილანდი-ვეტსიელანდი | 3:1 |
| პუტენი-აიაქსი | 1:4 |
| კოპენჰაგენი-ლუნგბიუ | 1:1 |
| კორტრიიკი-ლოკერენი | 2:0 |
| დამბარტონი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| სკონტო-ლევადია | 1:1 |
| ოუდენაარდე-ვარეგემი | 1:3 |
| ადმირა-ბოტევი | 0:0 |
| რაპიდი-ჟილინა | 0:0 |
| სერკლი-მონსი | 0:3 |
| დნიპრო-მატერსბურგი | 3:1 |
| ლევსკი-ამკარი | 0:2 |
| რიდი-ლეგია | 3:2 |
| დინამო (მ)-ასტრა | 2:1 |
| ტუბეკე-სტანდარდი | 1:3 |
| ატლასი-გვადალახარა | 1:3 |
| მუნსტერი-ბოხუმი | 1:1 |
| დანდალკი-გლენტორანი | 2:2 |
| ფიურტი-სლავია | 3:0 |
| მეტალისტი-სალიუტი | 3:1 |
| რედენი-ბორუსია (მ) | 0:6 |
| შლესვიგერი-ჰანოვერი | 1:9 |
| შტურმი-კრილია | 0:2 |
| ინგოლშტადტი-მაკაბი (თ-ა) | 0:0 |
| ოლიმპია-მეტალურგი (დ) | 0:4 |
| პარტიზანი-პეტროლული | 1:0 |
| რუდარი-ვორსკლა | 2:1 |
| შახტარი-სპარტაკი | 0:0 |
| მოსტი-უნიონი | 2:2 |
| ლივინგსტონი-სტიაუა | 1:4 |
| მარიბორი-ლოკომოტივი (მ) | 2:0 |
| ზენიტი-დინამო (კ) | 1:2 |
| რიდი-ფრანქფურტი | გადაიდო |
| **კალათბურთი** | |
| **ევრობასკეტი 2013** | |
| **ქალები** | |
| სერბეთი-თურქეთი | 71:92 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 70:69 |

ჩოგბურთი

## შემაჯამებელს სახელი შეეცვალა

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ წლის შემაჯამებელი ტურნირის სახელწოდება და გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პრიზი შეცვალა. ამიერიდან, შეჯიბრებას "ბრედ დრიუიტის პრიზი" ჰქვია. **დრიუიტი** ATP-ის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი იყო და ის ამა წლის მაისში, უკურნებელი სენით გარდაიცვალა.

უიმბლდონის მატჩებზე ზოგიერთ ჩოგბურთელს, მათ შორის, **ნოვაკ ჯოკოვიჩს** საკუთარ სათამაშო მაისურზე დრიუიტის ხსოვნის საპატივცემლოდ ყოფილი პრეზიდენტის ინიციალები აქვს გამოსახული.

## კერბერს სიკვდილით დაემუქრნენ

გერმანელმა **ანჟელიკ კერბერმა**, რომელმაც უიმბლდონის მეორე წრეში მოულოდნელად წააგო ესტონელ **კაი კანეპისთან**, სოციალურ ქსელში თავის მისამართით მუქარის მესიჯები მიიღო. ერთ-ერთმა მომხმარებელმა ჩოგბურთელის მოკვლის სურვილიც კი გამოთქვა.

სავარაუდოდ, მკვეთრი კრიტიკისა და მუქარის მიზეზი გახდა საბუკმეიკერო კანტორებში მსხვილი თანხების ნაგება. აღვნიშნავთ, რომ კერბერმა მოიგო პირველი სეტი და მეორის ტაი-ბრეიკზე 5:1 იყო დაწინაურებული, მაგრამ მაინც დამარცხებულმა დატოვა კორტი.

ქართული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013

# ჯოკოვიჩი, მარეი და დანარჩენები


ჯოკოვიჩი დამაჯერებელია

უიმბლდონი ტრადიციას არ ღალატობს და გუშინ, ჩოგბურთელებს დასვენების დღე ჰქონდათ, შაბათს კი ამინდმა ორგანიზატორებს საშუალება მისცა მესამე წრე დაესრულებინათ და ორშაბათს ყოველგვარი გადადებული მატჩის გარეშე შეხვედროდნენ.

**ფედერერისა** და **ნადალის** გავარდნის შემდეგ, მამაკაცებს შორის უიმბლდონს ორი მთავარი ფავორიტი შემორჩა - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ენდი მარეი**. და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, ვინ უფრო დამაჯერებლად მოიგებს თავის შეხვედრას. ჯერჯერობით, ორივენი ძალიან იოლად მიიწევენ წინ. მარეიმ მერვედფინალის საგზური პარასკევს მოიპოვა, ჯოკოვიჩს კი მეორე დღეს მოუწია თამაში ფრანგი **ჟერემი შარდის** წინააღმდეგ. სერბმა მხოლოდ შვიდი გეიმი წააგო, 86 წუთის განმავლობაში კი საკუთარ გეიმებში მხოლოდ ექვსი ქულა დათმო. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ჯოკოვიჩის 50-ე მოგება კარიერაში ბალახის საფარზე და ის ზედიზედ მეხუთე გავიდა უიმბლდონის მერვედფინალში.

სავარაუდოდ, მსოფლიოს პირველ ჩოგანს გაცილებით მეტი ჯაფა დაადგება შემდეგ წრეში, სადაც მას გერმანელი **ტომი ჰაასი** დაუპირისპირდება. მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიშია - 5:3 სერბის სასარგებლოდ, მაგრამ, გერმანელმა ბალახზე ორიდან ორჯერ მოუგო ჯოკოვიჩს.

35 წლის ჰაასი, რომელიც მერვედფინალისტებს შორის ყველაზე ასაკოვანია, მესამე წრეში უიმბლდონის სამგზის მეოთხედფინალისტ **ფელისიანო ლოპესს** ხვდებოდა. ესპანელმა ბრწყინვალედ ჩაატარა პირველი სეტი - პირველ მოწოდებაზე ყველა ქულა აიღო და მხოლოდ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა. მაგრამ, შემდეგ ვეტერანმა სრული კონტროლი დააწესა თამაშზე და 43 "ვინერსი" და 18 ეისი მიითვალა.

უჭირს ტოპ-ოთხეულის წევრს **დავიდ ფერერს**, რომელსაც ხუთსეტიანი მარათონის გადატანა მოუწია უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვთან** მატჩში, თანაც, სეტებს შორის ორჯერ აგებდა. ესპანელის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მეტოქისგან ბოძებულ შანსებს ვერ იყენებდა და 24 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ 10 გარდასახა მომგებიან ქულაში. სამაგიეროდ, შთამბეჭდავი იყო დავიდის 56 "ვინერსი". მერვედფინალში ფერერი ხორვატ **ივან დოდიგს** შეხვდება.

როგორც ჩანს, კარგ ფორმაშია არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელიც აპირებს პრობლემები შეუქმნას ფავორიტებს. ტურნირის მერვე ნომერმა 28 "ვინერსი" დააგროვა სლოვენიელი **გრეგა ჟემლიას** წინააღმდეგ და პირველი მოწოდებით ქულების 87 პროცენტი აიღო. არგენტინელის შემდეგი მეტოქე იქნება იტალიელი **ანდრეას სეპი**, რომელთანაც ხუნ მარტინს სამიდან სამი მოგება აქვს. აპენინელმა დაამტკიცა, რომ ხუთსეტიანი მატჩების სპეციალისტია - 1:2-დან **კეი ნიშიკორის** 6:1, 6:4 მოუგო მეოთხე და მეხუთე პარტია და კარიერაში 28-დან მე-17 ხუთსეტიანი შეხვედრა მოიგო.

შაბათს, განთესილ ჩოგბურთელებსაც ჰქონდათ პრობლემები. ცენტრალურ კორტზე **რიშარ გასკემ** წააგო ავსტრალიელ **ბერნარდ ტომიჩთან**. ფრანგმა დათმო პირველი პარტია, მეორეში სამი სეტბოლი მოიგერია და მოიგო. რიშარმა თითქოს ფსიქოლოგიურად გატეხა ახალგაზრდა ავსტრალიელი, მაგრამ ტომიჩი, როგორც ეს სჩვევია, არ ამოვარდა რიტმიდან, დამაჯერებლად ჩაატარა შემდეგი ორი პარტია და დამსახურებულად მოუგო მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს.

**1/16 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ჟერემი შარდი (საფ, 28) 6:3, 6:2, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 13)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 4:6, 6:2, 7:5, 6:4; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-რიშარ გასკე (საფ, 9) 7:6(7), 5:7, 7:5, 7:6(5); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 27) 3:6, 6:3, 6:4, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 26) 6:7(6), 7:6(2), 2:6, 6:1, 6:2; **ივან დოდიგი (ხორ)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 6:0, 6:1, 1:0 უარი; **ანდრეას სეპი (იტა, 23)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 12) 3:6, 6:2, 6:7(4), 6:1, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 7:5, 7:6(3), 6:0; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ბენუა პერი (საფ, 25) 6:1, 6:3, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:2, 6:4, 6:4; **კენი დე სხეპერი (საფ)**-ხუან მონაკო (არგ, 22) 6:4, 7:6(8), 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 20)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:3, 6:4, 7:5.

**1/8 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-ჰაასი (13); ტომიჩი-ბერდიხი (7); ფერერი (4)-დოდიგი; სეპი (23)-დელ პოტრო (8); კუბოტი-მანარინო; იანოვიჩი (24)-მელცერი; ვერდასკო-დე სხეპერი; იუჟნი (20)-მარეი (2).

# ყველას უჭირს სერენას გარდა


დატე სერენას ულოცავს

ქალების ბადეში თითქმის არ ყოფილა მოულოდნელობები. ალბათ, ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ მერვედფინალში ვერ ვხედავთ ვერც ერთ რუს ჩოგბურთელს. ამ ქვეყნის ბოლო წარმომადგენელი იყო **ეკატერინა მაკაროვა**, მაგრამ ის სამ სეტში დაამარცხა 2011 წლის ჩემპიონმა **პეტრა კვიტოვამ**. ჩეხს კარგი პერსპექტივები ეხსნება - ბადეში მის მხარეს აღარც **მარია შარაპოვაა** და არც **ვიქტორია აზარენკა**.

სამაგიეროდ, ბადის საპირისპირო მხარეს ისევ შეუჩერებელია **სერენა უილიამსი**. როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელმა ზედიზედ 34-ე მატჩი ძალიან იოლად მოიგო - მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო 42 წლის იაპონელ **კიმიკო დატეს**. ეს უკანასკნელი იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ უიმბლდონის ახალი რეკორდი დაამყარა - მის ასაკში ამ ტურნირის მესამე წრეში არავინ გასულა.

სერენას მეტოქე ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მატჩში ირკვეოდა - **სამანტა სტოსური საბინ ლისიცკის** წინააღმდეგ. წელს, ავსტრალიელმა კარგი თამაში აჩვენა მისთვის ყველაზე მოუხერხებელ საფარზე - 12 ცდიდან მხოლოდ მეორედ გავიდა მესამე წრეში. თავის მხრივ, ლისიცკისთვის უიმბლდონი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტურნირია - აქ მას მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში უთამაშია. პირველ სეტში სტოსურმა ნაადრევი ბრეიკი გააკეთა და შეინარჩუნა უპირატესობა, მაგრამ შემდეგ, გერმანელმა მოიპოვა სათამაშო ინიციატივა და იოლად მოიგო - 4:6, 6:2, 6:1.

შარშანდელ ფინალისტს **აგნიეშკა რადვანსკას** გარკვეული პრობლემები შეუქმნა ახალგაზრდა **მედისონ კისმა**. ამერიკელმა შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი აჩვენა და "ვინერსების" რაოდენობით თითქმის სამჯერ გაუსწრო მეტოქეს - 67 (!) 23-ის წინააღმდეგ. მაგრამ კისს შეცდომები ჰქონდა ხუთჯერ მეტი (51-10). ამერიკელმა ბრძოლაში დათმო პირველი პარტია, მოიგო მეორე, მესამეში კი გამოცდილი პოლონელი უფრო ზუსტად მოქმედებდა, მნიშვნელოვან მომენტებში ბადესთან წარმატებით გავიდა და მერვედფინალში გავიდა.

არანაკლები პრობლემები ჰქონდა ჩინელ **ნა ლის** **კლარა ზაკოპალოვას** წინააღმდეგ. ჩეხმა მოიგო საწყისი სეტი, "მშრალად" წააგო მეორე, მესამეში კი მატჩზე აწვდიდა, მაგრამ აზიელმა გადაარჩინა გეიმი და 8:6 მოიგო გადამწყვეტი პარტია.

ბრიტანელთა მთავარმა იმედმა **ლორა რობსონმა** ძალიან მძიმე მატჩი ჩაატარა **მარინა ერაკოვიჩის** წინააღმდეგ. ახალზელანდიელს ძალიან ძლიერი მოწოდება აქვს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბალახის საფარზე. ერაკოვიჩმა სწრაფად მოიგო პირველი პარტია და მეორეში ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ ლორამ, მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერით, მატჩზე არ ჩააწოდებინა ზელანდიელს, რის შემდეგაც საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა და საშინაო ტურნირზე პირველად გავიდა მერვედფინალში.

**1/16 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:2, 6:0; **საბინ ლისიცკი (გერ, 23)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 14) 4:6, 6:2, 6:1; **ლორა რობსონი (ბრიტ)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 1:6, 7:5, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-ელისონ რისკე (აშშ) 6:2, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-მედისონ კისი (აშშ) 7:5, 4:6, 6:3; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:1, 4:6, 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 11)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18) 6:1, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 6)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 32) 4:6, 6:0, 8:6; **მონიკა პუიგი (პ-რიკ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:4; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 17)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 7:6(3), 0:6, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 25) 6:3, 2:6, 6:3.

**1/8 ფინალი**

ს. უილიამსი (1)-ლისიცკი (23); რობსონი-კანეპი; ა. რადვანსკა (4)-პირონკოვა; ვინჩი (11)-ნა ლი (6); პუიგი-სტივენსი (17); ბარტოლი (15)-კნაპი; კვიტოვა (8)-სუარეს ნავარო (19); ფლიპკენსი (20)-პენეტა (იტა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608